საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საგანმანათლებლო

World Vision
GEORGIA

სკოლები
პანდემიის დროს

პრაქტიკული გზამკვლევი ზოგადსაგანმანათლებლო
დაწესებულებებისათვის

2020

სკოლები პანდემიის დროს

პრაქტიკული გზამკვლევი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის

(საპილოტე ვერსია)

2020

გზამკლევზე მუშაობდნენ:

ნათია მჟავანაძე – განათლების მკვლევარი, საერთაშორისო და შედარებითი განათლების დოქტორანტი, WV საქართველოს თბილისის ურბანული პროგრამის მენეჯერი.

ცირა ბარქაია – MPhil SNE, ფსიქოლოგი, ინკლუზიური და ადრეული განათლების სპეციალისტი; WV საქართველოს ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების პროგრამის კოორდინატორი;

რევაზ აფხაზავა – პოლიტიკის ადვოკატირების ოფიცერი, WV საქართველოს კონსულტანტი: ზოგადი განათლების ექსპერტი.

გიორგი ჭანტურია – განათლების კოალიციის დირექტორი, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, WV საქართველოს კონსულტანტი: განათლების მართვის ექპერტი

ზურაბ ალხანიშვილი – ჯანდაცვის ხელშეწყობის მაგისტრი, WV საქართველოს კონსულტანტი: გზამკლევის ჯანდაცვის ექსპერტი;

მარიამ ხვადაგიანი – ნეიროფსიქოლოგი, WV საქართველოს კონსულტანტი: გზამკლევის ფსიქოლოგი;

ნანა გოჩიაშვილი – სოციალური მუშაკი, იურისტი, WV საქართველოს კონსულტანტი – გზამკლევის ბავშვთა დაცვის ექსპერტი;

მაია ბაგრატიონი-გრუზინსკი – ინკლუზიური განათლების კონსულტანტი, ნეიროფსიქოლოგიის მაგისტრი, WV საქართველოს კონსულტანტი: შეზღუდული შესაძლებლობის საკითხების ექსპერტი;

რედაქტორი: ჭაბუკი ქირია
ყდის დიზაინი: ნიკოლოზ ლომიძე
დიზაინი: თორნიკე ლორთქიფანიძე

World Vision საქართველო
თბილისი, 2020

World Vision საქართველო უკვე 20 წელია ზრუნავს ბავშვის დაცვის სისტემების გაძლიერებასა და საზოგადოების როლის გააქტიურებაზე, რათა ხელი შეუწყოს ინკლუზიური, ტოლერანტული, სამართლიანი და თანასწორი გარემოს შექმნას ბავშვთა კეთილდღეობისათვის.

ამ მიზნის მისაღწევად ორგანიზაცია იყენებს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც მოიცავს ოჯახის გაძლიერებას, საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერასა და თემის ჩართულობის გაზრდას.

COVID-19-ის პანდემიამ განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დააყენა განათლების სისტემა გლობალურად. გამონაკლისს არც საქართველოში არსებული სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები წარმოადგენდნენ. საფრთხის წინაშე დადგა, როგორც დაწესებულებების გამართული ფუნქციონირება და საგანმანათლებლო პროცესის დისტანციურად წარმართვა, ისე განათლების მისაწვდომობა.

2020 წლის ახალი აკადემიური წლიდან სახელმწიფოს მიერ შემუშავებული რეგულაციებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებისათვის სკოლებს დამატებითი მხარდაჭერა სჭირდებათ.

სწორედ ამ მიზნით, „World Vision საქართველოს“ ინიციატივით შეიქმნა სხვადასხვა სპეციალიზაციის ექსპერტთა გუნდი როგორც სასკოლო, ისე სკოლამდელი განათლების მიმართულებით.

ინტერდისციპლინური გუნდის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროსა და დაავადების კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით შეექმნა პრაქტიკული გზამკვლევი სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებებისათვის, რომელიც გააადვილებს ჯანდაცვის რეგულაციების მიხედვით საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას.

აღსანიშნავია ისიც, რომ გზამკვლევის შექმნისა და დახვეწის პროცესში ჩართულები იყვნენ როგორც მოქმედი დირექტორები, ისე დარგის სპეციალისტები.

პანდემიის პირობებში საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირება საკმაოდ რთული და ცვალებადი პროცესია. საქართველოში მოქმედი სკოლები და სკოლამდელი დაწესებულებები სხვადასხვა გამოწვევის წინაშე დადგნენ.

წინამდებარე დოკუმენტი – „სკოლები პანდემიის დროს: პრაქტიკული გზამკვლევი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის“ საპილოტე ვერსიას წარმოადგენს; მისი სრულყოფისთვის მიმდინარე სემესტრის განმავლობაში შეგროვდება მონაცემები და პრაქტიკოსთა გამოხმაურებები, რომლებიც შეძლებისდაგვარად აისახება გზამკვლევში და ამის შემდეგ მიიღებს საბოლოო სახეს.

აქვე გვსურს მადლობა გადავუხადოთ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და დაავადების კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს თანამშრომლობისა და კონკრეტული რეკომენდაციებისათვის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის გამოხმაურება და პრაქტიკული რჩევები, რაც საკონსულტაციო ჯგუფის წევრებმა მოგვაწოდეს გზამკვლევის შემუშავების სხვადასხვა ეტაპზე, რისთვისაც ვუხდით უღრმეს მადლობას.

გამოვთქვამთ იმედს, რომ გზამკვლევი მნიშვნელოვან მხარდაჭერას გაუწევს დაწესებულებებს პანდემიის პირობებში საგანმანათლებლო პროცესის განახლებასა და წარმართვაში.

გზამკვლევის სრულყოფის მიზნით შემოთავაზებები, გამოწვევები, კითხვები გაგვიზიარეთ ელ.ფოსტაზე: Natia_mzhavanadze@wvi.org ან მოგვწერეთ ფეისბუქ-გვერდზე: World Vision Georgia

სარჩევი

წინასიტყვაობა 6

შესავალი 7

სიტუაციის მიმოხილვა 8

მოსამზადებელი ეტაპი 9

ჯანმრთელობის დაცვის რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის 10

მოსწავლის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული მიდგომა სკოლებში 17

საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება სკოლებში 26

სასკოლო სასწავლო გეგმა 28

საგანმანათლებლო რესურსები 32

სკოლის პერსონალისა და მასწავლებელთა მხარდაჭერა 34

ხარისხის მართვა, მონიტორინგი და შეფასება 37

კეთილდღეობა Covid 19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში 42

რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის 50

დანართები 71

გამოყენებული ლიტერატურა 80

წინასიტყვაობა

წინამდებარე გზამკვლევი მომზადებულია პანდემიის პერიოდში სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვაში სკოლების მხარდაჭერისა და არსებული რეგულაციების გათვალისწინების ხელშეწყობის მიზნით.

დოკუმენტი ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- ყველა რეგულაცია და ცვლილება, რომელიც ინიცირებული იქნება განათლების სისტემაში, ეფუძნება მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებს;

- განათლების უფლების რეალიზება წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს და მისი ნებისმიერი შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ მოსწავლეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხიდან გამომდინარე აუცილებლობით;

- საქართველოში მოქმედი ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უნიკალურია და განსხვავდება სხვა დაწესებულებებისაგან დემოგრაფიული, სოციალური, კულტურული და სხვა პარამეტრებით. შესაბამისად, სახელმწიფოსა და თავად სკოლების მიერ განხორციელებული ცვლილებები და მიღებული გადაწყვეტილებები მაქსიმალურად უნდა იქნეს დიფერენცირებული და მორგებული კონკრეტული დაწესებულების თავისებურებებსა და საჭიროებებს;

- მოსწავლეთა განათლების უფლების რეალიზებაში კრიტიკულად მნიშვნელოვანია სკოლისა და სასკოლო თემის როლი. შესაბამისად, სკოლამ და სასკოლო თემმა მაღალი პასუხისმგებლობით, ავტონომიურ რეჟიმში უნდა იზრუნონ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვაზე. სახელმწიფომ, თავის მხრივ, უნდა წაახალისოს და მხარი დაუჭიროს დამოუკიდებელ ინიციატივებს.

იმის გათვალისწინებით, რომ 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობდა ფორსმაჟორულ ვითარებაში, 2020-2021 სასწავლო წლის ერთ-ერთ მთავარ ორიენტირს უნდა წარმოადგენდეს გასულ წელს არსებული ხარვეზების აღმოფხვრა, რისკების შემცირება და გამოწვევებზე ეფექტიანი რეაგირება.

მოცემული დოკუმენტი არ წარმოადგენს მხოლოდ სწავლის დაწყებისათვის ხელშემწყობი რეკომენდაციების ერთობლიობას. რჩევების უმრავლესობის გამოყენება შესაძლებელია მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

შესავალი

გზამკვლევი განკუთვნილია საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დირექციის, ადმინისტრაციის წარმომადგენლების, მასწავლებლების, მშობლების, სასკოლო თემის სხვა წარმომადგენლებისათვის და მიმართულია მოსწავლეთათვის სწავლა-სწავლების ეფექტიანი სისტემის შექმნის მხარდაჭერისკენ.

გზამკვლევი შემუშავებულია განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ყველა რეკომენდაციის გათვალისწინებით.

დოკუმენტის შექმნაში განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით მონაწილეობდნენ სკოლების, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები. გზამკვლევი ეყრდნობა 2020-2021 სასწავლო წლისათვის არსებულ ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევების, შეფასებებისა და საუკეთესო პრაქტიკის ანალიზს.

გზამკვლევში მოცემული საკითხები არის სარეკომენდაციო ხასიათის და სკოლებისათვის მათი ნაწილობრივ ან მთლიანად გათვალისწინება არის ნებაყოფლობითი. სკოლებს შეუძლიათ დამოუკიდებლად შეიმუშაონ და განახორციელონ კორონავირუსის პანდემიის პერიოდში სწავლების ეფექტიანად წარმართვის დამოუკიდებელი სტრატეგიები.

იმედს გამოვთქვამთ, რომ აღნიშნული გზამკვლევი დაეხმარება სკოლებს მართვასა და სასწავლო პროცესის ეფექტიანად კოორდინირებაში.

სიტუაციის მიმოხილვა

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) რეაგირების ფარგლებში 2020 წლის მარტიდან აკადემიური წლის ბოლომდე მთავრობის განკარგულებით საგანმანათლებლო დაწესებულებები დაიხურა. ეს ყველაფერი სტატისტიკურად შემდეგნაირად გამოიყურება: დაიხურა 1,621 სკოლამდელი დაწესებულება და 2,312 სკოლა, რის შედეგადაც სწავლა შეუწყდა 164,605 სკოლამდელი ასაკის ბავშვსა და 590,034 სასკოლო ასაკის მოსწავლეს.

მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული პოზიტიური ნაბიჯებისა (როგორიცაა: ტელესკოლის პროექტის განხორციელება, სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსების შექმნის მხარდაჭერა, ონლაინ აპლიკაციებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ა.შ.) საგანმანათლებლო სისტემა მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. პრობლემები იყო ხელმისაწვდომობის კუთხით როგორც ინტერნეტზე, ასევე შესაბამის ხელსაწყოებზე; აგრეთვე, ციფრული კომპეტენციების მხრივ როგორც მასწავლებლებში, ასევე მოსწავლეებსა და მშობლებში. გარდა ამისა, ნათლად გამოჩნდა გამოწვევები დისტანციური სწავლების მიმართულებითაც. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი საკითხია პანდემიის შედეგად მიღებული მძიმე ფსიქოლოგიური ეფექტი, სოციალურ-ემოციური და აკადემიური ჩამორჩენა მოსწავლეებში.

ახალი სასწავლო წლისათვის მნიშვნელოვანია ყველა ზემოხსენებული გამოწვევისა და სკოლების ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინება და მათზე შესაბამისი რეაგირება.

იუნესკოს მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო დოკუმენტაციის მიხედვით მნიშვნელოვანია, რომ სკოლებმა და გადაწყვეტილების მიმღებმა უწყებებმა გაითვალისწინონ შემდეგი ძირითადი საკითხები:

1. უსაფრთხო სამუშაო პირობები და ჯანდაცვის რეგულაციები;
2. მასწავლებელთა მზაობა, ფსიქოლოგიური და სოციალურ-ემოციური მდგომარეობა;
3. მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციის შრომითი უფლებების გათვალისწინება;
4. ხარისხის მართვისა და ეფექტიანი მონიტორინგის სისტემის არსებობა;

რაც მთავარია, აღნიშნული მიმართულებების განხილვისა და სკოლების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური რესურსებისა და დამატებითი ინვესტიციების გათვალისწინება.

თითოეულ ამ საკითხზე მუშაობისას კრიტიკულად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი დიალოგისა და კომუნიკაციის არსებობა. შესაბამისად, ყველაზე მთავარი რეკომენდაცია გადაწყვეტილების მიმღებთა და სკოლებისათვის სწორედ ეს არის. უფრო კონკრეტულად, დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა მხარის (მასწავლებლების, მშობლების, განათლების სპეციალისტების, საზოგადოებრივი, სათემო და დონორი ორგანიზაციების, მოწყვლადი და მარგინალიზებული ჯგუფების) ჩართულობა.

აღნიშნული რეკომენდაციების, საერთაშორისო გამოცდილებისა და ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, შემუშავებულ დოკუმენტში განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- სკოლების მოსამზადებელი ეტაპი სასწავლო პროცესის დაწყებამდე;
- სასწავლო პროცესის ორგანიზება;
- სკოლის პერსონალისა და მასწავლებელთა მხარდაჭერის სტრატეგიები;
- მშობელთა ჩართულობა;
- გარე კომუნიკაცია.

გზამკვლევში წარმოდგენილია ინკლუზიური განათლების ზოგადი საკითხები და სასწავლო პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინტეგრირებასთან დაკავშირებული თემები.

მოსამზადებელი ეტაპი

2020 წლის 14 აგვისტოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გამოქვეყნდა „ახალი კორონავირუსით SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ზოგადსაგამანათლებლო დაწესებულებებისათვის“. შესაბამისად, მოსამზადებელ ეტაპზე განსაკუთრებულად საყურადღებოა აღნიშნული დოკუმენტის გათვალისწინება. დოკუმენტში მოცემული რჩევები და რეგულაციები პირდაპირ არის დაკავშირებული სწავლა-სწავლების საკითხებთან. კონკრეტულად, დოკუმენტი განიხილავს შემდეგ მიმართულებებს:

- სასწავლო პროცესის დაწყება-განახლება სკოლებში;
- სკოლის შენობისა და ეზოს დასუფთავება-ჰიგიენა;
- სკოლის სივრცეში გადაადგილება;
- სასწავლო პროცესის ორგანიზება;
- სავალდებულო დისტანცია მოსწავლეებს შორის საგაკვეთილო პროცესის დროს დახურულ და ღია სივრცეებში;
- სკოლის საერთო სივრცეებში გადაადგილების წესი;
- რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან დაკავშირებით;
- რეკომენდაციები კვების პროცესთან დაკავშირებით;
- რეკომენდაციები მოსწავლეთა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით;
- სასწავლო დაწესებულების ბიბლიოთეკა;
- რეკომენდაციები სკოლა-პანსიონების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით (24 საათიანი მომსახურება);
- დამატებითი ინსტრუქცია სანიტარული კვანძის დასუფთავებასთან დაკავშირებით;
- სკოლის სამედიცინო პერსონალის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებაში.

გარდა ამისა, დოკუმენტში გაწერილია მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა ვალდებულებები.

აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინების, სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისა და სასკოლო პროცესებში სკოლის თემის ჩართულობისათვის მნიშვნელოვანია სკოლამ დაგეგმოს და განახორციელოს მოსამზადებელი სამუშაოები.

ჯანმრთელობის დაცვის რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

Covid-19-ს პრევენციისთვის თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია გაატაროს რიგი ღონისძიებები, რომლებიც დაფუძნებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხების მარეგულირებელ საერთაშორისო და ადგილობრივ რეკომენდაციებზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს პრევენციულ ღონისძიებებს, მიკვლევადობის ეფექტიანი მექანიზმის შექმნას და კონტაქტების შემცირებას.

მნიშვნელოვანია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ გაითავისოს პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრება მოსწავლეების და თანამშრომლების წინაშე. თითოეულ თანამშრომელს უნდა მიეწოდოს დეტალური ინფორმაცია Covid-19-ს პანდემიის პირობებში არსებული გამოწვევების, სასურველი და არასასურველი ქცევების, შიდა პროტოკოლების, პრევენციის საშუალებების შესახებ. სწორედ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პასუხისმგებლობა განსაზღვრავს კონკრეტული ჯგუფის თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისა და მართვის რუტინის შენარჩუნების საკითხს, ვინაიდან პერსონალის ან მოსწავლის COVID 19-ით ინფიცირების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროცესის გაგრძელების, შეჩერების თუ სახეცვლილების საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება ეპიდემიოლოგიური მოკვლევის საფუძველზე. შესწავლილი და გათვალისწინებული იქნება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სივრცეში არსებული კონტაქტები, კონტაქტების ინტენსივობა, დაცვის საშუალებების და არსებული რეკომენდაციების გათვალისწინების ხარისხი და სხვა საკითხები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ და პრაქტიკაში გავატაროთ ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ თითოეულ ჯგუფთან მუშაობდეს მხოლოდ ერთი და იგივე გუნდი. ნაკლებად ხდებოდეს მასწავლებლების მობილობა სხვადასხვა ჯგუფში.

მნიშვნელოვანია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ განსაზღვროს პასუხისმგებელი პირი, რომელიც კოორდინირებას უწევს შემდეგ საკითხებს:

- ვიზიტორების (ვიზიტორი არის ნებისმიერი პირი, რომელიც შემოდის დაწესებულებაში) თერმოსკრინინგი და კანონით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოება პანდემიის პირობებში (ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. დანართი #37);
- ინდივიდუალურიდ დაცვის საშუალებების მომარაგება, ვიზიტორების მიერ მათი შესაბამისი და სწორი გამოყენება;
- თანამშრომლების მიერ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება;
- თანამშრომლებს შორის 1-მეტრიანი ფიზიკური დისტანციის უზრუნველყოფა;
- ზედაპირების დეზინფექციის პროტოკოლის დაცვა და მონიტორინგი;
- მოსწავლეების მიღების/გაშვების პროცესის დაგეგმვა, მართვა და მონიტორინგი;
- ბუნებრივი ან ხელოვნური ვენტილაციის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება;
- თანამშრომელთა მომზადება მარეგულირებელი ორგანოების მიერ მოწოდებული რეკომენდაციების გათვალისწინებისა და რეგულაციების დანერგვის მიზნით;
- მარეგულირებელი ორგანოების მიერ მოწოდებული რეკომენდაციების და რეგულაციების დაცვის და ზედამხედველობის უზრუნველყოფა (ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვე-

ულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. დანართი #37) კერძოდ:

– დალაგებისა, დასუფთავების, დეზინფიცირების, კვებისა და წყლის მოხმარების პროტოკოლების დაცვისა და ზედამხედველობის უზრუნველყოფა;
– სამზარეულოს სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობა და კვების საკითხების მართვა.
– Covid-19-ს პანდემიის პირობებში მოქმედი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან ასოცირებული სხვა რეკომენდაციების და მოთხოვნების იმპლემენტაცია და მონიტორინგი.

- მშობლების ინფორმირება Covid-19-ის პანდემიასთან ასოცირებული გამოწვევების და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელებული ან/და დაგეგმილი საოპერაციო ცვლილებების შესახებ.

ზემოაღნიშნული პასუხისმგებლობები შეიძლება გადანაწილდეს სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებულ პერსონალზეც.

ინფორმირება რეკომენდაციების დაცვის აუცილებლობისა და მნიშვნელობის შესახებ

იმისათვის რომ დაავადებათა კონტროლის ცენტრისა და სკოლის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები უკეთ იქნეს დაცული, მნიშვნელოვანია, სკოლის საზოგადოებას კარგად ჰქონდეს გააზრებული, რა საფრთხეების შემცველია მათი უგულებელყოფა და რატომ არის აუცილებელი მათი დაცვა. ამისათვის კარგია, თუ სკოლა ინფორმაციის გავრცელებისას ყურადღებას მიაქცევს შემდეგ მიმართულებებს:

- მოსწავლეები კოვიდ 19-ით დაინფიცირების შედეგად გამოწვეული გართულებების დაბალ რისკჯგუფში იმყოფებიან, თუმცა ისინი შეიძლება გახდნენ ინფექციის გადამტანები. შესაბამისად, რეკომენდაციების დაუცველობამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, მასწავლებლებს, მათი ოჯახის წევრებს და იმ პირებს, რომლებთანაც მოსწავლეები უშუალო კონტაქტში იმყოფებიან.
- პანდემიის პირობებში რეკომენდაციების დაცვის მიმართ ზერელე დამოკიდებულება შესაძლებელია გახდეს როგორც ქვეყნის, ისე გლობალური მასშტაბით ვირუსის გავრცელების და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის დამძიმების მიზეზი.
- რეკომენდაციების დაუცველობამ შესაძლებელია გამოიწვიოს დამატებითი საკარანტინო ზონების გაჩენა. მოსწავლის ან სკოლის თემის სხვა წარმომადგენლის დაავადების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს სასწავლო პროცესის შეწყვეტა კონკრეტულ სკოლაში ან ქვეყნის მასშტაბით, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში დამატებით პრობლემებს შეუქმნით როგორც მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციას, ისე მათ ოჯახებს.
- ცხელების ან ინფექციის სიმპტომების არსებობის შემთხვევაში მოსწავლის გაშვება სკოლაში გამოიწვევს უფრო მეტ დისკომფორტს ოჯახებისათვის, ვიდრე მათი შინ დატოვება. დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით, თუ მოსწავლეს აღენიშნება ცხელება ან კოვიდ ინფექციის სიმპტომები, მშობელი ვალდებული ხდება მოსწავლე გონივრულ დროში წაიყვანოს სკოლიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება 112-ის გამოძახება და მოსწავლის გადაყვანა ცხელების ცენტრში ან შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში. ცხელების ან ინფექციის სიმპტომების სკოლაში დაფიქსირების შემდეგ მოსწავლის სკოლაში დასაბრუნებლად მშობლებს შვილისათვის მოუწევთ PCR ტესტის სავალდებულოდ ჩატარება და სკოლაში წარმოდგენა.

ვიზიტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს გარეშე პირების დაშვება. მოსწავლეების მიღება და გაშვება ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემოსასვლელში. პროცესში ჩართულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი, რომელიც ეკონტაქტება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს და იღებს ვალდებულებას მოსწავლის მიღება/გაშვებაზე.

საჭიროების შემთხვევაში მომწოდებლები (დისტრიბუტორები)შენობაში შედიან მხოლოდ პირბადის გამოყენებით. ბახილების ჩაცმა აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს, თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას არ გააჩნია დეზობარიერი.

ყველა ვიზიტორი გადის თერმოსკრინინგს დისტანციური თერმომეტრის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ ვიზიტორს აღენიშნება მომატებული ტემპერატურა (37^{0}C ან მეტი), ის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არ დაიშვება. გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა მიზეზით ტემპერატურის მომატება შესაძლებელია დროებით დაფიქსირდეს, ამიტომ რეკომენდებულია მისი გადამოწმება 15-30 წუთში. ვიზიტორს უნდა მივცეთ დასვენების საშუალება და უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი სივრცე შენობის შესასვლელშივე.

შენობაში ყველა პირი შედის დეზობარიერის გავლით, თერმოსკრინინგისა და ხელის ჰიგიენის ჩატარების შემდეგ. შენობაში მოსწავლის გარდა ყველა პირი შედის პირბადით.

იმ შემთხვევაში, თუ ვიზიტორს უფიქსირდება მომატებული ტემპერატურა და არ დაიშვება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, მას უნდა მიეცეს რეკომენდაცია, რომ არ ისარგებლოს საზოგადოებრივი ტრანსპორტით და მიმართოს ოჯახის ექიმს ან ცხელების ცენტრს.

იმ შემთხვევაში, თუ განსაკუთრებული გარემოებების გამო გარეშე პირის შენობაში შეშვება აუცილებელია, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი ეკიპირება პირბადით და დაცვის სხვა საშუალებებით ვიზიტის მიზნისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

ინფექციების კონტროლის ღონისძიებები

რეკომენდებულია ადმინისტრაციამ უზრუნველყოს თანამშრომლებისთვის საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება ინფექციების პრევენციის საკითხებზე (როგორიცაა: ხელის ჰიგიენა, ხველისა და დაცემინების ეტიკეტი, პირბადის მოხმარების წესები, ინფექციის გადაცემის გზები), გააცნოს პრევენციული მეთოდები და არსებული რეგულაციები. მნიშვნელოვანია აღნიშნული საინფორმაციო შეხვედრების უწყვეტობის უზრუნველყოფა.

სასურველია, საინფორმაციო შეხვედრები გაიმართოს მშობლებთან, მოსწავლეებთთან და სხვა დაინტერესებულ / ჩართულ მხარეებთან.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში (შენობაში) ყველა ვიზიტორი (მოსწავლეების ჩათვლით) შედის მხოლოდ თერმოსკრინინგის და ხელის ჰიგიენის პროცედურების ჩატარების შემდგომ. ხელის დეზინფექციისათვის განკუთვნილი ანტისეპტიკური საშუალებები უნდა იყოს 70%-იანი ალკოჰოლის შემცველობით და მათი დისპენსერები უნდა განთავსდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შენობის შესასვლელში, საერთო სარგებლობის სივრცეებთან (საიზოლაციო ოთახი, სასადილო და სხვ.), იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი და უნდა ახლდეს ხელების დამუშავების ინსტრუქცია.

მისაღებ სივრცესა და თანამშრომელთა შეკრების ადგილებში განთავსებული უნდა იყოს საინფორმაციო პოსტერები COVID-19-თან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ, სველ წერტილებში – ხელების დაბანის და ანტიმიკრობული საშუალებების გამოყენების ინსტრუქცია. შენობის შესასვლელში არსებულ დეზობარიერთან განთავსებული უნდა იყოს მისი მოხმარების ინსტრუქციაც. პოსტერები უნდა იყოს მაქსიმალურად აღქმადი და მისაწვდომი ყველა პირის, მათ შორის მოსწავლეებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ხელების ანტისეპტიკური ხსნარით დამუშავება არ წარმოადგენს ხელების საპნით დაბანის ალტერნატივას. ხელების ანტიმიკრობული საშუალებები გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ხელების დაბანა გარკვეული მიზეზების გამო შეუძლებელია. შესაბამისად, ხელსაბანი ნიჟარები / სველი წერტილები და ანტიმიკრობული საშუალებების დისპენსერები შენობის სივრცეებში განაწილებული უნდა იყოს გონივრულად.

ხელების დაბანისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხელსაბანი ნიჟარა, გამდინარე წლის უწყვეტი მიწოდება, თხევადი საპონი და ერთჯერადი ხელსახოცები. არასასურველია ხელის ელექტროსაშრობების გამოყენება და დაუშვებელია მრავალჯერადი ხელსაწმენდებით სარგებლობა. ხელსაბანებთან გამოკრული უნდა იყოს ხელების დაბანის საფეხურები (თვალსაჩინოება).

სველი წერტილების/სანიტარული კვანძების სველი წესით დამუშავებისა და დასუფთავებისთვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს პროტოკოლი, რომელშიც გაწერილი იქნება დასუფთავების პერიოდულობა, გამოყენებული სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებები, ხელსაბანების, უნიტაზების და სხვა ზედაპირების დამუშავების წესები. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ზედაპირი ხილული დაბინძურების არსებობის შემთხვევაში მომენტალურად გაიწმინდოს, რუტინული დასუფთავება კი ჯგუფების შეცვლის ან შესვენების დროსაა რეკომენდებული. ნიმუშის სახით იხილეთ დანართი #1.

დამლაგებელი სამუშაო პროცესში იყენებს ინდივიდუალური დაცვის შემდეგ საშუალებებს:

- არაერთჯერადი ხელთათმანები;
- სახის ფარი;
- სითხეგაუმტარი ერთჯერადი ხალათი;
- სამედიცინო პირბადე;
- დახურული ფეხსაცმელი.

მოსწავლეებისა და პერსონალის იზოლაციის საჭიროება

მოსწავლეებს და პერსონალს შეიძლება სამუშაო დღის მანძილზე აღენიშნოთ ტემპერატურის მომატება (37^{0}C და მეტი), რა დროსაც საჭიროა მათი იზოლაცია სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. მოსწავლეების იზოლაციის დროს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ფსიქო-სოციალური საჭიროებები.

იზოლაციის ოთახს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ბუნებრივი ან ხელოვნური ვენტილაციის სისტემა. იმ შემთხვევაში, თუ ოთახში ერთზე მეტი მოსწავლეა, შესაძლებელი უნდა იყოს მათ შორის 1-მეტრიანი ფიზიკური დისტანციის დაცვა, ხოლო თუ აღენიშნება ისეთი სიმპტომები, როგორიცაა ხველა და ცემინება, შესაძლებელია გამყოფი ჯებირების გამოყენება.

საიზოლაციო ოთახში უნდა იყოს: სკამი / სავარძელი / ტახტი, ხელსაბანი, ერთჯერადი ხელსახოცი, თხევადი საპონი და ხელის ანტიმიკრობული საშუალებები.

ტემპერატურის გასაზომად გამოიყენება დისტანციურ თერმომეტრები. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ვერცხლისწყლის თერმომეტრების გამოყენება, თუმცა შემდეგ ის აუცილებლად უნდა გაიწმინდოს სადეზინფექციო საშუალებით.

მაღალი ტემპერატურის დაფიქსირებისთანავე დაწესებულების წარმომადგენელი უნდა დაუკავშირდეს მშობელს, მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლეს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით, სთხოვოს, რომ მოსწავლე გაიყვანოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან, ასევე უნდა მიაწოდოს ინფორმაცია შემდგომი ნაბიჯების შესახებ, კერძოდ:

- მშობელმა უნდა მიმართოს ოჯახის ექიმს /ცხელების ცენტრს;
- მშობელმა არ უნდა ისარგებლოს საზოგადოებრივი ტრანსპორტით.

იზოლაციის ოთახიდან მოსწავლის გაყვანისას უნდა ვიმოქმედოთ ზოგადი რეგულაციით და სასურველია მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლე დაწესებულებაში მისი შემოსვლის გარეშე გავაყოლოთ. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა მხოლოდ მოსწავლის სამედიცინო საჭიროებების (სამედიცინო ჩვენების) გამო შეიძლება გამოვიძახოთ.შენობაში მათ გადაადგილებას ბარიერები არ უნდა შეექმნას. მნიშვნელოვანია, სასწრაფოს გამოძახების შემთხვევაში ამის თაობაზე მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება.

დაუშვებელია მოსწავლეს/მოსწავლეების მარტო დატოვება იზოლაციის ოთახში. მოსწავლე უნდა იყოს პასუხისმგებელი პირის ზედამხედველობის ქვეშ, რაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს. პასუხისმგებელი პირი (სასურველია, ეს იყოს პირი, რომელთანაც მოსწავლე მოცემულ სიტუაციაში თავს კომფორტულად იგრძნობს) აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური დაცვის შემდეგი საშუალებებით:

- პირბადე;
- დამცავი ფარი;
- ერთჯერადი სითხეგაუმტარი ხალათი.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მომატებული ტემპერატურა მოსწავლეებს შეიძლება აღენიშნებოდეს ფიზიკური აქტიურობის და ემოციური ფონის გამო, ამიტომ სასურველია 15-30 წუთის განმავლობაში მათ მივცეთ დასვენების საშუალება და შემდეგ კვლავ გავუზომოთ ტემპერატურა. თუ ტემპერატურის განმეორებით გაზომვის შემთხვევაში მოსწავლეს არ დაუფიქსირდა 37^{0}C ან მეტი ტემპერატურა, ის შესაძლებელია დაუბრუნდეს სასწავლო გარემოს. ანალოგიურად ვმოქმედებთ იმ შემთხვევაში, თუ ტემპერატურის მომატება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალს უფიქსირდება.

იზოლაციის ოთახში მოსწავლის გაყვანის საჭიროების შემთხვევაში მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ კლასი არ უნდა დარჩეს ზრდასრულის ზედამხედველობის გარეშე. მოსწავლის კლასიდან გაყვანა უნდა მოხდეს მშვიდ გარემოში ისე, რომ სტრესის მომგვრელი არ იყოს არც ერთი მოსწავლისთვის, კლასში უნდა შენარჩუნდეს საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალობა მაღალი ტემპერატურის (37^{0}C ან მეტი) მქონე მოსწავლის ვინაობის და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.. მას არა აქვს სხვა მოსწავლეების მშობლების/წარმომადგენლების ინფორმირების ვალდებულება ჯგუფში არსებული სავარაუდო შემთხვევის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებამ წინასწარ ჩააყენოს საქმის კურსში ამისა და პროტოკოლის სხვა პუნქტების შესახებ მოსწავლეების მშობლები ან კანონიერი წარმომადგენლები.

ყოველდღიური დასწრებით საგანმანათლებლო პროცესი გრძელდება მანამ, სანამ რესპირატორული დაავადების სიმპტომების მქონე მოსწავლეს ან პერსონალს COVID-19-ის დიაგნოზი ლაბორატორიულად არ დაუდასტურდება, დადასტურების შემდეგ კი საგანმანათლებლო პროცესის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება ეპიდემიოლოგიური ჯგუფის დასკვნის და რეკომენდაციის საფუძველზე მიიღება.

არსებითია, რომ იზოლაციის ოთახში შექმნილი იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული, დაცული და უსაფრთხო, სტრესისგან თავისუფალი ფიზიკური და სოციალური გარემო (ამ მხრივ, რეკომენდაციები იხილეთ ქვემოთ მოცემული თავი – კეთილდღეობა Covid 19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში).

იზოლაციის ოთახი უნდა დამუშავდეს სველი წესით და დეზინფიცირდეს მისი გათავისუფლებისთანავე (იხილეთ, დანართი 1. დასუფთავების პროტოკოლის ნიმუში. ყველა დანართი საბოლოო დოკუმენტში წარმოდგენილი იქნება ბოლოში შესაბამისი დანომვრით და მითითებით).

ზოგადი რეკომენდაციები:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში თანამშრომლებმა უნდა დაიცვან 1-მეტრიანი დისტანცია მათ შორის საერთო გამოყენების სივრცეებში (როგორიცაა, მაგალითად, სასადილო ან მოსასვენებელი ოთახი);
- საერთო გამოყენების სივრცეებში (ეზო, დარბაზი, სასადილო და სხვა) აქტივობები უნდა განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული განრიგის (ცხრილის) შესაბამისად, – ერთ სივრცეში მოსწავლეების და პერსონალის რაოდენობა იმდენად არის შესამცირებელი, რომ შესაძლებელი გახდეს არანაკლებ 1-მეტრიანი დისტანციის დაცვა. ზემოაღნიშნული საკითხების მენჯმენტი უნდა განხორციელდეს მარეგულირებლის მიერ მოწოდებული რეკომენდაციების (ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. დანართი #37) შესაბამისად.

ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეგულაციების გათვალისწინებისას უაღრესად მნიშვნელოვანია სასკოლო თემის ჩართულობა და ინფორმირება ახალი რეგულაციებისა და ცვლილებების შესახებ. აქედან გამომდინარე:

- სკოლამ უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა, მასწავლებელთა, მშობელთა და სკოლასთან დაკავშირებულ სხვა პირთა ინფორმირება ახალი რეგულაციებისა და ცვლილებების შესახებ. პროცესის ეფექტიანი წარმართვისათვის სკოლაში უნდა განისაზღვროს მიზნობრივი ჯგუფები, რომლებსაც უნდა მიეწოდოთ, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულად ამ ჯგუფებისთვის განკუთვნილი ინფორმაცია (მაგალითად, დაწყებითი კლასის მოსწავლეთა მშობლები, საშუალო საფეხურის მოსწავლეები და ა.შ.);
- მიზნობრივი ჯგუფებისათვის უნდა განისაზღვროს მათთვის ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირები და მათი კოორდინატორი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პროცესის დაგეგმვაზე, ზედამხედველობასა და მხარდაჭერაზე. მცირეკონტინგენტიან სკოლებში ინფორმაციის გავრცელების პროცესის კოორდინატორი შესაძლებელია იყოს დირექტორი ან დირექტორის მოადგილე. დიდ სკოლებში შესაძლებელია არსებობდეს რამდენიმე კოორდინატორი, რომლებიც ანგარიშვალდებულნი იქნებიან დირექტორის წინაშე;
- მიზნობრივი ჯგუფებისათვის ინფორმაციის მიწოდების პროცესში ეფექტიანი იქნება ამავე ჯგუფის აქტიური წარმომადგენლების ჩართვა (მაგალითად, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მშობლების და სხვა.);

- ინფორმაციის ეფექტიანად გავრცელებისათვის სკოლამ, საკუთარი სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა განსაზღვროს ინფორმაციის მიწოდების ერთი ან რამდენიმე წყარო (ელექტრონული ფოსტა, დისტანციური შეხვედრებისთვის ხელსაყრელი პლატფორმა და სხვა);
- ინფორმაციის გავრცელების დროს მის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირი უნდა დარწმუნდეს, რომ მისი სამიზნე ჯგუფის ყველა წევრი გაეცნო მიწოდებულ ინფორმაციას (ინფორმაციის მიღების და გაცნობის დადასტურება ელ. ფოსტით, შეხვედრების აღრიცხვა და ა.შ.);
- ინფორმაციის გავრცელების შემდგომ უნდა დაიგეგმოს ცვლილებების დანერგვის აქტივობები. ახალი რეგულაციების დანერგვისათვის შესაძლებელია შემუშავდეს შესაბამისი წახალისებისა და დისციპლინარული საკითხების ერთობლიობა, რომელთა შესახებაც წინასწარ უნდა მოხდეს სასკოლო თემის ინფორმირება. მნიშვნელოვანია, რომ პრიორიტეტი მიენიჭოს უფრო წახალისებისა და მოტივირების სტრატეგიებს, ვიდრე დასჯის პრაქტიკას (მაგალითად, გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ კლასები, სადაც საუკეთესოდ იცავენ არსებულ რეგულაციებს და ა.შ.);
- დამატებით კითხვებზე პასუხის მისაღებად სკოლის თემის ყველა წარმომადგენლისთვის უნდა იყოს ცნობილი ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია.

მოსწავლის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული მიდგომა სკოლებში

წინამდებარე თავში მიმოვიხილავთ მოსწავლის უფლებებს, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ყველასთვის, ვინც მუშაობს მათთან; აუცილებელია მისი ძირითადი პრინციპების გამოყენება ყოველდღიურ პრაქტიკაში. აქვეა გაანალიზებული COVID-19-ის პანდემიის პერიოდში სკოლების როლი მოსწავლის უფლებების დაცვის მიმართულებით.

მოსწავლის უფლებების დაცვა ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა COVID-19-ის პანდემიის პირობებში, – ამან აუცილებელი გახადა მისი ჯანმრთელობის უფლებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის, კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფისა და განათლების უფლების რეალიზების მიმართულებით დამატებითი ღონისძიებების გატარება. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, ზოგადი განათლების მიწოდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიზისის დროს ეფუძნებოდეს მოსწავლის უფლებების დაცვის პერსპექტივას.

მოსწავლის უფლებები ოთხ ძირითად კატეგორიად იყოფა: სიცოცხლე, განვითარება, დაცვა და მონაწილეობა. სიცოცხლის უფლება გულისხმობს, რომ მოსწავლეს უნდა მიეწოდებოდეს შესაბამისი ხარისხის სამედიცინო მომსახურება, წყალი და ჰიგიენის დაცვის საშულებები. დაცვა ყველა მოსწავლის ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისა და ექსპლუატაციისგან დაცვას მოიაზრებს, მათ შორის იგულისხმება მოსწავლეების უსაფრთხოების დაცვა ნებისმიერ გარემოში, მაგალითად, სკოლებში. სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია COVID-19-ის პანდემიის პირობებში თავისი რესურსები მაქსიმალურად გამოიყენოს მოსწავლის უსაფრთხოების დასაცავად. მოსწავლეებს უფლება აქვთ მიიღონ ინფორმაცია მათთვის გასაგები ენით იმ მოვლენებზე, რომლებიც მათზე ახდენს გავლენას და მათ შეეხებათ. ამასთან, დააფიქსირონ თავისი მოსაზრება, რომელიც გასათვალისწინებელია ზრდასრულების მიერ გადაწყვეტილებების მიღების დროს. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გაუჩნდათ კითხვა, რატომ უწევთ ახალი წესების დაცვა, რა არის COVID-19, მათ მათი ასაკისათვის შესაბამისი ფორმით უნდა მიიღონ ამ კითხვებზე პასუხი. რაც შეეხება მეოთხე კატეგორიას (მოსწავლის განვითარების უფლებას), ის ფაქტობრივად მიემართება ყველა სხვას და მოიცავს მოსწავლისთვის ხარისხიანი ზოგადი განათლების მიწოდებასა და საკუთარი შესაძლებლობების სრულად გამოვლენისთვის შესაბამისი პირობების შექმნას.

სკოლის როლი მოსწავლის უფლებების დაცვის მიმართულებით

მოსწავლის უფლებების დაცვა გულისხმობს იმის გათავისებას, რომ ის დგას ყველა მოვლენის ცენტრში. სკოლების აღნიშნული ვალდებულებები კიდევ უფრო აქტუალურია COVID-19-ის პანდემიის პირობებში, როდესაც დამატებითი გამოწვევები წარმოიშვა მოსწავლეებისათვის ზოგადი განათლების მიწოდებისა და ამ პროცესში მათი ჯანმრთელობის უფლების დაცვის მიმართულებით.

> მნიშვნელოვანია, სკოლებმა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიზისის პირობებში შექმნან უსაფრთხო გარემო, რომ შეძლებისდაგვარად მოხდეს COVID-19-ის გავრცელების პრევენცია. მაგალითად, გაითვალისწინონ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხების მარეგულირებელი ყველა რეკომენდაცია და შექმნან მოსწავლისათვის უსაფრთხო ფიზიკური და სოციალური გარემო.

იმ შემთხვევაში, თუ პანდემიის გამო დადგება დისტაციური მომსახურების გაწევის აუცილებლობა, მოახდინონ მომსახურების ხარისხიანად მიწოდება და ეცადონ დისტანციური მომსახურება მიეწოდოს მაქსიმალურად ყველა მოსწავლეს.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის კრიზისის პირობებში მოსწავლის განვითარების უფლება, რომელიც სხვა უფლებებთან ერთად მოიაზრებს ხარისხიანი და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ზოგადი განათლების მიღებას, ახალი სირთულეების წინაშე დადგა. დისტანციურმა სწავლებამ მოსწავლეებისათვის სახლის პირობებში სწავლისათვის შესაბამისი გარემოს შექმნის აუცილებლობა წარმოშვა. იმისთვის, რომ დისტანციური სწავლებისათვის მოსწავლეს შეექმნას მასზე ორიენტირებული გარემო, ესაჭიროება წინასწარ განსაზღვრული და სტაბილური გარემო, მისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს რუტინა დღის განმავლობაში, შენარჩუნებული უნდა იყოს თანმიმდევრული განრიგი ძილის, ჭამის, მეცადინეობისა და ეზოს აქტივობებისათვის.

> რეგულარული და თანმიმდევრული განრიგი დაეხმარება მოსწავლეებს გაიუმჯობესონ ძილი. სტრუქტურირება უზრუნველყოფს სტაბილურობას მოსწავლისათვის, უმჯობესდება მისი ქცევა და და საბოლოოდ, მათი ჯანმრთელობა.
>
> წინასწარ განსაზღვრული და სტაბილური გარემო მნიშვნელოვანი წინაპირობაა მოსწავლის ეფექტური ჩართვისთვის დისტანციური ზოგადი განათლების მიღების პროცესში. რეკომენდებულია, ონლაინ ჩართვები ხორციელდებოდეს ერთი კონკრეტული, წინასწარ განსაზღვრული ადგილიდან, სადაც მოსწავლეს მიეცემა მშვიდად, ზედმეტი გარე ჩარევების გარეშე ონლაინ აქტივობებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შექმნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საიზოლაციო ოთახში მოსწავლის გაყვანის შემთხვევაში. ამ დროს აუცილებელია მთლიანი პროცესი დაფუძნებული იყოს მოსწავლისათვის სტრესის მაქსიმალურად შემცირებაზე. ამისთვის მნიშვნელოვანია, როგორც საიზოლაციო ოთახის ფიზიკური გარემო, ისე მოსწავლესთან კომუნიკაცია, მისთვის დაცული და უსაფრთხო გარემოს შექმნა.

ზოგადი განათლების მიწოდების დროს აუცილებელია გათვალისწინებული იყოს მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებები, გარემო მაქსიმალურად ინკლუზიური უნდა იყოს. ეს მოთხოვნა ეხება როგორც კონტაქტური, ისე დისტანციური სწავლების ფორმატს. მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შემთხვევაში დამატებითი ადამიანური და ფინანსური რესურსი უნდა იყოს გამოყოფილი, რომ შესაძლებელი გახდეს მათთვის ზოგადი განათლების მიღება სხვა მოსწავლეების თანასწორად.

> გახსოვდეთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობისა და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის არათუ განათლების მიღებაზე უარის თქმა არის დისკრიმინაცია, არამედ ისიც, რომ მას არ ვუქმნით სათანადო პირობებს განათლების მისაღებად.

ჯანმრთელობის უფლების დაცვა

ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას, რომელიც შეეხება მოსწავლეს, უმთავრესი ყურადღება ეთმობა მოსწავლის საუკეთესო ინტერესის დაცვას. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეებს ძირითადად აქვთ საერთო უნივერსალური საჭიროებები, აღნიშნული საჭიროებების გამოხატვა დამოკიდებულია პერსონალურ, ფიზიკურ, სოციალურ და კულტურულ ასპექტებზე, მათ შორის მათი განვითარების შესაძლებლობაზე. ამიტომ ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ისეთი დაცვითა და მზრუნველობით, რომელიც აუცილებელია მისი კეთილდღეობისათვის.

მოსწავლის საუკეთესო ინტერესზე საუბრის დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული როგორც ინდივიდუალური მოსწავლე, ისე მოსწავლეები, როგორც ჯგუფი. კონკრეტული მოსწავლის საუკეთესო ინტერესი გულისხმობს, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც უკავშირდება მოსწავლეზე ზრუნვას, მისი ჯანმრთელობისა და განათლების უფლების დაცვას, ეფუძნებოდეს მის საუკეთესო ინტერესს, მათ შორის მშობლისა და სხვა პროფესიონალების გადაწყვეტილებებს. რაც შეეხება მოსწავლეთა ჯგუფის საუკეთესო ინტერესს, ამ შემთხვევაში ზოგადი განათლების მიმწოდებელმა დაწესებულებებმა ნებისმიერი გადაწყვეტილება ისე უნდა მიიღონ, რომ გაითვალისწინონ როგორც ინდივიდუალური, ისე ყველა მოსწავლის საუკეთესო ინტერესი, შეაფასონ, რა გავლენას მოახდეს ეს გადაწყვეტილება როგორც ერთ მოსწავლეზე, ისე მთლიანად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მყოფ მოსწავლეებზე.

მოსწავლის ჯანმრთელობის უფლების დაცვა წარმოადგენს მოსწავლის საუკეთესო ინტერესის შეფასების ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს. ჯანმრთელობის უფლებაში იგულისხმება როგორც მოსწავლის ფიზიკური, ისე ფსიქიკური ჯანმრთელობა. ჯანმრთელობის უფლების დაცვის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ის რისკები და გვერდითი მოვლენები, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს როგორც ერთი კონკრეტული მოსწავლის, ისე მოსწავლეთა ჯგუფის ჯანმრთელობას.

COVID-19-ის პანდეიმის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულების ნებისმიერი გადაწყვეტილება ეფუძნებოდეს სწორედ მოსწავლის საუკეთესო ინტერესის დაცვას, მისი ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებების გათვალისწინებასა და ვირუსის გავრცელების პრევენციას.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიზისის პირობებში დისტანციური სწავლების საჭიროებასთან ერთად ახალი გამოწვევები წარმოშვა მოსწავლის ჯანმრთელობის უფლების დაცვის მიმართულებით. კერძოდ, მოსწავლეთა და მოზარდთა განვითარებისა და განათლების უფლების დაცვის მიმართულებით კომპიუტერული და ტელე-სასწავლო პროგრამების გამოყენება კიდევ უფრო აქტუალური გახდა. მართალია, ინფორმაციის გაცვლის აღნიშნული საშუალებები მოსწავლეს ეხმარება სხვადასხვა უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებაში, მაგრამ კომპიუტერის და ტელევიზორის ეკრანთან დიდი დროის გატარებას აქვს თავისი უარყოფითი გავლენა მისი ემოციური განვითარების, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის კუთხით (ესენია: მხედველობის პრობლემები, ქცევითი დარღვევები, უძილობა, სიმსუქნე და სხვა). სწორედ ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლის მიერ კომპიუტერის გამოყენებასა და ტელევიზორის ეკრანთან დროის გატარების რეგულირებას. აღნიშნულმა საკითხმა კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა COVID-19-ის პანდემიის პირობებში, როდესაც მოსწავლეები დისტანციური სწავლების ფორმით ახერხებდნენ ზოგადი განათლების მიღებასა და პედაგოგებთან ურთიერთობას.

მნიშვნელოვანია, ელექტრონული სინქრონული ფორმით დისტანციური სწავლების დროს დაწყებით კლასებში გაკვეთილების ხანგრძლივობა არ აღემატებოდეს 15-20 წუთს, საბაზო საფეხურზე – 25-30 წუთს, ხოლო საშუალო საფეხურზე – 35-40 წუთს. აუცილებელია გაკვეთილებს შორის 10-15-წუთიანი შესვენებები, რა დროსაც მოსწავლე ეკარანთან არ გაატარებს დროს. რეკომენდე-

ბულია, რომ გაკვეთილები შეიცავდეს სხვადასხვა ინტერაქტიული მეთოდის გამოყენებას. პერიოდულად შეიძლება ჩატარდეს თვალის ვარჯიში, მაგ.: ეკრანიდან მზერის გადატანა შორს მდებარე საგანზე, თვალის 5-6-ჯერ დახამხამება.

11 წლამდე ასაკის მოსწავლეების მშობლები უმჯობესია იმყოფებოდნენ პასიური დამსწრე პირების როლში დისტანციური გაკვეთილების დროს. ეს დაეხმარება მოსწავლეებს, უფრო ფოკუსირებულები იყვნენ გაკვეთილის შინაარსზე. მნიშვნელოვანია, რომ ეკრანთან მუშაობის პროცესში ოთახი კარგად იყოს განათებული და მოსწავლე მაგიდასთან იჯდეს.

მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვა და უსაფრთხოება

ყველას აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, მათ შორის მოსწავლეებსაც. სკოლა ის ადგილია, სადაც მოსწავლე დღის დიდ ნაწილს ატარებს და მის შესახებ ბევრი მონაცემი ინახება. სკოლა ვალდებულია დაიცვას მოსწავლის პერსონალური მონაცემები და იმოქმედოს მისი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს ყველა შემთხვევაში სხვა პირების/ორგანიზაციების ინტერესებზე წინ მოსწავლის ინტერესების დაყენებას. ამავე დროს, მისი საუკეთესო ინტერესის შეფასება ყველა კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს ინდივიდუალურად ისეთი გარემოებების გათვალისწინებით, როგორიცაა: მოსწავლის შეხედულებები და მისწრაფებები, ასაკი, პირადი ისტორია, უსაფრთხოება, ოჯახური გარემო, კეთილდღეობა, თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობა და ა.შ.

COVID-19 პანდემიის პირობებში მოსწავლეებისათვის განათლების მიწოდების მიზნით დღის წესრიგში დადგა ონლაინ სწავლების გამოყენების საჭიროება, რომელმაც წარმოშვა დამატებითი გამოწვევები მოსწავლის პერსონალური ინფორმაციის და უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით.

მოსწავლეს, როგორც მონაცემთა სუბიექტს, უფლება აქვს, რომ მისი პერსონალური მონაცემები დამუშავდეს კანონიერად, სამართლიანად და ღირსების შეულახავად. მას აქვს უფლება იცოდეს, ვინ და რა სახის მონაცემებს ამუშავებს მის შესახებ, რა მიზნითა და საფუძვლით.

რა არის პერსონალური მონაცემები?

პერსონალური მონაცემები არის ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომლითაც შესაძლებელია მოსწავლის იდენტიფიცირება (მაგალითად: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ფოტო, ვიდეოჩანაწერი, სოციალური ქსელის ანგარიში, პირადი მიმოწერა, რომელ სკოლაში და კლასში სწავლობს, ინფორმაცია მისი ინტერესების შესახებ, ინფორმაცია მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და ა.შ.).

რა არის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები?

არსებობს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებიც. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ დასაცავად გამორჩეულად მაღალი სტანდარტია დაწესებული, რადგან უფრო მეტია ასეთი მონაცემების გამჟღავნების შემთხვევაში მოსწავლისათვის მიყენებული ზიანის მასშტაბები. ამ კატეგორიას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომლებიც დაკავშირებულია მოსწავლის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან, დაზარალებულად ცნობასთან და ა.შ.

როგორ უნდა დავიცვათ ინფორმაცია მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ?

ჯანმრთელობა ნებისმიერი ჩვენგანისთვის განსაკუთრებული ღირებულებაა, მის შესახებ ინფორმაცია კი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს მიეკუთვნება. ამის მიზეზი ისაა, რომ მონაცემები ჩვენი ჯანმრთელობის შესახებ (მათ შორის დიაგნოზი, ავადმყოფობის ისტორია, რეცეპტი თუ მკურნალობის გეგმა) შესაძლოა საკმაოდ მოცულობით და მგრძნობიარე ინფორმაციას შეიცავდეს ჩვენს პირად ცხოვრებაზე, მათი გამჟღავნებით კი სერიოზული ზიანი მოგვადგეს. მხოლოდ მისი თანხმობის შემთხვევაშია შესაძლებელი მისი გადაცემა მესამე პირისთვის, თუმცა ეს უნდა იყოს წერილობით გამოხატული.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის კრიზისის დროს კიდევ უფრო პრობლემური ხდება პერსონალური მონაცემების დამუშავება. ყველას გვაქვს უფლება მივიღოთ ინფორმაცია ვირუსის გავრცელების საფრთხეებისა და სხვა პრევენციული ღონისძიებების შესახებ. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანის უფლებების, მათ შორის პერსონალური მონაცემების დაცვა. სწორედ ამიტომ, იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში მოსწავლეს დაუფიქსირდება მაღალი ტემპერატურა (37^{0}C და მეტი), აუცილებელია დავიცვათ კონფიდენციალობა და არ გავამჟღავნოთ ეს ინფორმაცია.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ აუცილებელი არ არის მოსწავლის სახელისა და გვარის დასახელება, საკმარისია ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც იძლევა პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

როგორ დავიცვათ მოსწავლის პერსონალური მონაცემები დისტანციური სწავლების დროს?

COVID-19-ის პანდემიის პერიოდში სკოლები დისტანციურ სწავლებაზე გადავიდნენ. ონლაინ სწავლების პარალელურად, სოციალურ ქსელებში ვრცელდებოდა ონლაინ სწავლების ამსახველი ფოტო-, ვიდეომასალა.

ონლაინ სწავლების ამსახველი მასალა (ფოტო, ვიდეოგამოსახულება) წარმოადგენს მოსწავლის პერსონალურ მონაცემებს, რაც უნდა იქნეს გათვალისწინებული მათი გასაჯაროებისას, ვინაიდან ინტერნეტში ყველასთვის ხელმისაწვდომი ფორმით ამ მონაცემების გასაჯაროებამ შესაძლოა არასასურველი ზეგავლენა მოახდინოს მასზე (გახდეს ბულინგის ან სხვა სახის არასასურველი მოპყრობის ობიექტი).

შესაბამისად, სკოლები, ამ დაწესებულებებში დასაქმებული პირები, ასევე, მშობლები და ოჯახის წევრები, მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ მოსწავლის მონაცემების გასაჯაროებას და იმოქმედონ მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

რა ვალდებულებები აქვს სკოლას მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით?

- არ გასცეს ინფორმაცია მოსწავლის პერსონალური მონაცემების შესახებ სხვა პირებზე;
- გაასწოროს არაზუსტი მონაცემები და გაანადგუროს უსაფუძვლოდ შეგროვებული მონაცემები. მაგალითად ფოტო- და ვიდეომასალა სოციალურ ქსელში;
- წაშალოს მოსწავლის პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია მშობლის და/ან მოსწავლის მოთხოვნის შემთხვევაში (მაგალითად, თუ მშობელმა და/ან მოსწავლემა ნება დაგრთოთ განგეთავსებინათ ფოტო სკოლის ვებგვერდზე/სოციალურ ქსელში და შემდეგ გადაიფიქ-

რა. მას აქვს უფლება მოითხოვოს აღნიშნული ფოტოს წაშლა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე);
- დაიცვას მოსწავლის პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება;
- აკონტროლოს ვიზიტორების შენობაში შესვლა და შენობიდან გასვლა, ასევე, აღრიცხოს მათი სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ნომერი და სახე, მისამართი, შესვლისა და გასვლის თარიღები და დრო, ასევე შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის მიზეზები.

როგორ დავიცვათ მოსწავლის უსაფრთხოება ინტერნეტის მოხმარების დროს?

მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტსივრცის გამოყენებას თავისი დადებითი მხარეები აქვს, ის შეიცავს მნიშვნელოვან საფრთხეებს მოსწავლეებისათვის (მაგალითად, ვირუსის გადმოწერა, შეუსაბამო შინაარსის შემცველი მასალის ნახვა, პერსონალური ინფორმაციის გაცემა, სექსუალური ძალადობა/შევიწროვება, კიბერბულინგი და ა.შ.). ინტერნეტსივრცეში არაინფორმირებულმა და გაუაზრებელმა ქმედებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსწავლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. ონლაინ სწავლების დროს მოსაწავლეები კიდევ უფრო მეტ დროს ატარებენ ონლაინ სივრცეში და, შესაბამისად, იზრდება კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობა. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, მოსწავლეების ინფორმირება ინტერნეტის უსაფრთხო გამოყენების შესახებ.

- აუხსენით მოსწავლეებს, რა არის პერსონალური მონაცემები და უთხარით, რომ არ უნდა განათავსონ ინტერნეტში ისეთი მონაცემები, როგორიცაა სახლის მისამართი, ტელეფონის ნომერი, პაროლი და სხვა;
- განუმარტეთ მათ, რომ ქსელში უცნობ ადამიანებთან კომუნიკაცია სახიფათოა (უცნობი შეიძლება იტყუებოდეს და მალავდეს რეალურ ასაკს, ვინაობას);
- აუხსენით მოსწავლეს, რომ დაუშვებელია თქვენი თანხმობისა და მეთვალყურეობის გარეშე ინტერნეტსივრცის გარეთ უცნობ ადამიანებთან შეხვედრა;
- დაარწმუნეთ მოსწავლეები, რომ არ უნდა გახსნან უცხო პირებისგან მიღებული ელექტრონული წერილები და ბმულები, რადგან ისინი შეიძლება შეიცავდეს ვირუსს;
- გააფრთხილეთ მოსწავლეები, რომ სხვისი ელექტრონული მოწყობილობის გამოყენებისას არ უნდა მონიშნონ მომხმარებლის/პაროლის დამახსოვრების ველი (remember me/remember password) და უნდა გამოვიდნენ პროგრამიდან/ქსელიდან (log out) მისი გამოყენებისთანავე.

COVID 19-ის პანდემიის დროს მოსწავლეები კიდევ უფრო მეტ დროს ატარებენ ონლაინსივრცეში, რაც შესაძლებელია ზრდიდეს კიბერბულინგის მეტად გავრცელების რისკს. ბულინგი არის არასასურველი, აგრესიული ქცევის ფორმა ერთი მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფის მიერ სხვა მოსწავლეზე. ის მოიცავს ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და სოციალურად დამაზიანებელ განმეორებად ქცევებს. კიბერბულინგი სოციალური ბულინგის ფორმადაც შეიძლება განვიხილოთ, რომელიც მოიცავს დამაზიანებელი ტექსტების ან ფოტოების გამოქვეყნებას ინტერნეტის გამოყენებით. შესაბამისად, რეკომენდებულია კიდევ უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინოთ მოსწავლეების ქცევის მიმართ სოციალურ ქსელში, რომ არ გამოგეპაროთ მოსწავლეების არასასურველი, აგრესიული ქცევა ერთმანეთის მიმართ.

მოსწავლის ინფორმირებულობა და ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

მოსწავლის აზრის მოსმენა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა იმ თემებზე, რომელიც მათ შეეხებათ, მოსწავლის უფლებების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია. ეს პრინციპი გათვალისწინებული უნდა იყოს ნებისმიერი უფლებით სარგებლობის, განსაკუთრებით კი ჯანმრ-

თელობისა და განათლების უფლებების დაცვის დროს. მოსწავლის აზრის მოსმენა ამავე დროს ითვალისწინებს მისთვის გასაგები ფორმით ინფორმაციის მიწოდებას.

როგორ დავუჭიროთ მხარი მოსწავლეს, დააფიქსიროს თავისი აზრი?

- ყოველთვის უნდა დავანახოთ მას, რომ მისი აზრი გვაინტერესებს და ყურადღებით მოვუსმინოთ;
- შევუქმნათ ისეთი გარემო, სადაც თავს კომფორტულად გრძნობს;
- სანამ მოსწავლეს თავისი შეხედულების დაფიქსირებას ვთხოვთ, უნდა ავუხსნათ, რატომ ვეკითხებით ამ ინფორმაციას და რაში გვჭირდება;
- საუბრის დროს მუდმივად უნდა ვაგრძნობინოთ, რომ პატივს ვცემთ მას.

გვახსოვდეს, რომ ზოგიერთ მოსწავლეს (მაგალითად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეს) შესაძლებელია უჭირდეს საკუთარი შეხედულებების გამოხატვა ვერბალური კომუნიკაციის ფორმით, ანუ, სიტყვებით და უპირატესობას სხვა, ალტერნატიულ ფორმებს ანიჭებდეს (მაგალითად, თამაში, სხეულის მოძრაობა, ხატვა და ძერწვა).

მოსწავლის ინფორმირებისა და მისი აზრის მოსმენის უფლებამ COVID-19-ის პანდემიის პირობებში დამატებითი მნიშვნელობა შეიძინა. ისინი ჩართულები უნდა იყვნენ მათ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას (მაგალითად, რა სახის მკურნალობა უნდა ჩაუტარდეთ, რა ეფექტები და შედეგები ექნება მას, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს).

სკოლის ასაკის მოსწავლეებს აქვთ უფრო მეტი კითხვები. თქვენი ახსნა უნდა იყოს მარტივი და ფაქტებზე დაფუძნებული.

- გამოიყენეთ მშვიდი ტონი, მოუსმინეთ მათ შიშს, უპასუხეთ კითხვებს ფაქტებით და არა გამოგონილი ამბებით;
- გამოხატეთ, რომ გესმით მათი გრძნობები და წუხილი;
- აღნიშნეთ, რომ ადამიანები, ვინც მათზე ზრუნავენ, იზრუნებენ მათ უსაფრთხოებაზე;
- დაინტერესდით მათი იდეებითა და უნარებით;
- დაიწყეთ ისეთი სენსიტიური თემების გაცნობა, როგორიცაა გაბრაზება, ძალადობა, შეზღუდული შესაძლებლობა; განსაკუთრებული აქცენტი გააკეთეთ პანდემიის თემებზე;
- მოდელირება გაუკეთეთ პროსოციალურ აქტივობებს, როგორიცაა სიკეთე და მზრუნველობა;
- შესთავაზეთ მოსწავლეზე ორიენტირებული მოთხრობები და გმირები.

I-VI კლასის შემთხვევაში მოსწავლეების კითხვებზე პასუხი უნდა იყოს მარტივი და ეფუძნებოდეს ფაქტებს. შესაძლებელია, გამოიყენოთ ქვემოთ მოცემული პასუხები იმისათვის, რომ მარტივად და გასაგები ფორმით მიაწოდოთ მათ (ასაკი: 6-11 წელი) ინფორმაცია COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებულ თემებზე:

რა არის კორონავირუსი?

კორონავირუსი არის ახალი ტიპის მიკრობი, რომელიც ვრცელდება მთელ მსოფლიოში. ვირუსის გადადების შემთხვევაში ადამიანს აქვს გაციების სიმპტომები. ადამიანები, რომლებიც ვირუსით დაინფიცირდებიან, აქვთ ხველა, ცემინება, შესაძლებელია სიცხე და უჭირთ სუნთქვა. ცემინებისა და ხველის დროს ვირუსი ჰაერში ხვდება და აინფიცირებს სხვა ადამიანებს.

მე გავხდები ავად?

ყველა ადამიანი ზოგჯერ ავად ხდება, მაგრამ მოსწავლეების უმეტესობა ძლიერად არ ავადდებიან კორონავირუსით. თუ ავად გახდები, გექნება ისეთი შეგრძნება, თითქოს გაცივდი. უნდა იყო განსაკუთრებულად ფრთხილად ამ დროს, რომ დაიცვა სხვა ადამიანები. ჯანსაღი საკვები და სასმელი, დიდხანს ძილი დაგეხმარება გამოჯანმრთელებაში.

რატომ ვერ ვნახულობ ბებიასა და ბაბუას?

ხანდაზმული ადამიანები ან ადამიანები, რომელთაც აქვთ სხვა დაავადებები, უფრო მეტად შეიძლება დაავადდნენ. ამიტომ ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მათ ჯანმრთელობას საფრთხე არ შეექმნას.

რატომ ატარებენ ადამიანები პირბადეს?

პირბადე აჩერებს ვირუსის გავრცელებას. მასში შედის და გამოდის ჰაერი, მაგრამ არა მიკრობები. პირბადის ტარება არ არის ადვილი, მაგრამ ეს არის საშუალება, რომ ვირუსის გავრცელება შევაჩეროთ.

12-18 წლის მოსწავლეების (VII-XII კლასი) შემთხვევაში შესაძლებელია, გამოიყენოთ ქვემოთ წარმოდგენილი პასუხები იმისათვის, რომ მარტივად და გასაგები ფორმით მიაწოდოთ ინფორმაცია COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებულ თემებზე:

რა არის კორონავირუსი?

2019 წლის ბოლოს ახალი ტიპის კორონავირუსი გამოჩნდა, რომელიც ხასიათდება გრიპის სიმპტომებით. დაავადებას ეძახიან კორონავირუს-19-ს. ის კორონავირუსების ოჯახიდან არის, რომელსაც გვირგვინის მსგავსი ფორმა აქვს. კორონავირუსს შეუძლია გამოიწვიოს ხველა, სუნთქვის გაძნელება, ცემინება. სიმპტომები ისეთია, თითქოს ადამიანი გაციებულია ან გრიპი აქვს. დაავადება უფრო რთულად მიმდინარეობს იმ შემთხვევაში, თუ ადამიანს საერთოდ აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. მაგრამ ადამიანების უმეტესობა, განსაკუთრებით მოსწავლეები, შესაძლებელია საერთოდ ვერ გრძნობდნენ ავადმყოფობას ან ჰქონდეთ ძალიან მსუბუქი სიმპტომები.

როგორ ხდებიან ადამიანები ავად კორონავირუსით?

კორონავირუსი გადადის ადამიანიდან ადამიანზე. შენ შეიძლება დაინფიცირდე ჰაერში ვირუსის მოხვედრით, როდესაც სხვა ადამიანი ახველებს, ლაპარაკობს ან აცემინებს. ასევე, შესაძლებელია დაინფიცირება ისეთ ზედაპირთან შეხებით, რომელზეც ვირუსია და შემდეგ შეეხები შენს პირს, ცხვირს ან თვალებს.

როგორ დავიცვათ თავი დაინფიცირებისგან?

ჩვენ შეგვიძლია დავიცვათ საკუთარი თავი და სხვები, თუ დავიცავთ დისტანციას სხვა ადამიანებისგან, დავიბანთ ხელებს ხშირად, თავს შევიკავებთ პირთან, ცხვირთან და თვალებთან ხელების შეხებისგან. ზოგიერთი ადამიანი შეიძლება დაინფიცირდეს, მაგრამ არ ჰქონდეთ სიმპტომები. ამის მიუხედავად, შესაძლებელია, მათ სხვებს გადასდონ ვირუსი.

მოსწავლის დაცვა ძალადობისგან

მოსწავლეზე ძალადობად მიჩნეულია ნებისმიერი ქმედება, აღზრდის ძალადობრივი ფორმა, რომელიც საფრთხეს უქმნის მის განვითარებას, ფიზიკურ და ფსიქიკურ კეთილდღეობას. ძალადობა წარმოადგენს მოსწავლის უფლებების დარღვევას. ამ დროს არა აქვს მნიშვნელობა, ეს ქმედება ხორციელდება განზრახ თუ მის გარეშე. ამოსავალი არის ის დამაზიანებელი გავლენა, რაც მოსწავლეს ადგება ძალადობით.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კრიზისის დროს სხვა გამოწვევებთან ერთად იზრდება მოსწავლეზე ძალადობის რისკი, რაც პირდაპირ კავშირშია იმ სოციალურ, ეკონომიკურ და ემოციურ გამოწვევებთან, რასაც იწვევს მსგავსი კრიზისები. შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლის მზრუნველობაში ჩართული პირების მიერ ძალადობის ნიშნების გამოვლენასა და ამ ძალადობის რეაგირებაზე პასუხისმგებელი ორგანოებისათვის მსგავსი შემთხვევების შეტყობინებას.

ძალადობის ნიშნებზე დაკვირვება და ამოცნობა უნდა განხორციელდეს როგორც დასწრებით, ისე დისტანციური სწავლების დროს. დისტანციური ზოგადი განათლების განხორციელების შემთხვევაში მასწავლებლებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ ძალადობის ისეთ ნიშნებზე, რომელთა ვიზუალურად დანახვა და მოსმენით გაგება არის შესაძლებელი. მაგალითად, მასწავლებლის თანდასწრებით მშობელი მოსწავლეზე ფსიქოლოგიურად ძალადობს, უყვირის, აჯანჯღარებს, ჩქმეტს, ემუქრება ფიზიკური დასჯით, შეურაცხყოფას აყენებს, წამოარტყამს და ა.შ.

საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება სკოლებში

მსოფლიოს მასშტაბით დისტანციური სწავლების ჰიბრიდულ მოდელზე გადასვლა პანდემიის დაწყებამდეც ხდებოდა ეტაპობრივად. შესაბამისად, აღნიშნული მოდელი სიახლეს არ წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში, სირთულე იყო დროის ფაქტორი, რომელშიც სასკოლო სისტემას გადაწყობა მოუწია. ამის საპირისპიროდ დისტანციური განათლება მოითხოვს სისტემურ მომზადებას და მასზე ეტაპობრივად გადასვლას.

როგორც ცნობილია, 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრი საქართველოშიც ისეთი მნიშვნელოვანი ხარვეზებით წარიმართა, როგორიცაა მოსწავლეთა ჩართულობისა და დისტანციური სწავლების დაბალი ხარისხი. ამ გარემოებებმა მოსწავლეებს შეუქმნა სხვადასხვა ტიპის პრობლემები, როგორც სწავლა-სწავლების, ისე ფსიქოლოგიური და სოციალურ-ემოციური თვალსაზრისით. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სრულფასოვანი ჩართულობა ჩვეულ სასწავლო რეჟიმში, მნიშვნელოვანია, სასწავლო პროცესის ეფექტიანი დაგეგმვა (სწავლების ორგანიზების სხვადასხვა ვარიანტების სანახავად იხ. დანართი N2).

აქედან გამომდინარე, მოსამზადებელ ეტაპზე სკოლებმა უნდა გაითვალისწინონ როგორც ტექნიკური საკითხები (როგორიცაა სასწავლო პროცესის ორგანიზების საკითხები), ასევე შინაარსობრივი თემატიკა – სასკოლო სასწავლო გეგმა, სწავლების მიდგომები, შეფასება და სხვა.

პირველ რიგში, სკოლას სასწავლო წლის დაწყებამდე განსაზღვრული უნდა ჰქონდეს სწავლების წარმართვის ფორმა. ამ შემთხვევაში მთავარი კითხვაა, გამოიყენებს თუ არა სკოლა დისტანციური სწავლების შესაძლებლობას. ნებისმიერ შემთხვევაში, სტანდარტულ საკითხებთან ერთად, უსაფრთხოების ნორმების დასაცავად გათვალისწინებული უნდა იყოს არსებული რეგულაციები; მაგალითად: გაკვეთილების ცხრილის შედგენისას სხვადასხვა კლასის მოსწავლეთათვის შესვენებების განსხვავებულ დროს დაგეგმვა; ასევე, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული კლასისა თუ მოსწავლეთა ჯგუფებისათვის კონკრეტული თავისუფალი სივრცეების გამოყოფა შესვენებების დროს; გადაადგილების წესისა თუ მოძრაობის ნაკადების განსაზღვრა და კონტროლი და ა.შ.

2020-2021 აკადემიური წლის სასწავლო პროცესის ორგანიზების კუთხით, შესაძლოა გამოვყოთ ორი ძირითადი ამოცანა:

ა) 2019-2020 წლის მეორე სემესტრში მოსწავლეთა მიღწევებში ჩამორჩენის აღმოფხვრა;

ბ) 2020-2021 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის განვითარება სწავლა-სწავლების ყველა სცენარის გათვალისწინებით,

ა) 2019-2020 წლის მეორე სემესტრში მოსწავლეთა მიღწევებში ჩამორჩენის აღმოფხვრა

- სკოლამ უნდა შექმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოახდენს იმ მოსწავლეების იდენტიფიცირებას, რომელთაც გასული სემესტრში კრიზისულ ვითარებაში წარმართული სასწავლო პროცესის გამო შეექმნათ პრობლემები სწავლა-სწავლების თუ ფსიქოლოგიური და სოციალურ-ემოციური მიმართულებით;

- საჭიროების შემთხვევაში, საგნობრივი კათედრების მიერ უნდა შემუშავდეს იდენტიფიცირების ისეთი ინსტრუმენტები, რომლებიც იქნება მაქსიმალურად მოქნილი და ინფორმატიული (მაგ.: გასული სემესტრის შემაჯამებელი დავალება, ინდივიდუალური გასაუბრება და სხვა);
- იმ მოსწავლეებისთვის, რომლებმაც ვერ შეძლეს გასული სემესტრის სასწავლო თემების დამუშავება, შესაძლებელია მოხდეს დამატებითი აქტივობების შემუშავება და განხორციელება (იხ. მიზნობრივი პროგრამები), რათა არ მოხდეს მათი გარიყვა სასწავლო პროცესიდან;
- შესაძლებელია გასული სემესტრის სასწავლო თემების საფუძვლიანი დამუშავებისა და განმტკიცების მიზნით აღნიშნული თემები ინტეგრირდეს მიმდინარე სასწავლო პროცესში (ახალ თემებთან ერთად);
- 2019-2020 წლის მეორე სემესტრში საგანგებო სიტუაციაში სწავლების შედეგად წარმოქმნილი სწავლა-სწავლების პროცესის ხარვეზების აღმოსაფხვრელად სკოლამ უნდა შექმნას კომპენსირების გეგმა;
- სწავლა-სწავლებაში არსებული ხარვეზების კომპენსირების გეგმა შესაძლებელია მოიცავდეს მოსწავლეებსა და/ან კლასების ჩამონათვალს, სასწავლო თემებს, საკომპენსაციო აქტივობების ფორმებს (მაგ.: გაკვეთილი, ინდივიდუალური მუშაობა, დამატებითი გაკვეთილი, საკლუბო მუშაობა, პროექტი და ა.შ.), აქტივობების განრიგს, პასუხისმგებელ პირებს და სხვა;
- კომპენსაციის გეგმის შემუშავება უმჯობესია მოხდეს საგნობრივ კათედრებზე, განხილულ იქნეს პედაგოგიურ საბჭოზე და გახდეს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი. გეგმის შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ბენეფიციარი მოსწავლეების მშობლებს.

ბ) სასკოლო კურიკულუმის განვითარება და სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზება

ფართოდ არის ცნობილი, რომ სკოლები ღია სისტემებია და შიდა რეგულაციების გარდა, მათზე, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სხვა გარე ფაქტორებიც, როგორიცაა ოჯახი და სოციალური ფონი. ამასთან ერთად, სკოლის როლი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე მოსწავლეთათვის კონკრეტული ინფორმაციის გადაცემა და გარკვეული ცოდნის მიცემა. თუ სკოლას განვიხილავთ საზოგადოებრივი განვითარების ადგილად, აღნიშნული საკითხების გათვალისწინება საკმაოდ მნიშვნელოვანი ხდება.

კონკრეტულად, პანდემიის პირობებში ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონი კიდევ უფრო დამძიმდა და საზოგადოება კიდევ უფრო დიდი გამოწვევების წინაშე დადგა. შესაბამისად, გასათვალისწინებელია ის მძიმე ფსიქოლოგიური ეფექტი, რომელიც აღნიშნულ სიტუაციას ახლავს თან.

ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის საწყისი ეტაპი მოსწავლეთა სოციალურ-ემოციური განვითარებისა და გარემოსთან ადაპტირების საკითხებსა და სტრატეგიებს დაეთმოს. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია აქცენტი გაკეთდეს ურთიერთობების განვითარებაზე როგორც მოსწავლეებს, ასევე მოსწავლე-მასწავლებელს შორის.

სასკოლო სასწავლო გეგმა

სასკოლო განათლების მიზანი, გარდა მოქალაქის აღზრდისა და შემდგომი ცხოვრებისათვის მომზადებისა, საზოგადობის ფორმირების და მოსწავლეთა სოციალიზაციის ხელშეწყობაა. კონკრეტულად, მოსწავლეთა ურთიერთობების, მათთვის სოციალური უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა და ა.შ.

ამ და ზემოხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით, პირველი სემესტრის საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანი იქნება სასკოლო სასწავლო გეგმის ადაპტაცია და, კონტექსტიდან გამომდინარე, შესაბამისი პრიორიტეტების დასახვა.

1. სასწავლო გეგმის მოდიფიცირება და სოციალურ-ემოციური უნარ-ჩვევების განვითარება

პირველ ეტაპზე, სასურველია მეტი აქცენტი სოციალურ-ემოციური უნარ-ჩვევებისა და პიროვნული უნარების განვითარებას დაეთმოს. აღნიშნული შესაძლებელია სასწავლო პროგრამების განტვირთვის მეშვეობით, რომელიც განხილული და შეთანხმებული უნდა იყოს საგნობრივ კათედრებზე. გარდა ამისა, სოციალურ-ემოციური და პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარების ერთ-ერთი კარგი საშუალება მიზნობრივი პროგრამებია (ამ თემასთან დაკავშირებით იხ. შემდგომი ქვეთავი „მიზნობრივი პროგრამების შემუშავება).

ძალიან მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ორგანიზების თითოეულ ეტაპზე მოსწავლეთა მონაწილეობის ხელშეწყობა. ეს შეიძლება როგორც მოსწავლეთა თვითმმართველობის მეშვეობით, ასევე სხვა საშუალებებით; მაგ., მოსწავლეთა გამოკითხვა, ინდივიდუალური თუ ჯგუფური შეხვედრები და ა.შ. აღნიშნული პერიოდი ძალიან დროულია მოსწავლეთა თვითმმართველობის და ზოგადად მართვის პროცესებში მოსწავლეთა ჩართულობის გააქტიურებისათვის. ამ მხრივ, ყველაზე მნიშვნელოვანია მოსწავლეებს ჰქონდეთ ცვლილებისათვის რეალური ბერკეტები და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მხოლოდ ფორმალურ როლს არ ასრულებდნენ. ამასთან, აუცილებელია, რომ ასეთი ტიპის საქმიანობაში სკოლის მხრიდან არ იყოს ე.წ. ფავორიტიზმი და მხოლოდ აქტიური და მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები არ მონაწილეობდნენ მასში. ამ შემთხვევაში სკოლა უნდა ეცადოს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას, ასევე, მათი საჭიროებების გამოვლენას, ინიციატივების წახალისებასა და ინტერესების გათვალისწინებას.

რაც შეეხება რეკომენდაციებს უშუალოდ სწავლების მიმართულებით, სასურველია, რომ სკოლის მასწავლებლებმა შეთანხმებულად იმოქმედონ და საწყისი პერიოდი (მაგ., პირველი თვე) მოსწავლეთა ინტერესების, მათი ფსიქო-ემოციური მზაობის საკითხებს დაუთმონ. ამ მხრივ, სასურველია ნაკლები ფორმალიზმი და კონტროლის მექანიზმები, მეტი პრაქტიკული და არაფორმალური აქტივობები, შეფასების შემთხვევაში – განმავითარებელი და არა განმსაზღვრელი შეფასებები. ზოგადად, ამ და სხვა საკითხების გასათვალისწინებლად ერთ-ერთი საუკეთესო სტრატეგიაა დისკუსიების წახალისება და მოსწავლეებში აქტიური კომუნიკაციის მხარდაჭერა, რომელიც ასევე მოსმენის უნარის განვითარებას გულისხმობს. მოსწავლეთა ემოციური კეთილდღეობის მხარდამჭერი რეკომენდაციების გასაცნობად იხილეთ თავი – „კეთილდღეობა COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში“.

რაც შეეხება სწავლების სტრატეგიებს, ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება. ერთ-ერთი მეთოდი, რომელსაც დღეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით

აქტიურად იყენებენ, არის შებრუნებული საკლასო ოთახის მოდელი, რომლის გამოყენებაც მასწავლებელს შეუძლია როგორც დისტანციური, ასევე პირისპირ სწავლების დროს.

შებრუნებული საკლასო ოთახის მოდელი. ეს არის შერეული სწავლების (blended learning) ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა, რომლის იდეა ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისში წარმოიშვა. მის ფუძემდებლებად ითვლებიან ჯონ ბერგმანი და აარონ სემსი. შებრუნებული საკლასო ოთახის ძირითადი დანიშნულება ინტერაქციული სწავლებაა, რომელიც სტუდენტთან პირისპირ შეხვედრის ოპტიმალურად გამოყენებას ისახავს მიზნად. სახელმძღვანელო დოკუმენტში შებრუნებული საკლასო ოთახი შემდეგნაირად განიმარტება: ყველაფერი, რაც ტრადიციულად ხდება საკლასო ოთახში, გადადის სახლში; ხოლო ის, რაც საშინაო დავალებაა, კეთდება საგაკვეთილო პროცესში. უფრო კონკრეტულად, თითოეული ახალი თემა მოსწავლეებს ეძლევათ ვიდეოს მეშვეობით, დამოუკიდებლად საყურებლად, ხოლო საშინაო დავალების გაკეთება ხდება კლასში პრაქტიკული სამუშაოების, ჯგუფური თუ ინდივიდუალური აქტივობების მეშვეობით.

ტრადიციულად, საკლასო ოთახში ყველაზე მეტი დრო გაკვეთილების, ანუ, საშინაო დავალებების გამოკითხვას ან შემოწმებას, ასევე ახალი გაკვეთილის ახსნას ეთმობა. ამ შემთხვევაში მოსწავლეები უფრო პასიური მიმღების როლში არიან, ვიდრე აქტიურში, საგაკვეთილო პროცესი კი ნაკლებად ინტერაქტიულია. შებრუნებული საკლასო ოთახის დროს კი მასწავლებელი მეტ დროს უთმობს მოსწავლეთა ინდივიდუალურ განვითარებას, უკუკავშირს თითოეული მოსწავლისათვის, ჯგუფური სამუშაოებისა და სხვადასხვა პრაქტიკული სამუშაოების შესრულებას.

როგორ უნდა განვახორციელოთ ეს მოდელი, ანუ, „შევაბრუნოთ საკლასო ოთახი“?

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია მოსწავლეთათვის ამ მოდელის ახსნა-განმარტება. ასევე, კომუნიკაცია მშობლებთან და მათი ინფორმირება. მასწავლებელს გააზრებული უნდა ჰქონდეს, თუ რატომ იყენებს ამ მოდელს. ჯონ ბერგმანის თქმით, მოდელი ნამდვილად ვერ გაამარტივებს მასწავლებელთა ცხოვრებას, მაგრამ სწავლების პროცესს ნამდვილად გაცილებით უფრო ხარისხიანს გახდის.

რაც შეეხება უშუალოდ პროცესს, მნიშვნელოვანია კონკრეტული სასწავლო გეგმის შემუშავება, რომელიც შედგება კონკრეტული თემებისა თუ სამიზნე ცნებებისაგან მაგ., სამოქალაქო განათლებაში ასეთი თემებია აქტიური მოქალაქეობისა თუ თვითმმართველობის საკითხები. აღნიშნულ თემატიკაზე მასწავლებელი ამზადებს ან იყენებს უკვე მომზადებულ ვიდეოებს, რომლებსაც მოსწავლეები სახლში უყურებენ. ერთ-ერთი უარყოფითი, რაც ამ პროცესს აქვს, ის არის, რომ მოსწავლეებს არ აქვთ საშუალება, კითხვები ყურების პროცესში დასვამ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ პროცესის მნიშვნელობაზე ხაზგასმა და პრაქტიკული რეკომენდაციების მიცემა მოსწავლეებისათვის (მაგ.,როგორ და რა პრინციპით გააკეთონ ჩანაწერები, ჩაინიშნონ კითხვები და ა.შ.).

იმისათვის, რომ ვიდეოები იყოს ყურებადი და არ იყოს მოსაწყენი მოსწავლეთათვის, მათი ხანგრძლივობა უნდა იყოს 10-15 წუთი. სასურველია, ვიდეო არ იყოს მონოტონური. საწყის ეტაპზე, მომზადების პროცესში შესაძლოა დაიხმაროთ ის მოსწავლეებიც, რომლებსაც აღნიშნული უნარები განვითარებული აქვთ და კარგად ერკვევიან ტექნოლოგიებში. ასევე, ერთ-ერთი კარგი მიდგომაა ვიდეორგოლების სხვა მასწავლებლებთან ერთად ჩაწერა. თემატიკის ახსნისას იყავით მაქსიმალურად ბუნებრივი, შეგიძლიათ გამოიყენოთ იუმორი, ახსენით საკითხი მაქსიმალურად მოკლედ და გასაგებად, დაიცავით დრო.

რაც შეეხება უშუალოდ საგაკვეთილო პროცესს, ამ შემთხვევაში მასწავლებელს დრო აღარ ეხარჯება ძველი თუ ახალი თემატიკის ახსნაში. შესაბამისად, მთელი დრო შესაძლოა დაუთმოთ მოსწავლეთა კითხვებს, პრაქტიკულ თუ ინდივიდუალურ სამუშაოებს. სასურველია მასწავლებელს

მომზადებული ჰქონდეს სტრუქტურირებული გეგმა, რომელიც მოსწავლეებისთვისაც წინასწარ იქნება ცნობილი. მაგ., პირველი 10-15 წუთი კითხვა-პასუხი, მომდევნო 15-20 წუთი – ჯგუფური სამუშაოები; ბოლო 10 წუთი – შეფასება/შეჯამება და მომდევნო გაკვეთილის საკითხები.

აღნიშნული მოდელის გამოყენება განსაკუთრებულად მარტივია ტელესკოლის არსებობის შემთხვევაში. მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ მომზადებული ვიდეოები, წინასწარ დაგეგმონ და მოამზადონ საგაკვეთილო პროცესი თუ გეგმები. ამ მხრივ, ტელესკოლა საუკეთესო დამხმარე საშუალებაა მასწავლებელთათვის.

და ბოლოს, მოკლედ იმ უპირატესობების შესახებ, რაც აღნიშნულ მოდელს აქვს:

- მოსწავლეებს უვითარებს პასუხისმგებლობას გრძნობას, რადგან სასწავლო პროცესზე მათაც გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს;
- საგაკვეთილო პროცესი მთლიანად მოსწავლეზეა ორიენტირებული და ისინი უფრო აქტიურ პოზიციაში არიან;
- პროცესი მოქნილია და მოსწავლეზეა ორიენტირებული – მოსწავლეებს შეუძლიათ მათთვის მოსახერხებელ დროსა და ადგილას გაეცნონ გაკვეთილის თემატიკას, უყურონ სასურველი სისწრაფითა და ოდენობით. ხშირად არის ხოლმე, რომ მოსწავლე ეთიშება ახსნის პროცესს (მაგ., იმ მომენტში არ უსმენს მასწავლებელს), შემდგომ კი უჭირს პროცესში დაბრუნება. გარდა ამისა, ის მოსწავლე, რომელიც არ ესწრება საგაკვეთილო მუშაობას, ფაქტობრივად ეთიშება პროცესს და უთანასწორო მდგომარეობაშია. შებრუნებული საკლასო ოთახის დროს აღნიშნული მასალები ყველა მოსწავლისათვის ხელმისაწვდომია.
- მოდელი ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის, ასევე მოსწავლე-მასწავლებლებს შორის ურთიერთობების განვითარებას. ამის მიზეზი მარტივია: მასწავლებელს მეტი დრო რჩება პრაქტიკული და მოსწავლეზე ორიენტირებული სამუშოების შესასრულებლად.
- სასწავლო პროცესი გაცილებით უფრო გამჭვირვალეა, რაც ხელს უწყობს სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა ინფორმირებასა და ჩართულობას.
- მოდელი ხელს უწყობს მასწავლებლების ორგანიზებულ და ეფექტიან მუშაობას. ამ შემთხვევაში ის არ ხარჯავს დროს სხვადასხვა კლასებში ერთი და იმავე თემატიკის ახსნაზე. პირიქით, მას მეტი დრო აქვს კონკრეტულ კლასზე მორგებული სამუშაოების დასაგეგმად.

2. მიზნობრივი (განგრძობითი) პროგრამების შემუშავება

სკოლის წინაშე არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, შესაძლებელია სკოლამ შეიმუშაოს მიზნობრივი პროგრამები. მიზნობრივი პროგრამა არის აქტივობების ერთობლიობა, რომელიც ფოკუსირებულია მოკლე- ან გრძელვადიან პერიოდში კონკრეტული პრობლემის აღმოფხვრაზე ან რაიმე მიმართულების (მაგ., შეძენილი ცოდნის, სოციალური უნარების, ემოციური ინტელექტის) განვითარებაზე. ასეთი პროგრამები იქმნება პროექტის სახით და მიზანშეწონილია წარმოდგენილი იყოს ერთი ან რამდენიმე კომპონენტის სახით: პრობლემის აღწერა, მკაფიოდ ფორმულირებული მიზანი, ამოცანები, აქტივობების ჩამონათვალი, ვადები, განხორციელებისთვის საჭირო რესურსები, პასუხისმგებელი პირ(ებ)ი, მოსალოდნელი შედეგები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები.

არ არის აუცილებელი, რომ ყველა სასკოლო მიზნობრივი პროგრამა იყოს რთული, კომპლექსური დოკუმენტი. სკოლაში ასეთი პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელებისას მნიშვნელოვანია, რომ მკაფიოდ იყოს იდენტიფიცირებული პრობლემა, ერთობლივად იქნას დაგეგმილი მისი გადაჭრის გზები და ნათლად განისაზღვროს მასში ჩართული ადამიანების ფუნქციები და მხარდაჭერის საჭიროებები.

პანდემიის პირობებში სკოლაში სწავლების განახლების შემდეგ ასეთი მიზნობრივი პროგრამები შეიძლება განხორციელდეს მოსწავლეთა სასწავლო შედეგების გაუმჯობესებისათვის, მოსწავლეებსა და/ან მასწავლებლებში ფსიქო-ემოციური ფონის გაჯანსაღებისათვის, მასწავლებელთა ციფრული კომპეტენციების განვითარებისათვის, სასკოლო საზოგადოებაში პანდემიასთან დაკავშირებით ინფორმირების ხარისხის გაზრდისათვის და სკოლის სხვა კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე.

მიზნობრივი პროგრამებით დაგეგმილი აქტივობები შესაძლებელია ხორციელდებოდეს როგორც ფორმალური (საგაკვეთილო აქტივობები), ისე არაფორმალური (საკლუბო, საწრეო, ინდივიდუალური მუშაობა) განათლების სივრცეში.

პროექტის სახით ფორმულირებული მიზნობრივი პროგრამები აადვილებს დონორებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობას და ხელსაყრელია დამატებითი მატერიალური, ინტელექტუალური, ადამიანური რესურსების მოზიდვისათვის, რადგან ასეთი ფორმით ჩამოყალიბებული წინადადებები აადვილებს დონორებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობას (იხ. შესაბამისი თავი – გარე კომუნიკაცია).

საგანმანათლებლო რესურსები

საგანმანათლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისათვის აუცილებელია შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება. ტრადიციულად, სკოლები და მასწავლებლები სარგებლობდნენ სახელმძღვანელოებით, რომლებსაც ნამდვილად მნიშვნელოვანი როლი აქვს ამ პროცესში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ის, ისევე როგორც სხვა საგანმანათლებლო რესურსი, დამხმარე ფუნქციას ასრულებს და მისი გამოყენება თვითმიზანი არ უნდა გახდეს.

თანამედროვე ეპოქაში, მით უმეტეს, პოსტპანდემიურ პირობებში, საკმაოდ ბევრია ციფრული მასალები და ონლაინ რესურსები, რომელთა გამოყენებაც დაეხმარება მასწავლებლებს სასწავლო პროცესის ორგანიზებაში. ქვემოთ ჩამოთვლილია ზოგიერთი მათგანი:

1. **ტელესკოლა.** სკოლების დახურვის შემდგომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც სახელმწიფო წამოიწყო, ტელესკოლა იყო. ტელესკოლაში თავმოყრილია თითქმის ყველა საგნისა და მიმართულების ტელეგაკვეთილები. პროექტის გაგრძელება დაგეგმილია მომდევნო სემესტრშიც. მასწავლებლებს შეუძლიათ მათზე მორგებული პროგრამის შემუშავება ტელესკოლის რესურსების გამოყენებით.
   ვებგვერდი: https://1tv.ge/tv-radio/arkhebi/pirveli-arkhi-ganatleba/
   სოციალური ქსელის გვერდი: https://www.facebook.com/1tv.ge.teleskola

2. **ხანის აკადემია.** ეს არის უფასო საგანმანათლებლო პლატფორმა, რომელზეც ხელმისაწვდომია როგორც ვიდეორგოლები, ასევე სტატიები და სავარჯიშოები სკოლის მოსწავლეთათვის ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების მიმართულებით. გარდა ამისა, განთავსებულია დამხმარე რესურსები მასწავლებელთა და მშობელთათვის. აქვე მასწავლებლებს აქვთ საშუალება შექმნან ვირტუალური საკლასო ოთახი და მოიწვიონ თავიანთი მოსწავლეები. ანალოგიურად, მშობლებს აქვთ შესაძლებლობა, თვალი ადევნონ შვილების პროგრესს.
   ვებგვერდი: https://ka.khanacademy.org
   Facebook გვერდი: https://www.facebook.com/KhanAcademyGeorgia

3. **ვებპორტალი el.ge.** პორტალზე განთავსებულია სხვადასხვა საგანმანათლებლო და შემეცნებითი რესურსები: სახელმძღვანელოები, სტატიები, ვიდეოები, ვებინარები. აღსანიშნავია, ახალი საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში შექმნილი კომპლექსური დავალებების პაკეტები შემდეგი მიმართულებებით: მათემატიკა, წიგნიერება (ქართული ენა და ლიტერატურა), საზოგადოებრივი (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა/სამოქალაქო განათლება) და საბუნებისმეტყველო (ბუნებისმეტყველება, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) მეცნიერებები.
   ვებგვერდი: https://el.ge/projects/iskola
   Facebook გვერდი: https://www.facebook.com/El.Library.Georgia/

4. **TV სკოლა – tvschool.ge.** პლატფორმა მასწავლებელთათვის საშინაო დავალებების მარტივად შესაქმნელად.
   ვებგვერდი: https://www.tvschool.ge/
   Facebook გვერდი: https://www.facebook.com/TVskola/

5. **www.civiceducation.ge** პლატფორმა, სადაც სტრუქტურირებულად არის განთავსებული საგაკვეთილო მასალები და ვიდეოები სამოქალაქო განათლების მიმართულებით.

6. **http://millab.ge/ka/** მედია და ინფორმაციული წიგნიერების ლაბორატორიის (MilLab) ონლაინ პლატფორმა დამხმარე სასწავლო რესურსია, რომელიც კრიტიკული აზროვნების განვითარებას და გაცნობიერებული მედიამოხმარების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. პლატფორმა აძლევს ცოდნას ახალგაზრდებს იმის შესახებ, თუ როგორ ფუნქციონირებს დემოკრატიულ სისტემაში მედია, როგორ გადავამოწმოთ ყალბი ინფორმაცია და დავადგინოთ, რა ინტერესები დგას კონკრეტული მედიასაშუალების უკან.

   პლატფორმა აერთიანებს სასწავლო მასალებს, თამაშებს, სავარჯიშოებს, მაგალითებს შემდეგი მიმართულებებით: მედიაინფორმაცია; პროპაგანდა და ვერიფიკაცია; გამჭვირვალობა; სიძულვილის ენა; კიბერი; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა/პერსონალური მონაცემები.

   აღნიშნული რესურსი პროექტის – „სკოლებში მედიაწიგნიერების და კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობა“ – ფარგლებში საქართველოში ნიდერლანდების საელჩოს მხარდაჭერით მომზადდა.

სკოლის პერსონალისა და მასწავლებელთა მხარდაჭერა

ადმინისტრაციული პერსონალი

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, საქართველოში სკოლები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და სხვადასხვა კონტექსტში უწევთ საქმიანობა. განსხვავებულია სკოლების მასშტაბები, შესაბამისად, ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა.

ახალი გამოწვევების, რეგულაციებისა და ცვლილებების ეფექტიანად მართვის მიზნით საშუალო და დიდი ზომის სკოლებში მნიშვნელოვანი იქნება სამუშაოს მკაფიო დელეგირება სხვადასხვა დონეზე; გარდა ამისა, მხარდამჭერი ჯგუფების შექმნა თემატური მიმართულებებით. რაც მთავარია, სკოლის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, აუცილებელი იქნება ადმინისტრაციული პერსონალის შრომითი პირობების გადახედვა, განსაკუთრებით ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა ექიმისა და დამლაგებლის პოზიციები.

მასწავლებელთა მხარდაჭერა

სწავლა-სწავლების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი როლი მასწავლებლებს აქვთ. მეტწილად სწორედ მათზე იქნება დამოკიდებული, როგორ წარიმართება სასწავლო პროცესი. აქედან გამომდინარე, მათი მხარდაჭერა თითოეული სკოლის პრიორიტეტი უნდა იყოს.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რა საჭიროებები აქვთ მასწავლებლებს. მაგ., ციფრული კომპეტენციის ნაკლებობა, ტექნოლოგიებსა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის პრობლემა, ემოციური მხარდაჭერის საჭიროება თუ სხვა. ეს შესაძლოა გაკეთდეს როგორც შეხვედრების დროს, უშუალო კომუნიკაციისას, ასევე მარტივი გამოკითხვებისა თუ სხვა ინსტრუმენტების მეშვეობით.

ამის შემდგომ საჭიროა იდენტიფიცირებული მიმართულებებით კონკრეტული აქტივობების განხორციელება.

1. ციფრული კომპეტენციებისა და ონლაინ პედაგოგიკის განვითარება

დისტანციური განათლება და შერეული/ჰიბრიდული მოდელების გამოყენება მოითხოვს სისტემურ მომზადებას და მასზე ეტაპობრივად გადასვლას. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ სკოლების უმრავლესობაში საჭირო იქნება მასწავლებლების მხარდაჭერა როგორც ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების, ასევე ონლაინ პედაგოგიკის მიმართულებით.

შექმნილი მდგომარეობიდან და შეზღუდული დროიდან გამომდინარე, საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით შესაძლოა შიდა სასკოლო ტრენინგ-მოდულების განხორციელება. აღნიშნულისათვის ერთ-ერთი გზა არის მასწავლებელთა მხარდამჭერი ჯგუფების შექმნა. მხარდამჭერ ჯგუფებში უნდა გაერთიანდნენ ისეთი მასწავლებლები, რომლებსაც ეს საკითხები კარგად ესმით და მზად არიან წვლილი შეიტანონ კოლეგების განვითარებაში.

ასეთი მასწავლებლების არარსებობის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, სკოლამ მიმართოს პარტნიორ სკოლებს, სამინისტროსა თუ მასწავლებლის სახლის წარმომადგენლებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, უნივერსიტეტებს, განათლების სპეციალისტებს, რომლებიც მზად იქნებიან, მოხალისეობრივად დაუჭირონ მხარი სკოლას აღნიშნული მიმართულებით.

გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით, ტრენინგ-მოდულების თემატიკა შესაძლოა მოიცავდეს: 1. ტექნიკურ საკითხებს, როგორიცაა Microsoft teams-ისა თუ საგანმანათლებლო პლატფორმების (www.ck12.com, www.el.ge/projects.sikola, ხანის აკადემია, TV სკოლა და სხვა) გამოყენება; 2. მეთოდოლოგიურ საკითხებს (მოსწავლეთა შეფასება, კომპლექსური დავალებების შემუშავება,[1] მოსწავლეთა მზაობის დიაგნოსტიკური შეფასება და ა.შ.).

მნიშვნელოვანია აღნიშნულ ტრენინგებს ჰქონდეს ფორმალიზებული და სტრუქტურირებული სახე. სასურველია ტრენინგები ჩატარდეს სასკოლო პროცესის დაწყებამდე. გარდა ამისა, სასურველია სკოლიდან გამოიყოს ერთი ან რამდენიმე ადამიანი, რომელსაც მასწავლებლები მიმართავენ ტექნოლოგიური თუ მეთოდოლოგიური მხარდაჭერის საჭიროების შემთხვევაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. შესაბამისი თავი – „რეკომენდაციები მასწავლებელთათვის“.

2. მასწავლებელთა „გადაწვა“ და ემოციური კეთილდღეობა

საგანმანათლებლო პროცესის წარმატებულად წარმართვისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს მასწავლებლის ემოციური კეთილგანწყობა. სტრესი და მისი შედეგები აისახება როგორც ბავშვებზე, ასევე ზრდასრულებზე. ზრდასრულზე ასახული სტრესს კი, თავის მხრივ, ხშირ შემთხვევაში არასასურველ შედეგებამდე მივყავართ (განსაკუთრებით მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს). ზოგადად მასწავლებლის როლი და პასუხისმგებლობა საგანმანათლებლო პროცესში მხოლოდ აკადემიური კუთხით არ განისაზღვრება, მასწავლებელი ზრუნავს:

- მოსწავლის აკადემიური უნარების განვითარებაზე (წერა, კითხვა, ანგარიში და ა.შ.)
- მოსწავლის კოგნიტური უნარების განვითარებაზე (პრობლემის ანალიზი, გადაჭრა, აზროვნება და ა.შ.)
- მოსწავლის სოციალური უნარების განვითარებაზე (გუნდური მუშაობა, ერთობლივი აქტივობები, რიგის დაცვა და ა.შ)
- მოსწავლის ემოციურ კეთილდღეობაზე (გუნება-განწყობილება)

შესაბამისად, თითოეული ამ კომპონენტის წარმატებულად მართვისთვის მასწავლებელი თავად უნდა გრძნობდეს ემოციურ კეთილდღეებას. აღნიშნულთან გამკლავება საკმაოდ სტრესულია მასწავლებლებისთვის ყოველდღიურ ცხოვრებაში და ეს პროცესი განსაკუთრებით სტრესული შეიძლება აღმოჩნდეს Covid-19ის პირობებში.

შეცვლილი დღის განრიგი, რუტინა, აქტივობები, გამკაცრებული უსაფრთხოების წესები, დისტანციური სწავლება, – ეს ის ნაწილია ჩამონათვალისა, რომელიც შეიძლება იყოს სტრესის მაპროვოცირებელი მასწავლებლებისთვის. აღნიშნული სტრესის პირობებში აუცილებელია პედაგოგებს ჰქონდეთ გარკვეული, მათ ემოციურ კეთილდღეობაზე გათვლილი ხელშეწყობა სკოლების ადმინისტრაციისგან.

1 საშინაო დავალების ეფექტურობის საკითხები განხილულია ნიკა მაღლაფერიძის სტატიაში – „საშინაო დავალების კომპლექსურობა: პოზიტიური და ნეგატიური მხარეები“, იხ. ვებგვერდი „განათლების შესახებ“.

რეკომენდაციები მასწავლებლის ემოციური კეთილდღეობის შესანარჩუნებლად:

- უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია მასწავლებლებმა იცოდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში მათ მოუსმენენ. კონსტრუქციული დიალოგი საჭიროა როგორც მასწავლებელსა და მშობელს შორის, ასევე მასწავლებელსა და სკოლის ადმინისტრაციას შორის. მაგალითად, მასწავლებელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, განაცხადოს, რომ იგი ვერ უმკლავდება ამა თუ იმ სიტუაციას დამოუკიდებლად და ესაჭიროება დახმარება (სპეციალისტის რჩევის, ტრენინგის ან სხვა სახით).
- მასწავლებელმა უნდა იგრძნოს, რომ მისი ფიზიკური უსაფრთხოება, ფსიქოლოგიური და ემოციური კეთილდღეობა ისევე მნიშვნელოვანია სკოლისთვის, როგორც ბავშვების უსაფრთხოება და კეთილდღეობა. პანდემიის პირობებში მუშაობამ შესაძლებელია პროფესიული გადაწვა გამოიწვიოს და მნიშვნელოვანია ჯანმრთელი ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნა სკოლაში, საჭიროების შემთხვევაში კი სპეციალისტის (ფსიქოლოგის, ტრენერის, რომელიც გააცნობს სტრატეგიებს ფსიქოოგიური გადაწვის თავიდან არიდების შესახებ) მოწვევა.
- დატვირთული დღის განრიგის მიუხედავად აუცილებელია სასკოლო ცხრილი იყოს მომზადებული ისე, რომ მასწავლებელს ჰქონდეს დღის მანძილზე დასვენების დრო და საშუალება.
- მნიშვნელოვანია პერიოდულად განხორციელდეს მცირე ჯგუფური შეხვედრები (2 კვირაში ან 3 კვირაში ერთხელ), რომლის დროსაც მასწავლებლები გაუზიარებენ ერთმანეთს სიახლეებს სწავლების ამა თუ იმ მეთოდის შესახებ, გამოცდილებებს, ემოციებს. აღნიშნული შეხვედრები სასურველია ჩაითვალოს სამუშაო საათებში, რათა არ მოხდეს მასწავლებლებისთვის თავისუფალ დროს დამატებითი აქტივობის შეთავაზება.
- სასურველია განხორციელდეს შეხვედრა ფსიქოლოგებთან, რომელებიც დაეხმარებიან მათ როგორც კლასის მომზადებაში, ასევე მისცემენ რჩევებს ემოციური კეთილდღეობის შესანარჩუნებლად. ფსიქოლოგები შესაძლებელია იყვენენ მანდატურის სახლთან არსებული ფსიქოლოგიური ცენტრის ან მულტიდისციპლინური გუნდის წარმომადგენლები. სკოლას ასევე შეუძლია მიმართოს სხვა ორგანიზაციას ან კონკრეტულ ფსიქოლოგს მასწავლებლების ემოციური კეთილდღეობის გაძლიერების მიზნით.
- სასწავლო პროცესის ცვლილებებთან დაკავშირებით სასურველია მასწავლებელს ჰქონდეს გარკვეული დრო ადაპტირებისთვის.
- მასწავლებლების მოტივაციის გაზრდისთვის სასურველია პერიოდული პოზიტიური უკუკავშირი სკოლის ადმინისტრაციასთან.

ხარისხის მართვა, მონიტორინგი და შეფასება

ხარისხის უზრუნველსაყოფად სკოლამ შესაძლებელია იხელმძღვანელოს დემინგის ციკლით (PDCA), რომელიც ფართოდ გამოიყენება მთელს მსოფლიოში როგორც განათლების, ისე სხვა სფეროებში. ხარისხის უზრუნველყოფის ეს ინსტრუმენტი ციკლური ხასიათისაა და მოიცავს შემდეგ ეტაპებს: Plan – დაგეგმვა, Do – განხორციელება, Check – გადამოწმება, კონტროლი, Act – რეაგირება, მორგება.

Plan – დაგეგმვა

დაგეგმვის ეტაპზე მნიშვნელოვანია მოხდეს კონკრეტული პრობლემის, გამოწვევის იდენტიფიცირება და მკაფიოდ ჩამოყალიბება, რომლის გადაჭრაზეც იქნება ხსენებული ციკლი მიმართული. ამ ეტაპზე გამოიყენება ზემოხსენებული სიტუაციის ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაცია ან გროვდება ახალი მონაცემები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნება პრობლემის და მისი გამომწვევი მიზეზების სიღრმისეულად აღწერა.

პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ ხდება მისი გადაჭრისთვის აუცილებელი საქმიანობების გეგმის შემუშავება, რაც მოიცავს პასუხისმგებელი პირების, ვადების, რესურსების, პროცესის შეფასების ინდიკატორებისა და სხვა შესაძლო საჭიროებების განსაზღვრას. დაგეგმვის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა, განსაკუთრებით იმ პირების, რომლებიც უშუალოდ იქნებიან ჩართული ამ პროცესებში და/ან იქნებიან ამ აქტივობების ბენეფიციარები.

Do – განხორციელება

მოცემული ეტაპი მოიცავს წინა ეტაპზე შექმნილი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებას. მნიშვნელოვანია, რომ გეგმის განხორციელებისას აქტივობებში ჩართულ თითოეულ პირს კარგად ჰქონდეს გააზრებული სრული პროცესი. ასევე საჭიროა, რომ მოხდეს განხორციელებული საქმიანობის აღწერა/დოკუმენტირება.

Check – გადამოწმება, კონტროლი

საქმიანობის გადამოწმების შემდეგ ხდება შედეგების შეფასება: შედეგების შეფასებისას ეფექტიანი დაგეგმვის ეტაპზე შემუშავებული ინდიკატორების გამოყენება, განხორციელების ეტაპზე საქმიანობის აღწერის, მონიტორინგის შედეგების ანალიზი. სრული სურათის მისაღებად შესაძლებელია საჭირო გახდეს ასევე დამატებითი მონაცემების მოგროვებაც. არსებული ხარვეზების გამოსავლენად და პროცესის სწორად წარმართვისთვის მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს პრობლემებისა და სირთულეების ღიად და დაუფარავად წარმოჩენა. ამ ეტაპზე ასევე ხდება საქმიანობისა და შედეგების გაზომვა, მათზე რეაგირება და გეგმაში შესატანი შესაბამისი ცვლილებების ფორმირება.

Act – რეაგირება, მორგება

პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის მნიშვნელოვანია მოხდეს გეგმის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრისათვის შემუშავებული ცვლილებების დანერგვა. მოცემულ ეტაპზე ცვლილებები შესაძლებელია მოერგოს არსებულ გეგმას ან გამოიწვიოს დაგეგმვის ეტაპის ხელახალი განხორციელება.

პრობლემებისა და ხარვეზების შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული ციკლი რამდენჯერმე განმეორდეს. ციკლი დასრულებულად ითვლება დასახული მიზნის მიღწევისა და სასურველი შედეგის დადგომისას.

სიტუაციის ანალიზი

სასკოლო სასწავლო პროცესის განახლების და შემდგომ მისი ეფექტიანად წარმართვისათვის აუცილებელია, თითოეულმა სკოლამ სიღრმისეულად შეისწავლოს არსებული სიტუაცია. ასეთი ტიპის ანალიზისთვის შესაძლებელია ხელსაყრელი იყოს სტრატეგიული დაგეგმვისას ყველაზე ხშირად გამოყენებადი SWOT-ანალიზი. სიტუაციის ანალიზი წარმოადგენს საბაზისო ინფორმაციისა და მონაცემების ერთობლიობას, იქნება ეს სასკოლო სასწავლო გეგმის, პროექტების, მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა თუ სხვა აქტივობების კუთხით. ასევე ეფექტიანია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს პრობლემები, რომელთა მოგვარება სკოლას დამოუკიდებლად შეუძლია და პრობლემები, რომელთა მოგვარებისთვის საჭირო იქნება გარე აქტორების მობილიზება. მნიშვნელოვანია, რომ პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ ინფორმაცია იყოს მაქსიმალურად გასაჯაროებული, რათა მოხდეს მხარდამჭერი გარე ინიციატივების ხელშეწყობა და წახალისება.

მშობელთა ჩართულობა

პანდემიის პერიოდში საგანგებო ვითარებაში წარმართულმა სასწავლო პროცესმა კიდევ უფრო თვალნათელი გახადა მოსწავლეთა განათლებასა და სკოლის მხარდაჭერაში მშობელთა და თემის მონაწილეობის აუცილებლობა.

მნიშვნელოვანია, რომ მშობელთა და თემის ჩართულობის მიმართულებით სკოლამ განახორციელოს თანმიმდევრული ღონისძიებები, როგორიცაა: მშობლებისა და თემის ინფორმირება ახალი რეგულაციების შესახებ (იხ. „სასკოლო თემის ინფორმირება ახალი რეგულაციების შესახებ“); კერძო ინიციატივების წახალისებისა და მხარდაჭერის მიღების მიზნით სკოლის წინაშე არსებული პრობლემებისა და საჭიროებების აღწერა და გაცნობა სკოლის საზოგადოებისათვის.

მშობელთა და თემის ჩართულობის ხარისხის გაზრდისათვის მნიშვნელოვანია, სკოლაში ამ მიმართულებით საქმიანობას კოორდინაციას უწევდეს კონკრეტული ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი. ასევე ინფორმირებულობისა და ჩართულობის ხარისხის გაზრდისათვის შედეგიანია ლიდერი მშობლების რესურსის გამოყენებაც. აქვე აღსანიშნავია, რომ მშობელთა ჩართულობა და მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური განვითარებისათვის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაციები იხილეთ ქვეთავში – „მშობლების ჩართულობა და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის მნიშვნელობა“.

ამასთან, ეფექტიანი და სისტემატიზებული კომუნიკაციისათვის უმჯობესია, მკაფიოდ განისაზღვროს კონკრეტული დრო და პერიოდი, როდესაც სკოლა მიაწვდის ინფორმაციას მშობლებს მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით (მაგ., ყოველ სამშაბათს, 15:00 საათზე). გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მშობელთა საჭიროებების, ინტერესებისა და კმაყოფილების პერიოდული კვლევის წარმოება. სასურველია, აღნიშნული განხორციელდეს მოსამზადებელ ეტაპზეც. ზოგადად, ამ მიმართულებით შესაძლოა გამოიყენოთ სხვადასხვა ინსტრუმენტი როგორც ცალ-ცალკე, ასევე ერთიანი სისტემის ნაწილად. მაგალითად, პერიოდული შეხვედრები მშობლებთან მათი საჭიროებების დადგენის მიზნით. ეს შესაძლოა გააკეთოს როგორც სკოლის წარმომადგენელმა, ასევე (სანდოობის გაზრდის მიზნით) სკოლისაგან დამოუკიდებელმა პირმა. ამ მხრივ, შესაძლოა აქტიური თანამშრომლობა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან (იხ. შესაბამისი თავი – „გარე კომუნიკაცია“).

გარდა ამისა, მშობლებთან ეფექტიანი კომუნიკაციისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ სტანდარტიზებული კითხვარები. პირისპირ სწავლების კუთხით მშობლების კითხვარის მაგალითი იხ. მიმაგრებულ ფაილში.

და ბოლოს, პრაქტიკული რეკომენდაციის სახით, ამ საკითხების მოსაგვარებლად სკოლას შეუძლია ითანამშრომლოს სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან, მათ შორისაა „მშობლები განათლებისათვის“. აღნიშნული ორგანიზაცია მიზნად ისახავს სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის გაზრდას და ამ კუთხით განათლების სისტემის მხარდაჭერას. მათ ვებგვერდზე www.parents.ge შეგიძლიათ ნახოთ არაერთი დამხმარე მასალა სკოლისა და მშობლის ურთიერთობის შესახებ.

ურთიერთობა თემთან და სხვა დაინტერესებულ მხარესთან

თემის ჩართულობის ხარისხის ზრდისათვის ერთ-ერთ მთავარ პირობას წამოადგენს მათში სკოლისადმი კუთვნილების განცდის გაჩენა. მნიშვნელოვანია, რომ მშობლებსა და თემის წარმომადგენლებს გაუჩნდეთ შეგრძნება, რომ სკოლა წარმოადგენს თემის ნაწილს, ემსახურება მათი

მიზნების რეალიზებას განათლების მიმართულებით და ითვალისწინებს თემის ინტერესებს. ასეთი დამოკიდებულებების ფორმირებისათვის მნიშვნელოვანია სკოლამ პროაქტიურად მოახდინოს სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და ანგარიშგება სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის განვითარებისათვის მიზანშეწონილია შემდეგი ტაქტიკური ხერხების გამოყენება:

- კომუნიკაციის წყაროების მორგება კონკრეტულ სასკოლო საზოგადოებაზე და ისეთი საშუალებების შერჩევა, რომლებიც მათთვის მეტად მისაღები და ადვილად გამოყენებადია;
- პოპულარული საკომუნიკაციო ლექსიკის გამოყენება და თავის შეკავება საგანმანათლებლო სისტემის პროფესიული ტერმინოლოგიისგან;
- გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობისთვის შესაძლებლობების შექმნა (მაგ., არაფორმალური განათლების სერვისების შერჩევაში მონაწილეობა);
- ერთჯერადად მისაწოდებელი ინფორმაციის რაოდენობის შემცირება, თანმიმდევრულობა და მიწოდების სიხშირის გაზრდა;
- პერმანენტული ანგარიშგება სკოლაში მიმდინარე პროცესების, შედეგების, წარმატებებისა და პრობლემური საკითხების შესახებ.

ასეთი ტიპის ურთიერთობების დამყარება სკოლასა და სასკოლო საზოგადოების შორის აუცილებელია, როგორც პანდემიის პერიოდში არსებული რისკების მინიმიზაციისათვის, ისე ჩვეულებრივ პერიოდში სასკოლო პროცესების წარმატებით წარმართვისათვის.

რაც შეეხება სხვა დაინტერესებულ მხარეებს, სასურველია, სკოლამ აკადემიური წლის დაწყებამდე შეიმუშაოს შესაბამისი საკომუნიკაციო სტრატეგია, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს შემდეგს:

1. დაინტერესებული მხარეების ანალიზი: ვინ არიან დაინტერესებული მხარეები და კონკრეტულად რა არის მათი ინტერესი თქვენს სკოლასთან მიმართებით? მნიშვნელოვანია ანალიზისას სკოლამ გაითვალისწინოს ადგილობრივი კონტექსტი და დაინტერესებული მხარეების ინტერესები. დაინტერესებული მხარეები შესაძლოა იყვნენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, პროფესიული კოლეჯები, კერძო ორგანიზაციები/კომპანიები, სხვა სკოლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ინდივიდუალური ფიზიკური პირები (სპეციალისტები/ექსპერტები) და ა.შ.

2. საკომუნიკაციო სტრატეგიის მიზანი: ზოგადად რა მიზანს ემსახურება საკომუნიკაციო სტრატეგია. ასევე, თითოეულ სამიზნე ჯგუფთან დაკავშირებით, რა მიზნებს ისახავს სკოლა? სხვა სიტყვებით, რისთვის იწყებს ის თანამშრომლობას თითოეულ დაინტერესებულ მხარესთან, რა არის მისი შეთავაზება და რა სარგებელს მიიღებს ის აქედან?

3. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა – როგორ აპირებს სკოლა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციას, მათ დაინტერესებას? სხვადასხვა ორგანიზაციასა თუ ჯგუფთან საჭიროა მათზე მორგებული, შესაბამისი სტრატეგია.

   სტრატეგიის შემუშავების შემდგომ საჭიროა უკვე კონკრეტული სამოქმედო გეგმის და თითოეულ ნაბიჯზე კონკრეტული პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა.

4. და ბოლოს, სასურველია აღნიშნულ გეგმას ჰქონდეს კონკრეტული ინდიკატორები, რომლის მიხედვითაც დაასკვნით, მიზანი მიღწეულია თუ არა.

გარდა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისა, სასურველია, სკოლამ განავითაროს **თანამშრომლობა ინდივიდუალურ თუ მოხალისეობრივ ორგანიზაციებთან.** ამ მხრივაც შე-

საძლოა თანამშრომლობა უნივერსიტეტებთან. მაგ., პრაქტიკა სკოლებში, სკოლისშემდგომი აქტივობები (მიზნობრივი/განგრძობითი პროგრამებისას), მხარდაჭერა კვლევითი საქმიანობისას ან/და ფინანსური რესურსის მოზიდვის კუთხით თუ სხვა. ამ კუთხით მნიშვნელოვანია სკოლებმა კარგად გაიაზრონ მათი შესაძლებლობები და ამ ტიპის ინიციატივების პოტენციალი. შესაბამისად, იყავით გახსნილები ამ სახის ინიციატივებისადმი.

დამატებითი ფინანსების მოსაზიდად გასათვალისწინებელია სკოლის სპეციფიკა და კონტექსტი, რომელშიც ის ფუნქციონირებს. ზოგადად, კარგი პრაქტიკაა სხვადასხვა კამპანიის წარმოება, მაგ., ე.წ. **„ქრაუდფანდინგის“, ანუ, საზოგადოებრივი შემოწირებულობების კამპანიები,** რომელსაც უნდა ჰქონდეს კონკრეტული მიზანი და ხორციელდებოდეს ძალიან კონკრეტულ ვადებში. ამ მხრივ, კარგი მაგალითია საზოგადოებრივი ინიციატივა **„ჩართე“,** რომელიც არაერთ მოსწავლეს ეხმარება ინტერნეტზე ხელმისაწვდომობისა თუ ტექნოლოგიებზე წვდომის კუთხით.

ამ მიმართულებით საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით სკოლებს შეუძლიათ **თანამშრომლობა თავიანთ კურსდამთავრებულებთან.** შესაძლოა კურსდამთავრებულთა ქსელის ფორმირება, რომელიც ყოველთვიურად გარკვეულ მხარდაჭერას გაუწევს სკოლას. შესაძლოა ეს თანამშრომლობა ითვალისწინებდეს დახმარებას როგორც ფინანსური თვალსაზრისით, ასევე მონაწილეობას სხვადასხვა ტიპის აქტივობების განხორციელებაში.

და ბოლოს, შესაძლებელია სკოლებმა ითანამშრომლონ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის, მათ ადგილობრივ წარმომადგენლებთან. ამ კუთხით სასურველია მიზნობრივი თანამშრომლობა უცხოური ენების კათედრებთან.

ზოგადად, არ არსებობს კონკრეტული რეცეპტი, რის მიხედვით შეიძლება სკოლამ დამატებითი მხარდაჭერა მიიღოს. ეს განპირობებულია იმით, რომ განსხვავებულია სკოლების სპეციფიკა და კონტექსტი. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია სკოლის შიდა კულტურა და არსებული ადამიანური რესურსის შესაძლებლობები. აქედან გამომდინარე, თითოეული სკოლა საკუთარი საჭიროებიდან და შესაძლებლობებიდან უნდა იღებდეს გადაწყვეტილებებს და სახავდეს კონკრეტულ გეგმებს. ჩვენი რეკომენდაციაა ამ მიმართულებით მეტი აქტიურობა, რადგან ეს ყოველთვის სარგებლის მომტანია სკოლებისათვის.

კეთილდღეობა Covid 19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში

სასწავლო პროცესის დასაწყისი და მასთან დაკავშირებული ცვლილებები საკმაოდ დიდი სტრესს წარმოადგენს მოსწავლეებისთვის. ხშირად გამოკითხული ზრდასრულების ერთ-ერთი პირველი მძაფრი მოგონება სწორედ სკოლის პირველ დღეებს უკავშირდება. სასწავლო წლის დასაწყისი იწვევს ისეთ ცვლილებებს ბავშვის ცხოვრებაში, როგორიცაა: გარემოს შეცვლა, რუტინის შეცვლა, პასუხისმგებლობების და მოთხოვნების გაზრდა, თავისუფალი გარემოდან მეტად სტრუქტურირებულ გარემოზე გადასვლა, მაღალი მოლოდინი და ა.შ. ყოველივე ზემოაღნიშნული მოსწავლეზე გარკვეულწილად სტრესულად მოქმედებს.

COVID-19ით გამოწვეული პანდემიის პირობებში აღნიშნულ სიახლეებს ემატება დამატებითი სტრესორები, როგორიცაა გამძაფრებული ყურადღება გარკვეული საკითხებისადმი (სიცხის გაზომვა, სადეზინფექციო ხსნარის გამოყენება, დისტანციის დაცვა), მშობლისა და მასწავლებლების გაზრდილი შფოთვა და ა.შ. თუ მოსწავლე სწავლების დაწყებით საფეხურზეა, ამ შემთხვევაში კოვიდ-19ის პირობებში ხდება უკვე არსებული, ნაცნობი რუტინის დარღვევა და ა.შ. შედეგად, მოსწავლისთვის სასწავლო პროცესი კიდევ უფრო მეტად სტრესულია, ვიდრე ეს სხვა დროს იყო. საბაზო და საშუალო საფეხურზე მყოფ მოსწავლეებს ხშირად ახასიათებთ წესების დაუმორჩილებლობა, თვითდამკვიდრებისთვის ბრძოლა, მათთვის მეგობრების ნახვა და მათთან ერთად დროის ჭარბად გატარება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ხშირად ამ ასაკში სწორედ მეგობარია ავტორიტეტი და ყველაზე სასურველი პირი და არა მშობელი. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ამ ასაკის მოსწავლეებისთვის აღნიშნული მდგომარეობა შეიძლება სამომავლო გეგმების ცვლილებებთან იყოს დაკავშირებული; მაგალითად, მოსწავლეს ჰქონდეს სასწავლებლად სხვა ქვეყანაში წასვლის გეგმა, რაც ამ ეტაპზე მისთვის გაურკვეველია და იწვევს შფოთვას. ასევე საყურადღებოა, რომ საშუალო და საბაზო საფეხურის მოსწავლეებს მეტი გაცნობიერებულობა აქვთ საკითხის მიმართ, თავად იძიებენ ინფორმაციას, კითხულობენ, მსჯელობენ, განიხილავენ, შფოთვაც ოჯახის წევრების და საკუთარ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით შეიძლება საკმაოდ მაღალი იყოს, რაც გამოიხატებოდეს იმაშიც, რომ არ უნდოდეს სკოლაში წასვლა.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში აღწერილია რეაქციები 6-18 წლის მოსწავლეებისა და მოზარდების სტრესულ სიტუაციაზე და მათთან გამკლავების სხვადასხვა სტრატეგიები. ცხრილში წარმოდგენილი ინფორმაცია ეფუძნება კოლუმბიის უნივერსიტეტისა და SAVE THE CHILDREN-ის მიერ გამოცემულ დოკუმენტს: „მოსწავლეების (6-18) მიერ განცდილ სტრესზე რეაგირების ჩვეული რეაქციები სტრესის/კრიზისული სიტუაციის შემდეგ და ტრავმის დროს გამოყენებადი გამკლავების სტრატეგიები“.

ასაკი	რეაქცია სტრესზე	მხარდაჭერის სტრატეგიები
6-11 წელი	• **რეგრესული რეაქციები:** გაზრდილი კონკურენციის (დედმამიშვილთან ან სხვა მოსწავლესთან მიმართებით) მშობლის ან სხვა ზრდასრულის ყურადღების მიქცევის მიზნით გადაჭარბებული ჩაბღაუჭება, ხშირი ტირილი და წუწუნი; ითხოვს ზრდასრულის ჩართულობას ისეთ ქცევაში, რომელსაც დამოუკიდებლად ასრულებდა, მაგ., ითხოვს, რომ ჩააცვან და აჭამონ • **ფიზიოლოგიური რეაქციები:** თავის ტკივილი, სმენასთან და მხედველობასთან დაკავშირებული ჩივილი, ხშირი ქავილი, გულის რევის შეგრძნება, ძილის დარღვევა, ღამის კოშმარები • **ემოციური/ქცევითი რეაქციები:** სკოლის ფობია, მეგობრებიდან და მცირე ჯგუფებიდან გარიყვა, ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის შემცირება, მაღალი გაღიზიანებადობა, წესების დაუმორჩილებლობა, სხვადასხვა ტიპის შიში; მაგ.: რომ ოჯახის რომელიმე წევრი ავად გახდება, რომ თავად ავად გახდება; აგრესიული ქცევა, განმეორებითი საუბარი მისთვის მატრავმირებელ მოვლენაზე, ფაქტზე, გამოცდილებაზე, დანაკარგზე ან ემოციებზე.	• მიაქციეთ დამატებითი ყურადღება და უზრუნველყავით მისი ფიზიკური კომფორტი • პოზიტიურად განამტკიცეთ მოსწავლისთვის ასაკობრივად შესაბამისი ქცევა • დროებით შეამცირეთ მოთხოვნები ოპტიმალური მოსწრებისთვის სკოლასა და სხვა აქტივობებში • დაარწმუნეთ მოსწავლე, რომ მისი კომპეტენცია და შესრულების ხარისხი დაბრუნდება (მაგ.: თუ შფოთვის ფონზე მოსწავლეს უჭირს ყურადღების კონცენტრირება და დასწავლა, შეაქეთ და უთხარით, რომ მას ყოველთვის კარგად გამოსდიოდა ეს კონკრეტული აქტივობა და დარწმუნებული ხართ, მალე კვლავ კარგად გაართმევს თავს). • უზრუნველყავით სტრუქტურირებული, მაგრამ არა მკაცრი მოთხოვნითი რუტინა და პასუხისმგებლობები • წაახალისეთ მოსწავლე ფიზიკური აქტივობებისკენ • განიხილეთ ჯგუფში სხვადასხვა ტიპის ემოციები და მათთან გამკლავების სტრატეგიები (მაგ.: განიხილეთ ჯგუფში შიში და მოსწავლეების ჩართულობით და დისკუსიით იმსჯელეთ შიშთან გამკლავების სტრატეგიებზე). • უზრუნველყავით თამაშის სესიები თანატოლებთან ან ზრდასრულებთან • როლური თამაშის დროს გაითამაშეთ ჰიგიენის დაცვის და უსაფრთხოების წესები • საჭიროების შემთხვევაში გაუზაიარეთ მშობელს თქვენი წუხილი ბავშვის ემოციურ მდგომარეობასთან დაკავშირებით და ურჩიეთ, მიმართოს სპეციალისტს.
11-14 წელი	• **რეგრესული რეაქცია:** გაზრდილი კონკურენცია (დედმამიშვილთან ან სხვა მოსწავლესთან მიმართებით) მშობლის ან სხვა ზრდასრულის ყურადღების მიქცევის მიზნით, რუტინის მიყოლის და პასუხისმგებლობების შესრულების სირთულე • **ფიზიოლოგიური რეაქციები:** თავის ტკივილი, ჩივილი გაურკვეველ ტკივილებზე, ჭარბი ჭამა ან მადის დაკარგვა, კუწ-ნაწლავის სისტემის სირთულეები, კანის დარღვევები, ძილის დარღვევები • **ემოციურ/ქცევითი რეაქციები:** თანატოლებთან ერთად აქტივობებში ჩართვის სირთულეები, სწავლის მიღწევის დონის დაქვეითება, დესტრუქციული ქცევა, ჰობისა და დასვენების მიმართ ინტერესის დაკარგვა (არ ემორჩილება კანონებს და წესებს); სირთულეები თანატოლებთან, დედმამიშვილებთან და მშობლებთან ურთიერთობის პროცესში, მოწყენილობა, დეპრესია, ანტისოციალური ქცევა (მაგ.: ქურდობა, ტყუილი და ა.შ.)	• მიაქციეთ დამატებითი ყურადღება, რომელიც გამოიხატება პოზიტიურ კომუნიკაციასა და განწყობაში და არა კონტროლში • სწავლის მიღწევების ცვლილებების შემთხვევაში დაარწმუნეთ მოსწავლე, რომ მისი კომპეტენცია და შესრულების ხარისხი დაბრუნდება • დროებით შეამცირეთ და ადაპტირება გაუკეთეთ მოთხოვნებს სკოლასა და სახლში • უზრუნველყავით სტრუქტურირებული, მაგრამ არა მკაცრი რუტინა და პასუხისმგებლობები • წაახალისეთ მოსწავლე ფიზიკური აქტივობებისკენ • წაახალისეთ მოსწავლის სიტყვიერი და წერილობითი ფორმით ემოციების გამოხატვა • წაახალისეთ მოსწავლე, ჩერთოს სხვადასხვა ჯგუფურ ან სასკოლო აქტივობაში, რაც დაეხმარება მის ემოციურ კეთილდღეობას • წაახალისეთ მოსწავლის სოციალური ინტერაქცია • თანატოლებთან ან ზრდასრულებთან გაითამაშეთ პირადი ჰიგიენის და უსაფრთხოების წესები მოსწავლეების ასაკობრივი ჯგუფისთვის შესაბამისი თამაშებით. • საჭიროების შემთხვევაში გაუზიარეთ მშობელს თქვენი წუხილი ბავშვის ემოციურ მდგომარეობასთან დაკავშირებით და ურჩიეთ, მიმართოს სპეციალისტს.

ასაკი	რეაქცია სტრესზე	მხარდაჭერის სტრატეგიები
14-18 წელი	• **რეგრესული რეაქცია:** პასუხისმგებლობიანი ქცევის შემცირება, ასაკობრივად შესაბამისი მშობლის კონტროლის წინააღმდეგ ბრძოლის შემცირება, სოციალური ინტერესების და აქტივობების შემცირება • **ფიზიოლოგიური რეაქციები:** ჩივილი მომნელებელი სისტემის და შარდის ბუშტის მოქმედებაზე, თავის ტკივილი, კანზე გამონაყარი, ძილის დარღვევა, აუხსნელი ფიზიკური ჩივილი ან ფიზიკური პრობლემების შესაძლო არსებობის გაზვიადებული შიში • **ემოციურ/ქცევითი რეაქცია:** შესამჩნევი ცვლილება ფიზიკურ აქტივობაში მაგ.: მკვეთრად გაზრდილი და შემცირებული აქტიურობა. არასრულფასოვნების და დაუცველობის შეგრძნება, უმწეობის შეგრძნება, ანტისოციალური ქცევა (ქურდობა ან ვანდალიზმი), დაგეგმილი აქტივობების მიმართ დაქვეითებული ყურადღების კონცენტრაცია, დეპრესია, იზოლაცია.	• წაახალისეთ მოსწავლე, საკუთარ გამოცდილებაზე ისაუბროს მშობლებთან • დროებით შეამცირეთ მიღწევების მოლოდინი სკოლასა და სახლში • წაახალისეთ სოციალურ აქტივობებში ჩართულობა/დაბრუნება • წაახალისეთ მოსწავლის სოციალური ინტერაქცია • თანატოლებთან ან ზრდასრულებთან • წაახალისეთ მოსწავლე, ჩერთოს სხვადასხვა ჯგუფურ ან სასკოლო აქტივობაში, რაც წაადგება მის ემოციურ კეთილდღეობას • საჭიროების შემთხვევაში გაუზაიარეთ მშობელს თქვენი წუხილი ბავშის ემოციურ მდგომარეობასთან დაკავშირებით და ურჩიეთ, მიმართოს სპეციალისტს.

ვინაიდან თითოეული მოსწავლე ინდივიდუალურია, აღნიშნული ქცევების მიღმა შესაძლებელია გამოვლინდეს სხვა ტიპის ქცევა, რომელიც არ არის ჩამონათვალში. შესაბამისად, მასწავლებელი მუდმივად ყურადღებით უნდა იყოს, რომ არ გამოეპაროს მცირე ცვლილებაც კი მოსწავლის ქცევაში.

მნიშვნელოვანია გახსოვდეთ!

ზემოაღნიშნული ან სხვა ქცევის გამოვლენის დროს არ ეჩხუბოთ მოსწავლეს, დიალოგის, საუბრის, კომუნიკაციის დამყარების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით შეეცადეთ გაარკვიოთ მისი ემოციური მდგომარება და ქცევის პოზიტიური მართვის და/ან დაეხმარეთ ემოციების რეგულაციის სტრატეგიების გამოყენებით. მასწავლებლის მიერ დაფიქსირებული მკვეთრად გამოვლენილი ნიშნების დროს აუცილებელია მან მიმართოს მშობელს და სკოლაში არსებულ სპეციალისტს (მაგ., ფსიქოლოგს), რათა მოხდეს დროული ჩარევა და საფრთხე არ შეექმნას მოსწავლის კეთილდღეობას.

როგორ მოვამზადოთ მოსწავლე სკოლისათვის?

ზოგადი რეკომენდაციები:

თუ მოსწავლე მიდის პირველ კლასში, მასწავლებელი წაახალისებს მშობლის დიალოგს მოსწავლესთან; საჭიროა კითხვების დასმა სკოლის შესახებ, იმაზე, თუ რა მოლოდინი აქვს მოსწავლეს; მას უნდა შეექმნას წინასწარი განწყობა გარემოს, რუტინის, რიგ შემთხვევებში, ცვლილებების მიმართ.

მასწავლებელი ან/და მშობელი წინასწარ აცნობს მოსწავლეს სწავლების იმ მოდელს, რომელსაც სკოლა იყენებს (კონტაქტური, დისტანციური, ჰიბრიდული)

მასწავლებელი ან/და მშობელი აცნობს მოსწავლეს სწავლების მოდელის შესაბამის დღის რუტინას სხვადასხვა მნიშვნელოვანი პუნქტების გათვალისწინებით, მაგალითად:

დასწრებით სწავლების მოდელი:	დისტანციური სწავლების მოდელი	ჰიბრიდული სწავლების მოდელი
• დილით სკოლაში მისვლის დრო • სკოლაში შესვლის დროს განხორციელებული რუტინა და პროცედურები (თუ მოსწავლე დაწყებით კლასშია, სად შორდებიან მოსწავლე და მშობელი ერთმანეთს და ა.შ.) • ვინ იქნება მასწავლებელი (სასურველიაწინასწარი შეხვედრა მშობლებთან კონტაქტური გზით ან ინტერნეტის გამოყენებით) • დაახლოებით რამდენი მოსწავლე იქნება კლასში • როგორი იქნება კლასის რუტინა და აქტივობები • როგორ ჩატარდება ისეთი გაკვეთილები, როგორიც არის, მაგალითად, ფიზკულტურა • ხელების დაბანასთან, სიცხის გაზომვასთან დაკავშირებული პროცედურები • წასვლის დრო და პროცედურები	• რა ტიპის ონლაინ შეხვედრები იქნება (ინდივიდუალური თუ გაერთიანებული,) • ინსტრუქციები ონლაინ ჩართვების შესახებ • ინსტრუქციები ოფლაინ მიღებული რესურსების ან ტელესკოლის გაკვეთილების შესახებ • რომელ პლატფორმას იყენებს კონკრეტული სკოლა გაკვეთილებისთვის • როგორ მიეწოდებათ მოსწავლეებს დავალებები (დაახლოებით რა ტიპის აქტივობების მიწოდება იგეგმება და როგორ მოხდება დავალებების ჩაბარება) • როგორ უნდა ჩაერთოს მოსწავლე ონლაინ აქტივობებში და რა როლი აკისრია მშობელს ამ პროცესში • როგორ უნდა მიიღოს მასწავლებლის მიერ დისტანციურად მიწოდებული რესურსები • როგორი იქნება გაკვეთილების ცხრილი (როგორც ონლაინ, ასევე დასწრებითი სწავლების დროს)	• დასწრებით და დისტანციური სწავლების გადანაწილების ცხრილი (კვირის დღეების თუ დღის მონაკვეთების) • დასწრებით სწავლების დღეების დროს ინფორმაცია დასწრებით საგაკვეთილო ცხრილიდან • დისტანციური სწავლების დღეების დროს ინფორმაცია დისტანციური საგაკვეთილო ცხრილიდან

- მასწავლებელი აწვდის მშობელს სხვადასხვა სტრატეგიას, თუ როგორ შეიძლება მოსწავლესთან ვირუსების, ბაქტერიების და მასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ მისი ასაკობრივი ჯგუფისთვის გასაგები ენით და საშუალებებით საუბარი. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება დაწყებითი კლასის მოსწავლეებს. ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია ზემოაღნიშნული სტრატეგიების გამოყენება. სასურველია მასწავლებელმა მიაწოდოს მშობელს მოსწავლის ასაკისა და განვითარების შესაბამისი ლიტერატურა აღნიშნულ თემაზე ან მიუთითოს ვებგვერდი, სადაც განთავსებულია მსგავსი მასალა (ნახატები, ელექტრონული წიგნი, ვიდეო და ა.შ.)
- მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა და მშობელმა მოსწავლეს მიაწოდოს რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული ინფორმაცია სკოლასთან და სკოლაში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით; წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსწავლის მოლოდინი იქნება განსხვავებული და და მას ექნება იმედგაცრუება, რაც, თავის მხრივ, აისახება მოსწავლის ჩართულობასა და ქცევაზე. სათანადო მოლოდინი ხელს უწყობს მოსწავლის ჩართულობას, პოზიტიური ქცევას და წესებისა და რუტინის მიმართ გაზრდილი მიმღებლობის არსებობას.
- საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეებთან მიმართებით სასურველია მასწავლებელმა გაუწიოს მშობელს რეკომენდაცია, თუ რაზე შეიძლება გაკეთდეს აქცენტები (მაგალითად, სამოქალაქო პასუხისმგელობაზე) და თუ რამდენად მნიშვნელოვანია წესების დაცვა, რათა დაცული იყოს ოჯახის ხანდაზმული წევრებისა თუ ახლობლების ჯანმრთელობა.

სასწავლო პროცესის დასაწყისი

რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის:

- სასწავლო წლის პირველი გაკვეთილები სასურველია დაეთმოს კლასში ისეთ აქტივობებს, როგორიცაა: სწავლა-სწავლების ფორმატთან დაკავშირებული ცვლილებების განხილვა,.ჯგუფური დისკუსიები პირად ჰიგიენაზე, უსაფრთხოებაზე (რატომ არის მნიშვნელოვანი წესების დაცვა, როგორ ვიცავთ თავს ბაქტერიებისგან და ვირუსებისგან). აღშნულისთვის დაწყებით კლასებში შესაძლებელია მულტფილმების, ანიმაციების, მოთხრობების გამოყენება. მოზარდებთან სასურველია განხორციელდეს ჯგუფური დისკუსიები, ინდივიდუალური საუბრები, სპეციალისტთან გადამისამართება (საჭიროების შემთხვევაში).
- საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეებთან მნიშვნელოვანია აქცენტების გაკეთება მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობაზე, ალტერნატივებზე, თუ როგორ არის შესაძლებელი, მოსწავლეებმა მხარი დაუჭირონ მოხუცებს. შესაძლებელია დაიგეგმოს გარკვეული პროექტები, რომლებიც კავშირში იქნება აღნიშნულ თემასთან.
- მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებმა საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეებთან გააკეთონ აქცენტები ისეთ თემებზე, როგორიცაა მხარდაჭერა, სხვების დახმარება, რეაგირება სხვადასხვა სიტუაციაში (მაგ.:მეგობარი გახდა ავად, სკოლაში ვიღაცას სიცხე აღმოაჩნდა და ა.შ.).
- საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეებმა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შეიძლება გააპროტესტონ წესების დაცვა მოტივით „მე არაფერი მომივა, რომც დამემართოს“, „ჩემს ოჯახში ყველა ახალგაზრდაა“ და სხვა. საჭიროა მათთან დისკუსიები, რომ მიუხედავად ამგვარი რწენებისა, აუცილებელია არსებული წესების და რუტინის დაცვა მრავალი ადამიანის უსაფრთხოებისთვის.
- სასწავლო პროცესის საწყის ეტაპზე რეკომენდებულია დრო დაეთმოს კლასში გამოცდილების გაზიარებას, ჯგუფურ განხილვებს თემებზე – „უსაფრთხოების დაცვა“, „სტრესთან გამკლავების სტრატეგიები“ (მოსწავლეების სტრატეგიები), თუმცა აღსანიშნავია, რომ კლასში ბულინგის შემცირების და მასწავლებლის მხრიდან სწორი ფასილიტაციისთვის უმჯობესია მან კონსულტაცია გაიაროს შესაბამის სპეციალისტთან, მაგალითად, სკოლის ფსიქოლოგთან, მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური დახმარების ფსიქოლოგებთან, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის ფსიქოლოგებთან. მიზანშეწონილია, აღნიშნული შეხვედრების ფასილიტაცია ამ სპეციალისტების მიერ მასწავლებლის ჩართულობით.
- სასურველია, მასწავლებლებმა გაიარონ კონსულტაციები ფსიქოლოგებთან (სკოლის ფსიქოლოგი, მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგიური დახმარების ფსიქოლოგები, სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის ფსიქოლოგები), რათა დაეუფლონ მოსწავლეებში სტრესის ნიშნების იდენტიფიცირებას და მასთან გამკლავების გარკვეულ სტრატეგიებს ან საჭიროების შემთხვევაში გადაამისამართონ მოსწავლე და მშობელი შესაბამის სპეციალისტთან.
- მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას სკოლის ცხრილის, სასკოლო წესებისა და რუტინის შესახებ დაწყებითი კლასის მოსწავლეები და მათი მშობლები ერთად გაეცნონ. ეს ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს შემდეგს: დილით ადგომის დრო, დილის რუტინა, სკოლაში მისვლის დრო, სკოლაში შესვლის რუტინა და პროცედურები, ვინ იქნება მასწავლებელი (ფოტო, სატელეფონო ან ინტერნეტშეხვედრა წინასწარ), მოსწავლეების რაოდენობა კლასში (სასურველია წინასწარ გაიცნონ რამდენიმე მათგანმა ერთმანეთი), საკლასო და სასკოლო წესები, ეზოში გასვლის, ხელების დაბანის პროცედურები. მშობლის ჩართულობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწყებითი კლასებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის.

მშობლების ჩართულობა და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის მნიშვნელობა

მშობლებს განსაკუთრებული შფოთვა ახასიათებთ მოსწავლის სკოლაში პირველად წასვლისას. ამ დროს მშობელმა არ იცის, თუ როგორ შეეგუება მოსწავლე მასწავლებელს, სასწავლო პროცესს, თანატოლებს, გაართმევს თუ არა თავს სასწავლო პროგრამას და ა.შ. COVID-19 ის პანდემიით გამოწვეული მდგომარეობის გამო აღნიშნულ სტრესულ საკითხებს ემატება ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება. მშობელი შფოთავს იმაზე, თუ რამდენად არის დაცული მისი შვილი სკოლაში ფიზიკურად და ემოციურად. შესაბამისად, თითოეულ მშობელს, რომლის შვილიც ახალი სასწავლო წლისთვის ემზადება, გარკვეული მხარდაჭერა სჭირდება, რათა წინასწარ გაეცნოს რიგ საკითხებს, შეიქმნას სათანადო მოლოდინი სასწავლო პროცესთან დაკავშირებით და მზაობა პანდემიის გამო შექმნილი უჩვეულო წესებისა და რეგულაციების ფარგლებში ფუნქციონირების მხრივ.

მშობლის გაზრდილი ჩართულობისთვის საჭიროა სკოლის ადმინისტრაციამ გააცნოს მას ინფორმაცია სწავლების შერჩეული ფორმისა და სტრატეგიების ზოგადი წესების, შეცვლილი რუტინის (რომელიც საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებსა და რეგულაციებს ეფუძნება) შესახებ. მნიშვნელოვანია, მომავალი მოსწავლე და/ან მასზე მზრუნველი პირები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულები როგორც უკვე არსებული, ასევე მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ, რაც მეტად პროგნოზირებადს ხდის ყოველდღიურობას და აყალიბებს როგორც მოსწავლის ოჯახის წევრების, ასევე სკოლის პერსონალის სათანადო მზაობასა და მობილიზებას.

როგორ ემზადება მოსწავლე სკოლისათვის მშობლის მხარდაჭერით?

მოსწავლის ცხოვრების ყველა ეტაპზე მისი განვითარებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ემოციური კეთილდღეობა. მხარდაჭერის, უსაფრთხოების, ბედნიერების განცდის არსებობის შემთხვევაში იზრდება მოსწავლის მოტივაცია, ჩაერთოს ამა თუ იმ აქტივობაში, უსაფრთხოდ იგრძნოს თავი სხვადასხვა გარემოში, ჩაატაროს ექსპერიმენტები, იყოს ცნობისმოყვარე და ინტერესიანი სიახლის მიმართ. თუ მოსწავლეს აქვს უსაფრთხოების და ახალ გარემოში მიკუთვნებულობის განცდა, თავს გრძნობს კომფორტულად და აქვს კეთილდღეობის შეგრძნება, იგი ავლენს კეთილგანწყობას როგორც მასწავლებლების, ასევე თანატოლების მიმართ და მზად არის შეთავაზებულ აქტივობებში ჩასართავად.

მნიშვნელოვანია, რომ ემოციური კეთილდღეობის, უსაფრთხოების და მიკუთვნებულობის განცდის შექმნისთვის ზრუნვა სკოლაში წასვლამდე დაიწყოს. სკოლისადმი არსებული წინასწარი განწყობა და მზაობა საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მისი რუტინის მიმართ არა მხოლოდ ხელს უწყობს მოსწავლის ემოციურ კეთილდღეობას, არამედ პირდაპირად აისახება საგანმანთლებლო პროცესში მის ჩართულობაზე. რაც მეტად მომზადებულია მოსწავლე, იცის რუტინა, მოსალოდნელი აქტივობები, იცის, თუ ვინ იქნებიან პროცესში ჩართული პირები და რა მოლოდინი არსებობს გარემოს მიმართ, მით მეტად სწრაფად და უმტკივნეულოდ ეგუება ის ახალ გარემოს, მცირდება სიახლით (გარემო, ადამიანები) გამოწვეული სტრესი და ხალისით ერთვება სასწავლო პროცესში. COVID-19-ით გამოწვეული მდგომარეობის პირობებში კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია მოსწავლის ინფორმირება, თუ რა გარემო, აქტივობები, რუტინა და პროცედურები ელის მას საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ამისათვის სკოლის წარმომადგენელმა უნდა მიაწოდოს დაწვრილებითი ინფორმაცია მშობელს და დაეხმაროს მას მოსწავლის მომზადებაში.

როგორ შევქმნათ მაქსიმალურად კეთილგანწყობილი ემოციური გარემო სასწავლო პროცესში?

აუცილებელია გვახსოვდეს რომ სკოლის მიზანი არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის მიცემაა, არამედ სხვადასხვა კოგნიტური, ფუნქციური, და, პირველ რიგში, მოსწავლის ემოციური კეთილდღეობისა და სოციალური უნარების განვითარების მხარდაჭერაა. შესაბამისად, მიუხედავად არსებული მდგომარეობით გამოწვეული ფიზიკური დისტანციისა, სკოლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, შეინარჩუნოს და წაახალისოს მოსწავლეებს შორის სოციალური ინტერაქცია და კომუნიკაცია. თანატოლებისა და კლასისადმი მიკუთვნებულობის შეგრძნების გაზრდისათვის აუცილებელია მოსწავლემ სოციალური ინტერაქცია დაამყაროს თანატოლებთან. მიკუთვნებულობის განცდა ერთ-ერთი ბაზისური და მთავარი განცდაა, რომელიც კონკრეტულ კონტექსტში მოსწავლის ემოციურ კეთილდღეობას განაპირობებს. საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეებს სოციალური ინტერაქციის დიდი სურვილი აქვთ, მათთვის თანატოლებთან აქტიური კომუნიკაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია; ამ მხრივ სკოლის როლი უსაფრთხო ინტერაქციისა და კომუნიკაციის უნარების განვითარება იქნება, განსაკუთრებით სკოლის ფარგლებში.

რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის:

- დაწყებით კლასებში გააკარით კედელზე დღის რუტინის და წესების ამსახველი თვალსაჩინოება (მაგ.:შემოსვლის დროს სიცხეს იზომავენ, შემდეგ სადეზინფექციო ხსნარს ისხამენ, კვების წინ და კვების შემდეგ ხელებს იბანენ და ა.შ.), რადგან ვიზუალური დამხმარე საშუალებები ეხმარება მოსწავლეს ინფორმაციის ათვისებაში. აღნიშნული მასალა მეტად დასამახსოვრებელი იქნება, თუ მას მოსწავლესთან ერთად შექმნით ფერადი ფურცლების, ფანქრებისა და ნახატების მეშვეობით. ამ გზით ის თავად იქნება წესების შექმნა-შემუშავების მონაწილე და მეტად გაითვალისწინებს მათ. მოზრდილ მოსწავლეებთან გამოიყენეთ კედელზე გაკრული წერილობითი ფორმის წესები, რომლებსაც ასევე მათთან ერთად შექმნით.
- წაახალისეთ მოსწავლე ვერბალური კომუნიკაციის დამყარებისკენ. შექმენით კლასში მცირე ჯგუფებში აქტივობები, სადაც მოსწავლეებს ექნებათ რიგის დაცვის, სხვისი პოზიციის გათვალისწინების, საკუთარი პოზიციის გამოხატვის, წესების დასწავლის საშუალება. უფროსი ასაკის მოსწავლეებთან გამოიყენეთ სხვადასხვა პროექტი მცირე ჯგუფებში, რომელიც დაეხმარება მათ ერთმანეთთან პოზიტიური კომუნიკაციის დამყარებაში.
- მიეცით მოსწავლეს ემოციების გამოხატვის საშუალება. უპასუხეთ, თუ ის პერიოდულად სვამს შეკითხვას ხელების დაბანასა და სიცხის გაზომვასთან დაკავშირებით. ერთი და იმავე შეკითხვის ხშირად დასმა შესაძლებელია მაღალ შფოთვაზე მიუთითებდეს და თქვენი პასუხები კეთილგანწყობა, ემოციური გაზიარება და ემპათიურობა ამ დროს დამამშვიდებლად მოქმედებს მასზე.
- უფროსი ასაკის მოსწავლეებთან გამოვლენილი სხვადასხვა რთული ქცევის დროს ეცადეთ პოზიტიური კომუნიკაცია დაამყაროთ მათთან, მოუსმინოთ. COVID-19-ით გამოწვეულ შფოთვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ შექმნათ ანონიმური ყუთი, სადაც მოსწავლეები ჩაყრიან თავიანთ შიშს, სტრესებს, ემოციებს, რომელთა გამკლავების მექანიზმებსაც მთელი კლასი განიხილავს (აღნიშნული აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა შესაძლებელია აიღოს სკოლის ფსიქოლოგმა, – ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- უფროსი ასაკის მოსწავლეებთან განიხილეთ ისეთი საკითხები, როგორიცა არის „ემპათია, თანაგანცდა, მხარდაჭერა სხვადასხვა სიტუაციაში (მაგალითად, თუ სწავლის პროცესში ერთ-ერთ მოსწავლეს აღმოაჩნდა COVID-19 ან სხვა ტიპის ვირუსი).

თუ მოსწავლეს სკოლაში ყოფნის დროს დაუფიქსირდა მაღალი ტემპერატურა (37°C ან მეტი)

საქართველოს ჯანდაცვის რეკომენდაციით, თუ სკოლაში მყოფ მოსწავლეს დაუფიქსირდა სიცხე, მასწავლებელი ვალდებულია გადაიყვანოს იგი იზოლაციის ოთახში. იზოლაციის დროს გაითვალისწინეთ შემდეგი:

- გაიყვანეთ მოსწავლე კლასიდან მშვიდი ქმედებებითა და საუბრის მანერით
- მოსწავლეს განუმარტეთ, რომ მისი ოთახიდან გაყვანის მიზეზი არის ის, რომ ხელახლა გადაუმოწმდეს ტემპერატურა. კლასში დარჩენილი მოსწავლეების მიერ კითხვების დასმის შემთხვევაში აკეთებთ იმავე განმარტებას.
- თუ სიცხე აქვს უფროსი ასაკის მოსწავლეს, გაითვალისწინეთ, რომ კლასიდან გასვლის შეთავაზების დროს მისი ქცევა შესაძლებელია იყოს წინააღმდეგობრივი, გააპროტესტოს, შეგეპასუხოთ და ა.შ. აღიჭურვეთ მოთმინებით, შეახსენეთ მას სკოლაში არსებული წესები, კლასიდან გასვლის საჭიროება, ეცადეთ იყოთ პოზიტიური და მხარდამჭერი (მოსწავლეს შეიძლება დაეუფლოს შიშის, შფოთვის შეგრძნება დაფიქსირებული სიცხის ფონზე).
- იზოლაციის ოთახში გარკვეული დროის ყოფნის შემდეგ მოსწავლემ შეიძლება მოგთხოვოთ ოთახიდან ან სკოლიდან დამოუკიდებლად გასვლა, – ამ შემთხვევაშიც კვლავ აუხსენით მას სკოლის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუავებული წესები, შეახსენეთ მისი, როგორც მოქალაქის ვალდებულებები, იყავით ემპათიური, გულშემატკივარი და სთხოვეთ, თქვენთან ერთად დაელოდოს მშობელს.
- ეცადეთ მოსწავლის შესახებ ინფორმაცია მშობელს მის გარეშე მიაწოდოთ, თუმცა თუ შემდეგ მოსწავლე გთხოვთ მშობელთან დაკავშირებას და დალაპარაკებას, მიეცით მას ამის საშუალება.
- მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდების დროს შეინარჩუნეთ სიმშვიდე.
- მოსწავლესთან ერთად მშვიდად დაელოდეთ მშობელს.

რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის

გზამკვლევის მოცემული ნაწილში განხილულია დამატებითი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც მიზანშეწონილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესის ეფექტურად და უსაფრთხოდ ორგანიზებისთვის ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციის პირობებში.

გზამკვლევში გაანალიზებულია სასწავლო პროცესის ორგანიზების და განხორციელების საკვანძო საკითხები:

(ა) დასწრებულ სწავლებაზე დაბრუნების შემთხვევაში;

(ბ) დისტანციური სწავლების შემთხვევაში, – იქნება ეს სრულად ელექტრონულად ონლაინ, ასინქრონული თუ ჰიბრიდულად წარმართული სასწავლო პროცესი[2].

გადაწყვეტილება, განათლების რომელი მოდელი უნდა განხორციელდეს მოცემულ მომენტში, ეფუძნება ქვეყანაში არსებულ ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციებს (იხ. . საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესი).

(ა) დასწრებულ სწავლებაზე დაბრუნება

დღეს საქართველოს საჯარო სკოლები დასწრებულ სასწავლო პროცესს უბრუნდებიან. იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო სკოლები ვალდებულნი არიან სასწავლო გარემოსა და პროცესში ახალი რეგულაციები და წესები დაამკვიდრონ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სწავლის დაწყებამდე მოსამზადებელი ეტაპი.

აღნიშნული ეტაპის შემადგენელია სკოლაში იდენტიფიცირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა საჭიროებების სიღრმისეული ანალიზი და დასწრებული სასწავლო პროცესის ინდივიდუალურად დაგეგმვა/ორგანიზება.

თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საკითხის ინდივიდუალურად განხილვის მიზნით, მნიშვნელოვანია, სკოლის ადმინისტრაციამ შეიმუშავოს განრიგი და სწავლის დაწყებამდე, მინიმუმ, ერთი კვირით ადრე ორგანიზება გაუწიოს სამუშაო გუნდურ შეხვედრებს. აღნიშნულ შეხვედრებს უნდა ესწრებოდნენ, მოსწავლის დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები, სპეცმასწავლებელი/ფსიქოლოგი, მშობელი და მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართული სხვა სპეციალისტები.

2 საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესი.

შეხვედრები შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პირისპირ, ისე დისტანციურად, ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით (მაგ., იმ შემთხვევაში, თუკი მშობელი არ იმყოფება ადგილზე სასწავლო წლის დაწყებამდე).

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესის დაგეგმვა, რომლებიც სწავლას იწყებენ. შესაძლებელია პირველკლასელებს და მათ მშობლებს მეტი მხარდაჭერა და მომზადება დასჭირდეთ აღნიშნული სასწავლო წლისთვის. გამოცდილების არარსებობის გამო სწავლის დაწყებამდე მშობლებს ასეთი კითხვები აწუხებთ: როგორ შეძლებს მათი შვილი ახალ გარემოსა და ცხოვრების ახალ ეტაპთან შეგუებას, რა მხარდაჭერას მიიღებს, ვინ იქნება მისი მხარდამჭერი, რამდენად უსაფრთხოა სკოლა მისთვის და ა.შ.

პანდემიის პირობებში სკოლაში ეფექტური ტრანზიციის საკითხების დეტალურად გასაცნობად გაეცანით გზამკვლევს: „მე სკოლაში მივდივარ – როგორ მოვემზადოთ სკოლაში ტრანზიციისთვის“[3].

შეხვედრების მიზანს წარმოადგენს უსაფრთხოების საკითხების, მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის, აკადემიური პროგრესის განხილვა და მოქმედების შეთანხმებული გეგმის შემუშავება სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ და მოსწავლეზე ორიენტირებულად დაწყების და განხორციელების მიზნით.

დისკუსია შეეხება შემდეგ საკითხებს:

- უსაფრთხოების საკითხები
- მშობლებისთვის უსაფრთხოების რეგულაციების გაცნობა[4]

მიზანშეწონილია პირისპირ შეხვედრისას მშობლებისთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდება ახალი დამატებითი რეგულაციების შესახებ და მათი დამუშავება დისკუსიის რეჟიმში.

იმისათვის, რომ მშობლებისთვის განსაზღვრული რეგულაციები მისაწვდომი იყოს, მნიშვნელოვანია სკოლამ დამატებით უზრუნველყოს აღნიშნული რეგულაციების ადაპტირება მშობლისთვის ხელმისაწვდომი საინფორმაციო ტექსტის სახით. უპირატესობა ენიჭება ტექსტის ელექტრონული ვერსიის გავრცელებას. იმ შემთხვევაში, თუ მშობელს არა აქვს ელექტრონული ფოსტა, მას დაბეჭდილი დოკუმენტი გადაეცემა.

შეხვედრაზე სკოლის წარმომადგენლები ორიენტირებულნი უნდა იყვნენ არა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემაზე, არამედ გადამოწმებაზე, რომ მშობლისთვის მიწოდებული ინფორმაცია გასაგები და მისაღებია. აუცილებელია მშობელს მიეცეს შესაძლებლობა, დასვას მისთვის აქტუალური შეკითხვები და მიიღოს ამომწურავი პასუხები. იმ შემთხვევაში, თუკი მშობლის მიერ დასმული შეკითხვები სცდება სკოლის წარმომადგენელთა კომპეტენციას, მიზანშეწონილია განისაზღვროს სკოლის წარმომადგენელი, რომელიც პროაქტიურად დააზუსტებს მშობლისთვის საინტერესო საკითხებს და დათქმულ ვადაში წარმოადგენს სათანადო პასუხებს.

3 http://inclusion.ge/res/docs/2020071518513480506.pdf

4 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეგულაციები - ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის.

მოსწავლის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა

მიზანშეწონილია სკოლამ გადაამოწმოს: განეკუთვნება თუ არა მოსწავლე მაღალი რისკის ჯგუფს ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით; ხომ არ განსაზღვრულა უსაფრთხოების დაცვის საგანგებო რეკომენდაციები მოსწავლის მკურნალი ექიმის მხრიდან, რომელთა გათვალისწინებაც უნდა მოხდეს სკოლის მიერ; ხომ არ ითხოვს მშობელი მოსწავლის შინ სწავლების/დისტანციურ ფორმატზე გადაყვანას, თუ ითხოვს, – რა არის ამის მიზეზი და ა.შ.

შესაძლებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის მისი ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით განისაზღვროს დისტანციური ან შინ სწავლების მოდელის გამოყენება, – მიუხედავად იმისა, რომ სკოლა დასწრებულ სწავლებაზე იყოს ორიენტირებული. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს მოსწავლის საჭიროებების და ჯანმრთელობის მდგომარეობის კომპლექსურ შესწავლას და მას უნდა იღებდეს სკოლა მოსწავლის მკურნალი ექიმის რეკომენდაციის საფუძველზე და ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის მონაწილეობით..

მხარდამჭერი სპეციალისტის განსაზღვრა

სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მიზანშეწონილია სპეციალისტების და მშობლების მიერ მოსწავლის შესაძლებლობების შეფასება და განსაზღვრა იმისა, რამდენად საჭიროებს მოსწავლე რეგულაციების დაცვისას თანატოლებზე მეტ მხარდაჭერას.

საჭიროების დადგენის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, მოხდეს იმ სპეციალისტების იდენტიფიცირება, რომლებიც დამატებით მხარდაჭერას გაუწევენ მოსწავლეს უსაფრთხო დისტანციის, ჰიგიენური პროცედურების, ქცევის წესების დაცვის პროცესში და/ან მონიტორინგს გაუწევენ მოსწავლის მიერ აღნიშნული პროცედურების დაცვას.

იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლისთვის განსაზღვრულია სსსმ პირის ასისტენტი, ის არამარტო კლასში (გაკვეთილზე), არამედ საერთოდ მოსწავლის სკოლაში ყოფნის განმავლობაში უზრუნველყოფს დისტანციისა და ჰიგიენური პროცედურების დაცვაზე ზრუნვას.

სხვა შემთხვევაში რეკომენდებულია, სკოლამ მშობელთან ერთად მიიღოს გადაწყვეტილება, თუ ვინ აიღებს ამ პასუხისმგებლობას – დამრიგებელი, რომელიმე საგნის მასწავლებელი თუ სპეციალური მასწავლებელი/ფსიქოლოგი. თუკი სკოლაში რამდენიმე სპეციალური მასწავლებელია, აღნიშნული საკითხების კოორდინირების მიზნით რეკომენდებულია მოხდეს მათი ასოცირება კონკრეტულ მოსწავლესთან. ამავდროულად, თუკი სკოლაში დიდი რაოდენობით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები ირიცხებიან და მათი უმრავლესობა საჭიროებს ინტენსიურ მხარდაჭერას, შესაძლებელია, სკოლის ადმინისტრაციამ სხვა მასწავლებელთა (ან სხვა მოსწავლის ინდივიდუალური ასისტენტის) რესურსიც გამოიყენოს აღნიშნული საკითხების დასარეგულირებლად.

ამავდროულად, ჰიგიენური პროცედურების და მათი სიხშირის დაზუსტების მიზნით, გასათვალისწინებელია მოსწავლის დამხმარე საშუალებების (ეტლი, ხელჯოხი, სასიარულო ჩარჩო, სათვალე, გამადიდებელი შუშა) შესაძლო დამატებითი დეზინფიცირების საჭიროება. ზოგიერთ მოსწავლეს შესაძლოა ესაჭიროებოდეს უფრო ინტენსიური ფიზიკური კონტაქტი გარემოსთან (გადაადგილების და/ან მხედველობის სირთულის გამო ინტენსიური ყრდნობა ან ტაქტილური შეხება ზედაპირებთან). ქვემოთ ნიმუშის სახით წარმოდგენილია ცხრილი, რომლის მსგავსად შესაძლებელია შეიქმნას ჰიგიენური პროცედურების დაცვის ჩანიშვნების ფორმა, რაც დაეხმარება მასწავლებელს/სსსმ პირის ასისტენტს, ორგანიზებული სახე მისცეს მოსწავლის პირადი ჰიგიენის დაცვას.

მოსწავლე	ჰიგიენური პროცედურების დაცვის ხელშეწყობაზე პასუხისმგებელი პირი - პოზიცია; სახელი / გვარი	შენიშვნა
ა.ბ		აღენიშნება ჭარბი ნერწყვდენა, საჭიროებს ხელების 20 წუთში ერთხელ დეზინფექციას
გ.დ		გადაადგილდება სავარძელ-ეტლით, საჭიროებს ეტ-ლის დეზინფიცირებას ხელით წვდომის ადგილებში
ე.ვ.		....

რასაკვირველია, ამგვარი ცხრილი იქმნება სამუშაო ჯგუფის მიერ მოსწავლეთა საჭიროებების თვალსაჩინოდ დანახვის და რესურსების გონივრულად გადანაწილების მიზნით. აუცილებელია, ცხრილი სრულიად კონფიდენციალური დარჩეს.

მშობელს უნდა გადაეცეს იმ პირის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც მოსწავლეს აღნიშნულ მხარდაჭერას უწევს.

მოსწავლის ინფორმირება და მომზადება ახალი წესების შესახებ

მიზანშეწონილია, სამუშაო შეხვედრებზე მოხდეს შეთანხმება, თუ რა სტრატეგიით, რა ფორმით და ვის მიერ მოხდება მოსწავლის ინფორმირება და მომზადება ახალი რეგულაციებისა და ქცევის წესების შესახებ.

გარდა ახალი წესების დასწავლისა, მოსწავლეს უნდა განემარტოს, რომ მასთან მომუშავე სპეციალისტი (სსსმ პირის ასისტენტი, სპეცმასწავლებელი თუ ფსიქოლოგი) გამოიყენებს პირბადეს, თუ სამუშაო მოითხოვს ერთ მეტრზე ახლოს მიახლოებას, ხოლო ხელებით კონტაქტის საჭიროებისას კი გამოიყენებენ ერთჯერად ხელთათმანებს. (იხ. ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის). მნიშვნელოვანია, რომ ინფორმირების შედეგად მოსწავლეს გაუჩნდეს მიმღებლობა აღნიშნული ცვლილებების მიმართ (შესაძლებელია ეს მოხდეს სხვადასხვა აქტივობის განხორციელებით, ვიზუალური მასალის გამოყენებით).

მოსწავლის ინფორმირებულობაზე პასუხისმგებლობა შესაძლებელია აიღოს თავად მშობელმა, დამრიგებელმა ან სპეციალურმა მასწავლებელმა/ფსიქოლოგმა. მთავარია, სკოლაში დამკვიდრებული ახალი წესების შესახებ მოსწავლემ ინფორმაცია წინასწარ მიიღოს და იყოს სათანადოდ ინფორმირებული.

- ინფორმაციის მიწოდება მოსწავლისთვის უნდა მოხდეს მისი მხრიდან ინფორმაციის აღქმის და გააზრების თავისებურების გათვალისწინებით;
- ახალი ქცევის დასწავლა შესაძლებელია დაიწყოს სახლის პირობებში და განმტკიცდეს იმ გარემოში, სადაც ის უნდა განხორციელდეს;
- სწავლის დაწყებამდე შესაძლებელია საჭირო გახდეს მოსწავლის რამდენიმე ვიზიტი სკოლაში დეზობარიერის, დისტანციის აღმნიშვნელი ნიშნულების იდენტიფიცირების, სიცხის გაზომვის პროცედურის გაცნობის მიზნით და ა.შ.;
- რეკომენდებულია, ასევე, სკოლას მოსწავლეებისთვის მისაწვდომი ფორმით შემუშავებული ჰქონდეს საინფორმაციო ბუკლეტი უსაფრთხოების წესების შესახებ, რომელსაც მოსწავლისთვის გასაცნობად მშობელს გაატანს;

- ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია საჭირო გახდეს აღნიშნული საინფორმაციო ბროშურის მოსწავლისთვის ინდივიდუალურად დამუშავება; მაგ., ნაცვლად ნახატებისა, ფოტოების გამოყენება, შრიფტის გაზრდა, ბრაილზე დაბეჭდვა და ა.შ.

საკონტაქტო პირის იდენტიფიცირება

სკოლის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე აუცილებელია მშობლის მიერ განისაზღვროს ორი პირი, ვისთანაც მოხდება დაკავშირება იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლეს სკოლაში ყოფნისას გარკვეული სიმპტომები აღმოაჩნდება. ორი პირის იდენტიფიცირება მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ერთი პირის მიუწვდომლობის შემთხვევაში მოხდეს დაკავშირებამეორესთან.

დისტანციური სწავლების მოდელების და შესაძლებლობების განხილვა

აღნიშნულ შეხვედრებზე შესაძლებელია ასევე საუბარი იმაზე, როგორ მოხდება სასწავლო პროცესის ორგანიზება იმ შემთხვევაში, თუკი მოსწავლეს დისტანციურ მოდელზე გადასვლა მოუწევს, ხომ არ საჭიროებენ ოჯახის წევრები ტრენინგს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების, სასწავლო პროცესის ორგანიზების, ინსტრუქციების მიწოდების, ქცევის მართვის თვალსაზრისით.

საკითხები, რომლებიც უნდა გაანალიზდეს დისტანციური სასწავლო პროცესის დასაგეგმად, მოცემულია აღნიშნული გზამკვლევის მომდევნო თავში.

სამუშაო შეხვედრაზე აუცილებელია განხორციელდეს რეფლექსია იმაზე, თუ როგორ მოხდა გასული სემესტრის კრიზისულ ვითარებაში სასწავლო პროცესის წარმართვა და მოსწავლის სასწავლო შედეგების, ასევე მისი ფსიქო-ემოციური მდგომარეობის გაანალიზება.

იდეალურ შემთხვევაში, აღნიშნულ საკითხები მოსწავლესთან მომუშავე გუნდის მიერ გასული სასწავლო წლის დასასრულს უნდა შეფასებულიყო. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუკი სკოლისთვის აღნიშნული საკითხები ცნობილია, მოცემულ ეტაპზე მათთვის მნიშვნელოვანი იქნება იმის გარკვევა, თუ როგორ წარიმართა არდადეგების პროცესი, ხომ არ განიცადა მოსწავლემ გარკვეული ცვლილებები აკადემიური და ფსიქო-ემოციური თვალსაზრისით: მოხდა თუ არა მიღებული ცოდნის ტრანსფერი (ფუნქციური გამოყენება) ყოველდღიურ ცხოვრებაში, ხომ არ მომხდარა ახალი უნარ-ჩვევების ათვისება ან პირიქით, გარკვეული უნარების დაკარგვა/დავიწყება; როგორი იყო მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა და ქცევა, დარეგულირდა თუ არა ის და თუ კი, მაშინ რა ცვლილება განიცადა ამ უკანასკნელმა კრიზისული ვითარების გამო და რა სტრატეგიების გამოყენებით? ამავდროულად, მნიშვნელოვანია მშობლის მოსმენა და მისი ხედვის გაზიარება, – ხომ არ საჭიროებს მოსწავლე მოცემულ მომენტშიც ფსიქო-ემოციურ მხარდაჭერას და/ან ქცევის რეგულირებას ან ხომ არ საჭიროებს მშობელი რეკომენდაციებს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

საჭიროების იდენტიფიცირების შემთხვევაში მნიშვნელოვანია, სკოლამ პროაქტიურად დაიწყოს მუშაობა მოსწავლისა და მშობლის მხარდასაჭერად. ამისათვის მან პირველ რიგში სკოლის შიდა რესურსის საფუძველზე (ფსიქოლოგი, სპეცმასწავლებელი) უნდა ცადოს პრობლემის გადაჭრა. იმ შემთხვევაში, თუკი სკოლას არ ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრი ან მათი ინტერვენცია არ აღმოჩნდა საკმარისი, მიზანშეწონილია სკოლის შუამდგომლობით მოხდეს მოსწავლის და მშობლის რეფერირება შესაბამისი კომპეტენციის მქონე მულტიდისციპლინური გუნდის წევრთან (თუნდაც აღნიშნული გუნდის წევრი არ მოქმედებდეს აღნიშნულ ტერიტორიაზე) ან მასწავლებლის სახლის ქცევით კონსულტანტებთან. დამატებით, შესაძლებელია მშობლისა და მოსწავლის

რეფერირება აღნიშნული ტიპის მომსახურების მქონე ორგანიზაციებთან. შესაბამისად, მიზანშეწონილია სკოლას ჰქონდეს იმ ორგანიზაციების მონაცემთა ბაზა, რომლებსაც შეუძლიათ ამგვარი სერვისის მოწოდება. შესაძლებელია ოჯახმა იმ სოციალური მომსახურებიდანაც მიიღოს მხარდაჭერა, სადაც მოსწავლეა ჩართული.

ამავდროულად, საყურადღებოა შემდეგი გარემოება: იმ შემთხვევაში, თუკი გასულ სასწავლო წელს კრიზისული ვითარების გამო მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცვლილებები შევიდა და მისთვის სიტუაციიდან გამომდინარე პრიორიტეტულად განისაზღვრა ახალი და დროებითი მოკლევადიანი მიზნები[5], მშობელთან ერთად უნდა მოხდეს რეგულარულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე დაბრუნების საკითხის განხილვა.

ბუნებრივია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა შესაბამისი სტანდარტული პროცედურების დაცვით განხორციელდება, რაც გულისხმობს მოსწავლის სიღრმისეულ შეფასებას იმ საგნობრივ პროგრამებთან მიმართებით, რომლებსაც ის გადის, მისი ცოდნის აქტუალური დონის დადგენას, გადაწყვეტილების მიღებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების შესახებ, გეგმის შედგენას (გრძელი და მოკლევადიანი მიზნების დაზუსტებას) და ამ პროცესში მშობლის პერსპექტივის გათვალისწინებას.

სასწავლო გარემოს, მასალის და ჰიგიენური ნივთების ორგანიზება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის

იმ შემთხვევაში, თუკი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე რესურსოთახში ერთი ერთზე ან მცირე ჯგუფებში ორგანიზებულ სასწავლო პროცესშია ჩართული, სკოლის ადმინისტრაციას და მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირს მოუწევს იმ ნივთების უსაფრთხო გამოყენების წესების შემუშავება, რასაც მოსწავლე აქ მეცადინეობისას იყენებს (განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი გამოყენებული მასალა და ნივთები მრავალჯერადი მოხმარებისაა და მას საზიაროდ იყენებდენ მოსწავლეები მცირე ჯგუფებში ან ინდივიდუალურად მუშაობისას).

რეკომენდებულია, რომ სპეცმასწავლებელმა/ფსიქოლოგმა:

- შეადგინოს იმ მოსწავლეების სრული სია, რომლებიც რესურსოთახით და იქ არსებული ნივთებით და მასალით სარგებლობენ;
- განსაზღვროს ის მასალა, რომელიც კონკრეტული მოსწავლისთვის გამოიყენება (რასაკვირველია, მასალის განსაზღვრა მოსწავლისთვის დადგენილი სასწავლო მიზნების და მისი ინტერესების გათვალისწინებით მოხდება);
- განსაზღვროს ინდივიდუალური სათავსო თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის და იქ მოათავსოს აღნიშნული ნივთები; სათავსოს დააწეროს მოსწავლის სახელი, დააკრას მისი ფოტო ან გამოიყენოს სიმბოლო, რომლის საშუალებითაც მოსწავლე თავისი ნივთების ადგილმდებარეობის იდენტიფიცირებას შეძლებს;
- ასწავლოს მოსწავლეს, თუ სად ინახება მისი ნივთები და გააცნოს ამ ნივთებით სარგებლობის წესები;
- იმ შემთხვევაში, თუკი რამდენი მოსწავლე სარგებლობს მოცემული მასალით,
  (ა) გონივრულად გადაანაწილოს მასალა მოსწავლეებს შორის და შეეცადოს, რომ არ მოხდეს ერთი და იმავე მასალის გამოყენება სხვადასხვა მოსწავლის მიერ;

5 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების დისტანციურ სწავლებაში ჩართვის ხელშეწყობა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტისა სამინისტრო.

(ბ) საზიარო ნივთებისთვის განსაზღვროს ცალკე სათავსო და უზრუნველყოს ნივთების დეზინფიცირება მათი ყოველი მოხმარების შემდეგ, თუკი მასალა, რითიც აღნიშნული ნივთები დამზადებულია, ამის შესაძლებლობას იძლევა; მასალა, რომლის დეზინფიცირება შეუძლებელია, ამოსაღებია მოხმარებიდან (მაგ., რბილი ქსოვილისგან დამზადებული თვალსაჩინოება) ან შეიძლება არასაზიაროდ, ინდივიდუალურად გამოიყენებოდეს მოსწავლის მიერ (მაგ., ფერადი ფურცლები);
(გ) განსაზღვროს ადგილი, სადაც გროვდება გამოყენებული საზიარო მასალა დეზინფიცირებისთვის და მოათავსოს იქ მათი ყოველი გამოყენების შემდეგ; დეზინფიცირების შემდეგ დააბრუნოს მასალა თავის ადგილზე;
(დ) შექმნას თვალსაჩინო ბარათები (სასურველია ლამინირებული) და პოსტერები რესურსოთახში ქცევის წესებთან დაკავშირებით და განათავსოს ისინი თვალსაჩინო ადგილზე;
(ე) მოსწავლესთან პირველი შეხვედრები დაუთმოს აღნიშნული წესების გაცნობას (ლამინირებული ბარათების გამოყენებით) და დასწავლას;
(ვ) შეადგინოს იმ მასალის სია, რომელიც რამდენიმე მოსწავლეს ერთდროულად სჭირდება და მიმართოს სკოლის ადმინისტრაციას მის შესაძენად.

ამასთან, უნდა:

- განისაზღვროს რესურსოთახით სარგებლობის გონივრული განრიგი იმისათვის, რომ მოესწროს სამუშაო ზედაპირებისა და მასალის დეზინფიცირება მოსწავლეთა ცვლის შესაბამისად და სივრცის განიავება;
- განისაზღვროს და თვალსაჩინო ადგილზე განთავსდეს დეზინფიცირების ყოველდღიური აღრიცხვის ფურცელი, დეზინფიცირების განხორციელება დადასტურდეს მოსწავლეთა ცვლის შემდეგ; დეზინფიცირებაზე პასუხიმგებლობა განესაზღვროს იმ პირს, რომელმაც იმუშავა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან; იხილე დანართი N5.
- დეზინფიცირების პროცესზე პასუხისმგებლობა შესაძლებელია დაეკისროს სსსმ პირის ასისტენტს (ასეთი კადრის არსებობის შემთხვევაში);
- მიზანშეწონილია მოცემული პუნქტის ჩამატება აღნიშნული კადრის სამუშაო აღწერილობაში და მისი და სხვა სპეციალისტის ინსტრუქტირება დეზინფიცირების პროცედურებსა და წესებთან დაკავშირებით (იხ. „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისთვის“.)

(ბ) დისტანციური სწავლების დაგეგმვა და განხორციელება

დისტანციური სასწავლო პროცესი კიდევ უფრო მეტ ორგანიზებას, ხანგრძლივ დაგეგმვას და პროცესებზე რეფლექსიას მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოს საჯარო სკოლები დასწრებულ სასწავლო პროცესს უბრუნდებიან, მიზანშეწონილია სკოლის ადმინისტრაციამ თანმიმდევრულად დაყოს სავალდებულო ღონისძიებების განხორციელება იმისათვის, რათა მზად იყოს, თუკი საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით მოუწევს სწავლების დისტანციურ მოდელზე გადასვლა.

შესაბამისად, მიზანშეწონილია სკოლის ადმინისტრაციამ სასწავლო წლის დაწყებიდან მალევე დაიწყოს დისტანციურ სასწავლო მოდელზე გადასვლის გეგმის შემუშავება (მაგ., მას შემდეგ, რაც სკოლის წარმომადგენლები ალღოს აუღებენ დასწრებით სასწავლო პროცესის რეგულაციებს). აღნიშნული გეგმის შემადგენელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩართვის შესაძლებლობის და მასთან დაკავშირებული გამოწვევების ინდივიდუალურად განხილვა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა შემთხვევების ინდივიდუალურად განხილვის პროცესში აუცილებელია მშობლის, უკლებლივ ყველა მასწავლებელის, სპეცმასწავლებელის/ფსიქოლოგის და სკოლაში არსებული იმ მხარდამჭერი სპეციალისტების მონაწილეობა, რომლებიც რეგულარულ ვითარებაში აღნიშნული მოსწავლის სასწავლო პროცესში არიან ჩართულნი.

სწავლების დისტანციურ მოდელზე გადასვლის გეგმის განხილვას შესაძლებელია დაეთმოს რამდენიმე გუნდური შეხვედრა. მიზანშეწონილია ამ შეხვედრების გამართვა მასწავლებლების, მშობლებისა და ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტებისთვის ხელსაყრელ ფორმატში – პირისპირ შეხვედრების სახით (თუკი არსებული რეგულაციები აღნიშნულ ფორმატს არ ზღუდავს) ან დისტანციურად და იმ ფორმატის გამოყენებით, რომლებიც ყველა მხარისთვის ხელმისაწვდომია.

აღნიშნული შეხვედრების შედეგად ყველა მონაწილე მხარისთვის უნდა გახდეს ნათელი საკუთარი ფუნქცია/მოვალეობები და ის სტრატეგიები, რომლებიც უფრო ეფექტურს გახდის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მონაწილეობას დისტანციურ სასწავლო პროცესში.

შეხვედრების შედეგად დაზუსტდება:

- მოსწავლის სასწავლო განრიგი;
- სასწავლო მიზნები;
- სწავლის პროცესში საჭირო მხარდაჭერა, ჩართული სპეციალისტები და მათი ვალდებულებები;
- მშობლის როლი და მისი მხრიდან უზრუნველყოფილი მხარდაჭერის ფორმა;
- სასწავლო პროცესისთვის საჭირო და სახლის პირობებში ხელმისაწვდომი სასწავლო რესურსები;
- მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვის შესაძლებლობები (შესაძლებელია შეირჩეს სწავლების ერთი ან რამდენიმე ფორმა).

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის დისტანციურ სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანია მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლების მხრიდან მოხდეს რეფლექსია გასული სასწავლო წლის გამოცდილებაზე. ამისათვის გუნდი შესაძლებელია ხელმძღვანელობდეს კითხვარით – **მოსწავლის მზაობა დისტანციური სასწავლო პროცესისადმი** (იხ. დანართი N6) და საკუთარი გამოცდილების და მშობლის უკუკავშირის გათვალისწინებით თანმიმდევრულად აზუსტებდეს იმ საკვანძო საკითხებს, რომლებზე დაყრდნობითაც მოხდება მოსწავლისთვის რელევანტური დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზება. კითხვარის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებლობა შესაძლებელია აიღოს სპეცმასწავლებელმა ან ფსიქოლოგმა.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი ასახავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის დისტანციური სწავლების ფორმებს და საჭიროებებს

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის დისტანციური სწავლების შესაძლებლობები / ფორმები

- მოსწავლე დამოუკიდებლად (მხარდამჭერი უფროსის გარეშე) აქტიურად მონაწილეობს სინქრონულ სასწავლო პროცესში
- მოსწავლე სინქრონულ სასწავლო პროცესში აქტიური მონაწილეობისთვის საჭიროებს მხარდამჭერი უფროსის ყოფნას
- მოსწავლე სინქრონულ სასწავლო პროცესში მონაწილეობს მხოლოდ პასიურად (მიუხედავად უფროსის მხარდაჭერისა)
- მოსწავლე დამოუკიდებლად და აქტიურად (მხარდამჭერი უფროსის გარეშე) მონაწილეობს ერთი ერთზე სინქრონულ სასწავლო პროცესში, რომელსაც წარმართავს შესაბამისი საგნის მასწავლებელი
- მოსწავლე ერთი ერთზე სინქრონულ სასწავლო პროცესში აქტიური მონაწილეობისთვის საჭიროებს მხარდამჭერი უფროსის ყოფნას
- მოსწავლე აქტიურად მონაწილეობს ასინქრონულ სასწავლო პროცესში, რომელსაც პირისპირ კონტაქტით წარმართავს მხარდამჭერი უფროსი.

მოსწავლისთვის შესაძლებელია შეირჩეს სწავლის არა ერთი, არამედ რამდენიმე ფორმატი და ის იცვლებოდეს სხვადასხვა საგანთან მიმართებით. მაგ., შესაძლებელია მოსწავლე ერთ გაკვეთილს სინქრონულად თანაკლასელებთან ერთად ესწრებოდეს (მაგ., მუსიკას და ხატვას), ხოლო სხვა საგანს (მაგ., მათემატიკას) მასწავლებელთან ერთი ერთზე შეხვედრების საფუძველზე ეუფლებოდეს. ასევე არ არის გამორიცხული იგივე მოსწავლე ზოგიერთ საგნობრივ პროგრამას ასინქრონული სასწავლო მოდელით და მშობლის ინტენსიური მხარდაჭერით გადიოდეს.

მოსწავლისთვის დისტანციური სწავლების ფორმატის შერჩევა უნდა მოხდეს მისი შესაძლებლობების სიღრმისეული ანალიზის და სასწავლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. მოსწავლის დისტანციური სწავლების ფორმატი უნდა განიხილებოდეს ცალ-ცალკე ყოველ სასწავლო პროგრამასთან (საგანთან) მიმართებით.

დისტანციური სწავლის ფორმის შერჩევისას გადამწყვეტი იქნება:

- მოსწავლის შესაძლებლობები დისტანციურად ონლაინ პლატფორმის საშუალებით ინტერაქციის დამყარება მასწავლებლებსა და თანაკლასელებთან და რეაგირება მიცემულ ინსტრუქციებსა და მასალაზე;
- დამატებითი სპეციალისტის ან მხარდამჭერი ზრდასრულის დახმარების საჭიროება და გავლენა აღნიშნულ პროცესზე;
- სპეცმასწავლებელთან/ფსიქოლოგთან ერთი ერთზე მეცადინეობის გაგრძელების ან დამატების საჭიროება ამა თუ იმ უნარის გაძლიერების ან გაწაფვის მიზნით.

მიუხედავად იმისა, დისტანციური სწავლის რომელი ფორმატი შეირჩევა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის, პრიორიტეტად თანაკლასელებთან ერთან მოსწავლის ჯგუფურ სინქრონულ სასწავლო პროცესში ჩართულობა უნდა განისაზღვროს, ერთი ერთზე

და მშობელთან ასინქრონული მეცადინეობა კი განიხილებოდეს, როგორც დამატებითი, მაკომპენსირებელი მიდგომა და არა როგორც სწავლების ერთადერთი და წამყვანი ფორმა.

ამავდროულად, მოსწავლის სასწავლო განრიგის ორგანიზებისას მნიშვნელოვანია, მაკომპენსირებელმა სერვისებმა არ გამოიწვიოს მოსწავლის გარიყვა ჯგუფში მიმდინარე სასწავლო პროცესიდან, თუკი ერთი ერთზე ან ასინქრონული სასწავლო პროცესი ჯგუფურად მიმდინარე სასწავლო პროცესის პარალელურად დაიგეგმება.

მეტიც, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსწავლის შესაძლებლობის გათვალისწინებით მისი აქტიური ჩართვა დისტანციურ სინქრონულ სასწავლო პროცესში ვერ ხერხდება ან ხერხდება მხოლოდ მხარდამჭერი უფროსი მონაწილეობით (რაც ზოგჯერ ფერხდება მშობლის დაკავებულობის გამო), სასურველია მოსწავლე თუნდაც პასიურად ესწრებოდეს დისტანციურად მიმდინარე სასწავლო პროცესებს. ეს აუცილებელია მისი ფსიქო-ემოციური სტაბილურობისთვის, სოციალური კავშირების უწყვეტობისა და მიკუთვნებულობის განცდისთვის.

მშობლის როლი დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების და განხორციელების პროცესში

დისტანციური სასწავლო პროცესის მიწოდებისას გადამწყვეტია მშობლის მონაწილეობა. მოსწავლეთა აკადემიური პროგრესი მოცემულ მომენტში ისეა მშობელთა ჩართულობაზე დამოკიდებული, როგორც არასდროს. არსებულმა დისტანციურმა სასწავლო პროცესმა მშობლებს დააკისრა ახალი დამატებითი ვალდებულებები, რაც იმაზე მეტია, რასაც ისინი ასრულებდნენ პანდემიამდე შვილების სასწავლო პროცესის კოორდინირების თუ მონიტორინგის მიზნით.

ამავდროულად, დისტანციური სწავლების ეფექტური ორგანიზება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მშობლისა და მასწავლებელთა თანამშრომლობაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სკოლის წარმომადგენლებმა (ადმინისტრაციამ, დამრიგებლებმა, სპეცმასწავლებლებმა/ფსიქოლოგმა) გააცნობიერონ და შექმნან მზაობა იმისა, რომ მათ უფრო ინტენსიურად, სისტემატურად და მრავალფეროვანი საშუალებებით მოუწევთ კომუნიკაცია მშობლებთან.

ის, თუ რა ფორმით და რა ინტენსივობით იქნება მშობელი თავისი შვილის სასწავლო პროცესში ჩართული, დამოკიდებულია სწორედ მოსწავლის შესაძლებლობებზე, საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებსა და მშობლის მოცალეობაზეც კი. მშობლის ჩართულობის საკითხებში გასარკვევად გუნდს დაეხმარება კითხვარი – მოსწავლის მზაობა დისტანციური სასწავლო პროცესისადმი (იხ. დანართი N6)

აღნიშნული კითხვარის საფუძველზე დაზუსტდება შემდეგი:

- მშობლების უკუკავშირი გასულ სასწავლო წელზე, საკუთარ როლსა და ეფექტურობაზე
- ოჯახში ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები და რესურსები
- მშობლის კომპეტენციები ციფრული ტექნილოგიების გამოყენებაში
- მშობლის დატვირთვა და სასწავლო პროცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა (აქტუალური იმ შემთხვევაში, თუკი სასწავლო პროცესში მონაწილეობისთვის მოსწავლეს სჭირდება უშუალო მხარდამჭერი).

შესაძლოა საკმარისი იყოს მშობლის მხრიდან სასწავლო პროცესის კოორდინირება და მონიტორინგი, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მას სასწავლო პროცესში უშუალო მონაწილეობა და განხორციელებაც შეიძლება დასჭირდეს.

ნებისმიერ შემთხვევაში, მოსამზადებელ ეტაპზე საჭირო იქნება სკოლის ადმინისტრაციამ მშობლებს გააცნოს დისტანციურ სასწავლო პროცესზე გადასვლის რეგულაციები, შესთავაზოს და საჭიროების შემთხვევაში ჩაუტაროს ტრენინგი ციფრული ტექნოლოგიების და დისტანციური ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გამოყენებაში.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი ასახავს დისტანციურ სასწავლო პროცესში მშობლის ჩართულობის ფორმებს:

მშობლის როლი დისტანციური სასწავლო პროცესის განხორციელების პროცესში

- მშობელი მონიტორინგს უწევს მოსწავლის მონაწილეობას სინქრონულ და ასინქრონულ სასწავლო პროცესში
- მშობელი ესწრება ჯგუფში ან ერთი ერთზე მიმდინარე სინქრონულ სასწავლო პროცესს და მხარს უჭერს მოსწავლეს აღნიშნულ პროცესში
  - წარმართავს მის ყურადღებას სასწავლო პროცესისკენ
  - მასწავლებლის მინიშნებით სთავაზობს შესაბამის სასწავლო აქტივობას
  - ასისტირების შესაბამისი ფორმების დაცვით ეხმარება მუშაობაში
- მშობელი წარმართავს/უშუალოდ ახორციელებს მოსწავლის ასინქრონულ სასწავლო პროცესს მასწავლებლის ინსტრუქციებზე დაყრდნობით

მიუხედავად იმისა, რა ფორმით მოხდება მშობლის ჩართულობა დისტანციური სწავლების პროცესში, აუცილებელია მას ჰქონდეს ზუსტი წარმოდგენა და ცოდნა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- **რას მოელიან მისგან;**
- **რა მიზნებია მისი შვილისთვის დასახული;**
- **რა ტიპის დავალებებია შესასრულებელი;**
- **რა ინსტრუქციებია მისაცემი;**
- **რომელი მასალის გამოყენებაა რელევანტური;**
- **რა არის მოსწავლის სასურველი შესრულება**

შენიშვნა: *სასურველ შესრულებაში იგულისხმება მოსწავლის ქცევა, რომელიც მან უნდა გამოავლინოს მიწოდებული მასალიდან და ინსტრუქციიდან გამომდინარე ან პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნას მიწოდებული ასევე მასალიდან და ინსტრუქციიდან გამომდინარე.*

აუცილებელია მშობელი აქტიურად იყოს ჩართული სასწავლო მიზნების შეთანხმების (გადაფასების, რევიზიის) პროცესში; გადამწყვეტია, რომ მშობელი ხედავდეს კავშირს მოსწავლისთვის შეთავაზებულ აქტივობებსა და განსაზღვრულ სასწავლო მიზანს შორის; არარეკომენდებულია, რომ მშობელი ამის გააზრების გარეშე, მხოლოდ მექანიკურად რთავდეს შვილს მასწავლებლის მიერ განსაზღვრულ აქტივობებში. აღნიშნული კიდევ უფრო აქტუალურია იმ შემთხვევაში, თუკი მშობელს შვილის სასწავლო პროცესის უშუალოდ განხორციელება უწევს.

ეფექტურია, თუკი მასწავლებელი წინასწარ განსაზღვრავს აქტუალური მიზნის შესაბამის მრავალფეროვან აქტივობებს (მაგ., ჩამოწერს იმ აქტივობებს, რომელთა შეთავაზებაც რეკომენდებული იქნება მოსწავლისთვის მიმდინარე ერთი კვირის განმავლობაში), გაუზიარებს მათ მშობელს და დისტანციური შეხვედრის ფორმატში დეტალურად განიხილავდეს თითოეულ აქტივობას, მათ

მნიშვნელობას, კავშირს სასწავლო მიზანთან, საჭირო მასალას, ინსტრუქციას, სასურველ/ მოსალოდნელ შესრულებას, დახმარების და აქტივობის მოდიფიცირების შესაძლებლობებს და ა.შ.

ამავდროულად, აუცილებელია მასწავლებელმა მიიღოს დეტალური ინფორმაცია მოსწავლის მხრიდან აქტივობების ფაქტობრივ შესრულებაზე, რადგან მხოლოდ აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეძლებს განსაზღვროს მოსწავლის მიღწევის აქტუალური დონე და შემდგომი სასწავლო აქტივობები.

შესაბამისად, შვილისთვის აქტივობების წარდგენის შემდეგ მშობელი ყურადღებით უნდა აკვირდებოდეს მოსწავლის შესრულებას და მასწავლებელს უზიარებდეს პროცესის მიმდინარეობას და მიღებულ შედეგს. ამისათვის მშობელი შესაძლებელია ახორციელებდეს წერილობით ან აუდიო- თუ ვიდეოჩანაწერებს და განიხილავდეს მათ მასწავლებელთან, სპეცმასწავლებელთან თუ ფსიქოლოგთან ერთად.

ამავდროულად, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა შეიქმნას ზუსტი წარმოდგენა, თუ როგორია მშობელი – მოსწავლის ინტერაქცია. შესაბამისად, მიზანშეწონილია, მასწავლებელი თვალს ადევნებდეს მშობლის მიერ განხორციელებულ სასწავლო პროცესს და აძლევდეს უკუკავშირს როგორც მოსწავლეს, ისე მშობელს (მშობლისთვის უკუკავშირის მიცემა რეკომენდებულია მოხდეს დისტანციური გაკვეთილის შემდეგ).



მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში მშობლის მონაწილეობის ინტენსივობის და მისი პასუხისმგებლობის საზღვრების ზუსტი განსაზღვრა. დაუშვებელია, მასწავლებლების მიერ მოხდეს სწავლის პროცესზე პასუხისმგებლობის სრულად მშობლისთვის დაკისრება და ამ გზით საკუთარი ვალდებულების და ჩართულობის შემცირება. მასწავლებლების მიერ უნდა მოხდეს მშობლის აღქმა სასწავლო პროცესის მხარდამჭერად და არა ძირითად წარმმართველად.

ასევე აუცილებელია მშობელთა დაკავებულობის ანალიზი – აქვთ თუ არა მათ დრო და რესურსი იმისათვის, რომ საჭირო ინტენსივობით და სისტემატურობით შეძლონ სასწავლო პროცესში მოსწავლის მონაწილეობა. მნიშვნელოვანია მოხდეს აღნიშნულის ობიექტური და მიუკერძოებელი შეფასება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი მშობლის ოპტიმალური ჩართულობა ობიექტური მიზეზების გამო (მშობლის სამუშაო განრიგის შეუთავსებლობა სასკოლო განრიგთან) არ მოხერხდა, არ უნდა მოხდეს მისი დადანაშაულება, არამედ მოხდეს სასწავლო პროცესის ორგანიზების და განხორციელების სხვა შესაძლებლობების და ფორმების განხილვა.

სპეცმასწავლებლის/ფსიქოლოგის როლი დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების და განხორციელებისას

ფრთხილად უნდა განისაზღვროს სპეცმასწავლებლის/ფსიქოლოგის როლი დისტანციური სასწავლო პროცესის დაგეგმვა განხორციელების პროცესში. რეგულარული სასწავლო პროცესის მსგავსად, სპეცმასწავლებელთა/ფსიქოლოგთა როლი და ვალდებულებები შეიძლება იცვლებოდეს და განსხვავებულად ზუსტდებოდეს სხვადასხვა მოსწავლესთან მიმართებით. ბუნებრივია, აღნიშნულს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თავად მოსწავლის საჭიროებები.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი ასახავს სპეცმასწავლებლის/ფსიქოლოგის ჩართულობის ფორმებს:

სპეცმასწავლებლის/ფსიქოლოგის ჩართულობის ფორმები

- მასწავლებლის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მხარდაჭერა სასწავლო პროცესის ჯგუფში განხორციელებისას
- ერთი ერთზე მეცადინეობები მოსწავლესთან მასწავლებლის მიერ განსაზღვრულ მიზნებსა და აქტივობებზე
- ერთი ერთზე მეცადინეობები მოსწავლესთან კოგნიტურ და ფუნქციურ მიზნებზე
- მასწავლებლის მხარდაჭერა მოსწავლისთვის სასწავლო მიზნების, აქტივობების, ელექტრონული სასწავლო რესურსის შერჩევის და ინსტრუქციების ფორმულირების პროცესში;
- მასწავლებელთან ერთად ან დამოუკიდებლად რეკომენდაციების და ინსტრუქციების მიცემა მშობლისთვის სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელების საკითხებზე
- მოსწავლისა და მისი მშობლის დაკვირვება ასინქრონული სასწავლო პროცესზე (შესაძლებელია განხორციელდეს ცოცხალ (live) რეჟიმში ან ჩანაწერის ანალიზის საფუძველზე); უკუკავშირის უზრუნველყოფა მშობლისთვის

იმ შემთხვევაში, თუკი სკოლაში სპეცმასწავლებელთან ერთად დასაქმებულია ფსიქოლოგი, შესაძლებელია, აღნიშნული საქმიანოებები გადანაწილდეს მასა და ფსიქოლოგს შორის მათი სპეციფიკური კომპეტენციების გათვალისწინებით. თუ სკოლას მხოლოდ ფსიქოლოგი ჰყავს, მაშინ მას მოუწევს აქტიური მონაწილეობა მოცემული საქმიანობების განხორციელებისას. საჭიროების შემთხვევაში (მაგ., მოსწავლე საჭიროებს ერთი-ერთზე მეცადინებობას აკადემიური უნარების განვითარებისთვის, საგნის მასწავლებლის მხარდაჭერას საგნობრივი პროგრამების ადაპტაციისას, მშობელი საჭიროებს აქტივობების კრებულს საგნობრივი პროგრამისთვის სახლში ბავშვის საგნობრივ მიზნებზე სამუშაოდ, რაც შესაძლებელია სცილდებოდეს ფსიქოლოგის კომპეტენციას) სკოლის ადმინისტრაციამ დასაბუთებული არგუმენტის საფუძველზე უნდა განიხილოს საკითხი სპეცმასწავლებლის დამატებასთან დაკავშირებით.

დისტანციური სასწავლო მოდელის პირობებში მნიშვნელოვანია, სპეცმასწავლებელს/ფსიქოლოგს ნათელი და შეძლებისდაგვარად ფიქსირებული სამუშაო განრიგი და ცხრილი ჰქონდეს შემუშავებული, რომელიც სრულად ასახავს მის მონაწილეობას იმ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სასწავლო პროცესში, რომელთანაც ის არის ასოცირებული. ამავდროულად, სასურველია აღნიშნული განრიგი ნათლად წარმოაჩენდეს დროს:

- როდის და ვისთან არის სპეცმასწავლებელი/ფსიქოლოგი ჩართული სინქრონულ სასწავლო პროცესში;
- როდის და ვისთან მუშაობას ასინქრონულად;
- როდის არის ჩართული მშობლის, მასწავლებლის კონსულტირების პროცესში;
- როდის გეგმავს სასწავლო პროცესს.

რეკომენდაციები სპეცმასწავლებლის/ფსიქოლოგის სამუშაო დატვირთვის განსაზღვრისთვის სრული დისტანციური სწავლებისას

სპეცმასწავლებლის/ფსიქოლოგის დღის განრიგის ნიმუში

დრო	მოსწავლე	გაკვეთილი	სწავლების ფორმა
9:00 – 9:30	ა.ბ.	ქართული	სინქრონული, ჯგუფში, სპეცმასწავლებელი/ფსიქოლოგი აკვირდება / მხარდაჭერას უწევს
9:30 – 10:00	გ.დ.	ქართული	სინქრონული, ჯგუფში, სპეცმასწავლებელი/ფსიქოლოგი აკვირდება / მხარდაჭერას უწევს
10:00 – 10:30	ე.ვ.	ბიოლოგია	სინქრონული, ჯგუფში, სპეცმასწავლებელი/ფსიქოლოგი აკვირდება / მხარდაჭერას უწევს
11:00 – 11:30	ზ.თ.	მათემატიკა	სინქრონული, ჯგუფში, სპეცმასწავლებელი/ფსიქოლოგი აკვირდება / მხარდაჭერას უწევს
11:30 – 12:00	ი.კ.	ბუნება	სინქრონული, ჯგუფში, სპეცმასწავლებელი/ფსიქოლოგი აკვირდება / მხარდაჭერას უწევს
12:00 – 13:00 შესვენება			
13:00 – 13:30	ა.ბ.	სპეცმასწავლებლის/ფსიქოლოგის ერთი ერთზე მუშაობა მოსწავლესთან	
13:30 – 14:00	გ.დ	სპეცმასწავლებლის/ფსიქოლოგის ერთი ერთზე მუშაობა მოსწავლესთან	
14:00 – 14:30	ე.ვ.	ქართული	საგნის მასწავლებლის ერთი ერთზე მუშაობა მოსწავლესთან, სპეცმასწავლებელი/ფსიქოლოგი აკვირდება
14:30 – 15:00	ზ.თ	ქართული	საგნის მასწავლებლის ერთი ერთზე მუშაობა მოსწავლესთან, სპეცმასწავლებელი/ფსიქოლოგი აკვირდება
15:00 – 15:30	ი.კ	მშობლის ერთი ერთზე მუშაობა მოსწავლესთან, სპეცმასწავლებელი/ ფსიქოლოგი აკვირდება	
15:30 - 16:00			
16:00 – 18:00	სასწავლო პროცესის დაგეგმვა და ინდივიდუალური კონსულტაციები მშობლებთან და მასწავლებლებთან.		

წარმოდგენილი ცხრილი ასახავს სპეცმასწავლებლის/ფსიქოლოგის ერთი დღის სამუშაოს განაწილებას, რომელიც შემუშავებულია მისი საშუალო სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით (როდესაც ერთ სპეცმასწავლებელს/ფსიქოლოგს კოლეგის გარეშე ხუთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესის კოორდინირება უწევს).

იმ შემთხვევაში, თუკი ერთი სპეცმასწავლებლის/ფსიქოლოგის რესურსი არასაკმარისი აღმოჩნდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სასწავლო პროცესის საფუძვლიანი კოორდინირებისთვის, მიზანშეწონილია, მან დასაბუთებული არგუმენტი წარუდგინოს სკოლის ადმინისტრაციას დამატებითი სპეცმასწავლებლის/ფსიქოლოგის ან სხვა სპეციალისტის საჭიროების შესახებ და სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად იმსჯელოს კადრის დამატებაზე.

- სპეცმასწავლებელის/ფსიქოლოგის საქმიანობა ძირითადად შემდეგი ტიპის აქტივობებს გულისხმობს:
- ჯგუფში მიმდინარე სასწავლო პროცესზე დაკვირვება, მასწავლებლის მხარდაჭერა სინქრონული სწავლებისას
- ერთი ერთზე მუშაობა მოსწავლესთან
- საგნის მასწავლებლის/მშობლის ერთი ერთზე მუშაობის მხარდაჭერა მოსწავლესთან
- მშობლის ან მასწავლებლის კონსულტირება
- სასწავლო პროცესის დაგეგმვა

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

- **მოსწავლეთა ჯგუფში მიმდინარე სასწავლო პროცესზე დაკვირვება/მასწავლებლის მხარდაჭერა** – სპეცმასწავლებელი/ფსიქოლოგი ესწრება დისტანციურ სინქრონულ სასწავლო პროცესს, როდესაც მასწავლებელი გაკვეთილს ატარებს ჯგუფში.

  იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული გაკვეთილები დღის პირველ ნახევარში ტარდება, სპეცმასწავლებელი/ფსიქოლოგი აღნიშნულ დროს ავსებს და თავის ცხრილს ისე ანაწილებს, რომ კვირის განმავლობაში შეეძლოს ყველა სსსმ მოსწავლის ყველა გაკვეთილზე მინიმუმ ერთხელ დასწრება.

  ამ გზით მასწავლებელი/ფსიქოლოგი იქმნის წარმოდგენას, თუ რომელ საგანში საჭიროებს მოსწავლე გაძლიერებას და სად შეუძლია მას მისი მხარდაჭერა.

  ამისათვის სპეცმასწავლებელს/ფსიქოლოგს უნდა ჰქონდეს მოსწავლეთა საგაკვეთილო ცხრილი და აღნიშნულის საფუძველზე შექმნას საგაკვეთილო პროცესზე დასწრების და დაკვირვების საკუთარი განრიგი.

  მოსწავლეთა სასწავლო პროცესზე დაკვირვება სპეცმასწავლებელს/ფსიქოლოგს განსაკუთრებით ინტენსიურად მოუწევს სასწავლო წლის დასაწყისში, თუმცა მას შემდეგ, რაც ყოველი მოსწავლის სასწავლო პროცესს დააკვირდება ყველა გაკვეთილზე, მას შეეძლება განრიგის ცვლილება – მხოლოდ იმ მოსწავლეთა და იმ გაკვეთილებზე გააგრძელებს დასწრებას, სადაც ამის საჭიროება გამოვლინდება.

- **ერთი ერთზე მუშაობა – სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ მიზანზე ან მიზანზე საგნობრივი პროგრამიდან**

  ამისთვის სპეცმასწავლებელი/ფსიქოლოგი განსაზღვრავს ინდივიდუალურ დროს კონკრეტული მოსწავლისთვის. მნიშვნელოვანია, მოსწავლისთვის ერთი ერთზე სამუშაოდ განსაზღვრული დროის დამთხვევა არ მოხდეს ჯგუფში სინქრონულად მიმდინარე სასწავლო პროცესთან.

  შესაბამისად, მიზანშეწონილია, სპეც.მასწავლებელმა/ფსიქოლოგმა ერთი ერთზე მას შემდეგ იმუშაოს, რაც მოსწავლისთვის სინქრონული სასწავლო პროცესი დასრულდება.

  აღნიშნულ დატვირთვას ჩვენ ვერ განვიხილავთ, როგორც დამატებით დატვირთვას მხოლოდ სსსმ მოსწავლისთვის, რადგან სპეცმასწავლებელთან/ფსიქოლოგთან აღნიშნული ტიპის შეხვედრები განიხილება სხვა მოსწავლეთა დამოუკიდებელი, საშინაო დავალებებზე მუშაობის ანალოგად, რომელიც ასევე იგეგმება დღის მეორე ნახევარში.

  ერთი ერთზე სპეცმასწავლებელი/ფსიქოლოგი თითოეულ მოსწავლესთან მუშაობს დღეში ერთხელ 30 წუთის განმავლობაში.

  იმ იშვიათ შემთხვევაში, თუკი კონკრეტული სსმ მოსწავლისთვის არარელევანტურია ჯგუფში სინქრონულად მიმდინარე სასწავლო პროცესზე დასწრება და დღის პირველი ნახევარი სპეცმასწავლებელს/ფსიქოლოგს არა აქვს შევსებული სრულად, მას შეუძლია აღნიშნულ მოსწავლეს შეხვდეს სინქრონულად მიმდინარე სასწავლო პროცესის პარალელურად, რომელიც მის კლასთან ხორციელდება.

ერთი ერთზე მშობელთან ან მასწავლებელთან მიმდინარე სასწავლო პროცესზე დაკვირვება; მასწავლებლის, მშობლის მხარდაჭერა

აღნიშნული ტიპის მეცადინეობები ასევე მიმდინარეობს დღის მეორე ნახევარში, – იმის გამო, რომ საგნის მასწავლებლის ან მშობლის მიერ წარმართული ინდივიდუალური მეცადინეობა არ დაემთხვეს ჯგუფში სინქრონულად მიმდინარე სასწავლო პროცესს. შესაბამისად, აღნიშნული ტიპის მეცადინეობები განხორციელდება მას შემდეგ, რაც მოსწავლისთვის სინქრონული სასწავლო პროცესი დასრულდება.

ანალოგიურად, აღნიშნულ დატვირთვას ვერ განვიხილავთ, როგორც დამატებით დატვირთვას მხოლოდ სსსმ მოსწავლისთვის; ეს არის სხვა მოსწავლეთა დამოუკიდებელ, საშინაო დავალებებზე მუშაობის ანალოგი, რომელიც ასევე დღის მეორე ნახევარში ხორციელდება. მით უფრო ვერ შეფასდება ეს ჭარბ დატვირთვად, თუკი ამ ტიპის მეცადინეობები დაგეგმილია იმ მოსწავლისთვის, რომელიც ვერ ერთვება ჯგუფში სინქრონულად მიმდინარე სასწავლო პროცესს,

სხვადასხვა დღეს სსსმ მოსწავლე შესაძლებელია ხვდებოდეს სხვადასხვა საგნის მასწავლებელს. დაწყებითი საფეხურის შემთხვევაში, შესაძლებელია მასწავლებელი იყოს ერთი, თუმცა იცვლებოდეს საგნობრივი პროგრამები და სამუშაო მიზნები.

იმ იშვიათ შემთხვევაში, თუკი კონკრეტული სსსმ მოსწავლისთვის არარელევანტურია ჯგუფში სინქრონულად მიმდინარე სასწავლო პროცესზე დასწრება და როგორც სპეციმასწავლებელს, ისე საგნის მასწავლებელს ან მშობელს თავისუფალი აქვთ დღის შესაბამისი მონაკვეთი, აღნიშნული ტიპის მეცადინეობა შესაძლებელია დაიგეგმოს დღის პირველ ნახევარში, მისი კლასის სინქრონულად მიმდინარე სასწავლო პროცესის პარალელურად.

ინდივიდუალური კონსულტაციები მშობლებთან და საგნის მასწავლებლებთან

მიზანშეწონილია, სპეციმასწავლებელს/ფსიქოლოგს ჰქონდეს კვირაში მინიმუმ ერთხელ ინდივიდუალური კონსულტაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობელთან და იმ მასწავლებლებთან, რომლებიც ამ მოსწავლეს ასწავლიან. ინდივიდუალური კონსულტაციების დროს სპეციმასწავლებელი/ფსიქოლოგი მშობელთან ან მასწავლებელთან ერთად რეფლექსიას განახორციელებს მიმდინარე კვირაზე (პერიოდზე უკანასკნელი შეხვედრიდან) და განმარტავს მომავალი კვირის (ან შეხვედრამდე პერიოდის) სამუშაო მიზნებს, ამავდროულად, თუკი მშობელი თავად მუშაობს მოსწავლესთან, გააცნობს შესასრულებელ აქტივობებს, მათ მიზანს და შესრულებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

შესაბამისად, სპეციმასწავლებელმა/ფსიქოლოგმა აღნიშნული საქმიანობისთვის შესაძლებელია დღის ბოლო განსაზღვროს.

დღეში შესაძლებელია კონსულტაცია მინიმუმ ორი მშობელსა და ორ მასწავლებელთან.

სასწავლო პროცესის დაგეგმვა

აღნიშნული წარმოადგენს სპეციმასწავლებლის/ფსიქოლოგის საქმიანობის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. შესაბამისად, მიზანშეწონილია მან კონკრეტული დრო გამოყოს ამისთვის. (შესაძლებელია,კვირაში თითო დღე დაუთმოს თითო მოსწავლის სასწავლო პროცესზე რეფ-

ლექსიას, მისი მომდევნო სასწავლო ეტაპის დაგეგმვას, ამავე მოსწავლის მასწავლებლებთან და მშობლებთან გასაუბრებას). კონკრეტული მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, სპეცმასწავლებელი/ფსიქოლოგი განსაზღვრავს, რომელი საგნის მასწავლებელთანაა შეხვედრა პრიორიტეტული. ამას ის გადაწყვეტს მასწავლებლის მიერ სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან წარმართულ ინდივიდუალურ და/ან ჯგუფურ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად.

დაგეგმვის პროცესში სპეცმასწავლებელი/ფსიქოლოგი განსაზღვრავს:

- მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებს, აქტივობებს, მასალას, რომლის საფუძველზეც თავად უნდა იმუშაოს მოსწავლესთან

- მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებს, აქტივობებს, მასალას, რომელიც შესაძლებელია შესთავაზოს საგნის მასწავლებელს მოსწავლესთან სამუშაოდ;-

- რეკომენდაციებს მასწავლებლისთვის, როგორ წარმართოს სწავლის პროცესი, მოსწავლის ჩართულობა და ქცევა.

- აღნიშნული საკითხები სპეცმასწავლებელმა/ფსიქოლოგმა შესაძლებელია დაამუშაოს არა დამოუკიდებლად, არამედ იმთავითვე საგნის მასწავლებელთან ერთად.

- მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო მიზნებს, აქტივობებს, მასალას, რომელიც შესაძლებელია შესთავაზოს მშობელს შვილთან სამუშაოდ; რეკომენდაციებს მშობლისთვის, როგორ წარმართოს მოსწავლის სწავლის პროცესი, ჩართულობა და ქცევა; რეფლექსიას მოსწავლის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე და ა.შ.

რასაკვირველია, აუცილებელია, სპეცმასწავლებელმა/ფსიქოლოგმა შემუშავებული გეგმა და რეკომენდაციები წერილობით და დეტალურად ასახოს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში და გახადოს ის მისაწვდომი შესაბამისი მხარისთვის – მასწავლებლის და/ან მშობლისთვის.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია, რომ სპეცმასწავლებელი/ფსიქოლოგი თავისი ყველა მოსწავლისთვის ქმნიდეს ინდივიდუალურ ცხრილს, სადაც მონიშნავს აღნიშნულ მოსწავლესთან დაკავშირებულ აქტივობებს.

მოცემულ შემთხვევაში:

- ჯგუფში მოსწავლზე დაკვირვება, მასწავლებლის მხარდაჭერა სინქრონული სწავლებისას
- ერთი ერთზე მუშაობა მოსწავლესთან
- საგნის (ქართულის) მასწავლებლის მოსწავლესთან ერთი ერთზე მუშაობის მხარდაჭერა
- მშობლის კონსულტირება

მოსწავლის კვირის განრიგი

მოსწავლე: ა.ბ.

დრო	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
09:00 – 09:30	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	მათემატიკა
09:30 – 10:00	მათემატიკა	უცხო ენა	მათემატიკა	უცხო ენა	ქართული
10:00 – 10:30	ბიოლოგია	მათემატიკა	ბიოლოგია	გეოგრაფია	ბიოლოგია
11:00 – 11:30	ხელოვნება	ისტორია	ხელოვნება	ისტორია	უცხო ენა
11:30 – 12:00	უცხო ენა	გეოგრაფია	უცხო ენა		სამოქალაქო განათლება
შესვენება					
12:00 – 13:00	ერთი ერთზე მუშაობა სპეცმასწავლებელთან/ფსიქოლოგთან	ერთი ერთზე მუშაობა სპეცმასწავლებელთან/ფსიქოლოგთან		ერთი ერთზე მუშაობა საგნის (ქართულის) მასწავლებელთან /	
17:00 – 17:30			სპეცმასწავლებლის/ფსიქოლოგის და მასწავლებლის ინდივიდუალური კონსულტაცია მშობელთან		

დამატებითი მომსახურებების მიწოდების საჭიროება

დისტანციურ სასწავლო მოდელზე გადასვლამდე ან მას შემდეგ შესაძლებელია საჭიროდ განისაზღვროს მშობლის კონსულტირება მოსწავლის ფსიქო-ემოციური მხარდაჭერის და/ან ქცევის რეგულირების საკითხებში, რომელიც შესაძლებელია გამწვავდეს ფიზიკური დისტანციის პირობებში. შესაძლებელია, საჭირო გახდეს თავად მოსწავლესთან მუშაობაც.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოსწავლესთან ასოცირებულმა სპეცმასწავლებელმა/ფსიქოლოგმა დისტანციური სწავლების მოდელზე გადასვლამდე მოსწავლესა და მშობელთან ინტერაქციის შედეგად დაადგინოს მოსწავლის ფსიქო-ემოციური საჭიროებები და უზრუნველყოს რჩევების მიწოდება სათანადო რეკომენადაციებისა თუ ქცევის რეგულირების შესახებ როგორც ფიზიკური იზოლაციის პირობებში, ასევე მისი დასრულების შემდეგ. ამავდროულად, მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე რეფლექსია უწყვეტად უნდა გაგრძელდეს დისტანციური სწავლების პროცესში.

შესაბამისად, სპეცმასწავლებელი/ფსიქოლოგი ყურადღებით უნდა აკვირდებოდეს მოსწავლეს დისტანციური შეხვედრებისას, დაამყაროს კომუნიკაცია მასთან და მის მშობელთან, იმისათვის რომ დროულად მოხდეს მხარდაჭერის საჭიროების იდენტიფიცირება.

საჭიროების შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ როგორც მოსწავლემ, ისე მშობელმა მიიღონ შესაბამისი მხარდაჭერა, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს სკოლის შიდა რესურსით ან შესაბამისი სპეციალისტების მოწვევით (იმ შემთხვევაში, თუკი სკოლის შიდა კადრს შესაბამისი კვალიფიკაცია არ გააჩნია).

ამისათვის მიზანშეწონილია, განათლების სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის წევრებს შორის იდენტიფიცირებული ჰყავდეს ის სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ კომპეტენცია, სიღრმისეულად შეაფასონ მოსწავლის ფსიქო-ემოციური და ქცევის რეგულირების საკითხები და შესაბამისი კონსულტაცია გაუწიონ მას და მის მშობლებს. სპეცმასწავლებელი უნდა ფლობდეს ინფორმაციას აღნიშნული კადრის შესახებ და უნდა შეეძლოს მიმართვის განხორციელება შესაბამისი მხარდაჭერის მისაღებად (თუნდაც აღნიშნული გუნდის წევრი არ მოქმედებდეს აღნიშნულ ტერიტორიაზე). შესაძლებელია ასევე, მოსწავლემ და მშობელმა შესაბამისი მხარდაჭერა იმ სოციალური სერვისებიდან მიიღონ, რომელშიც მოსწავლეა ჩართული.

დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების ინსტრუმენტი

დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის სასარგებლო ინსტრუმენტს წარმოადგენს დისტანციური ინტერაქციული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დოკუმენტი, რომელზე წვდომაც უნდა ჰქონდეს სკოლის ადმინისტრაციას, მასწავლებლებს, სპეცმასწავლებელს/ფსიქოლოგს და ასევე მშობელს.

აღნიშნულ დოკუმენტში თვალსაჩინოდ და ყველასთვის საზიაროდ უნდა იყოს ასახული მოსწავლისთვის განსაზღვრული სასწავლო მიზნები ყველა საგანში.

საზიარო დოკუმენტის საშუალებით მასწავლებლებს და სპეცმასწავლებლებს/ფსიქოლოგებს ექნებათ შესაძლებლობა, თვალი ადევნინ მოსწავლის სასწავლო პროცესს, მიზნებს და პროგრესსაც კი. ამავდროულად, აუცილებელია, ინდივიდუალური გეგმის ყოველი განახლების შესახებ მშობლის ინფორმირება.ელექტრონული ინდივიდუალური სასწავლო დოკუმენტი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება იმ შემთხვევაში, თუკი მშობელს უწევს მოსწავლის სასწავლო პროცესის უშუალოდ

განხორციელება. ამისათვის ის თვალსაჩინოდ უნდა ხედავდეს იმ აქტივობებს, ინსტრუქციებს და სასწავლო მასალას, რომლის მიწოდებაც მიუწევს შვილისთვის. აღნიშნული დოკუმენტი თვალსაჩინოდ უნდა ასახავდეს კავშირს სასწავლო აქტივობებსა და მიზნებს შორის. ამავე დოკუმენტის საშუალებით შესაძლებელია მშობელი იღებდეს წერილობით ინსტრუქციებს, თუ როგორ იმუშაოს შვილთან. დოკუმენტი ასევე უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, მშობელმა დატოვოს კომენტარი კონკრეტულ მიზანსა და აქტივობასთან დაკავშირებით, აღწეროს მოსწავლის ნამუშევარი, მიაბას დოკუმენტს მოსწავლის მიერ განხორციელებული პროდუქტი / შესრულებული დავალება.

მზადება დისტანციურ სასწავლო მოდელზე გადასასვლელად

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი ასახავს მოსამზადებელ ეტაპს და აქტივობების დროში განაწილებას, რომლებიც სკოლამ უნდა განახორციელოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა სწავლების დისტანციურ მოდელზე გადასაყვანად.

რეკომენდებულია, რომ მოსამზადებელი ეტაპი მიეძღვნას შემდეგ საკითხებს:

აქტივობა
დისტანციურ სასწავლო მოდელზე გადასვლის რეგულაციების გაცნობა მშობლისთვის
მშობლების უკუკავშირის გაზიარება: მოსწავლის პროგრესი მოსწავლის დამატებითი საჭიროებები დისტანციურ სწავლებისას ოჯახში ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები და რესურსები მშობლის დატვირთვა; კომპეტენციები ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაში.
მშობლების ტრენინგი ციფრული ტექნოლოგიები დისტანციური ინტერაქციული ისგ
- მოსწავლეების საჭიროებების დადგენა - სწავლების ფორმატის განსაზღვრა - სასწავლო განრიგის შემუშავება - სასწავლო გეგმის შემუშავება, განხილვა
დისტანციურ სასწავლო მოდელზე გადასვლის რეგულაციების გაცნობა მოსწავლისთვის
მოსწავლის გატრენინგება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაში

ამავდროულად, მოსამზადებელი ეტაპი არ უნდა იქნეს განხილული, როგორც ერთჯერადი პროცესი, რომელიც გვაქვს დისტანციური სასწავლო პროცესის საწყის ეტაპზე. ის ინარჩუნებს აქტუალობას დისტანციური სასწავლო პერიოდის განმავლობაში. ამ შემთხვევაში ის განიხილება, როგორც ყოველი მომდევნო თვის (ან ორი თვის) მოსამზადებელი ეტაპი, რა დროსაც ხორციელდება რეფლექსია მიმდინარე პროცესებზე და ხდება გადაწყვეტილების მიღება პროცესის ცვლილებაზე/ადაპტირებაზე ან უცვლელად გაგრძელებაზე.

ამ დროს, მნიშვნელოვანია, სპეცმასწავლებელი/ფსიქოლოგი და მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართული მასწავლებლები ისევ უკავშირდებოდნენ მშობელს და განიხილავდნენ აქტუალურ საკითებს:

მოსწავლის პროგრესი

- დამატებით საჭიროებები – მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, ქცევის რეგულირება, მხარდაჭერის საჭიროება
- ოჯახში ხელმისაწვდომი რესურსები
- მშობლის დატვირთვა
- ასწავლო განრიგის ცვლილების საჭიროება
- სასწავლო მიზნების ცვლილება
- დაგროვებილი შეკითხვები და ა.შ.

დანართები

დანართი 1.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დასუფთავების პროტოკოლი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) ეპიდაფეთქების პერიოდში მუშაობისთვის

ნორმატიული ბაზა:

პასუხისმგებელი პირები:

დასუფთავება:

- რომელი სათავსები (ოთახები) რა ინტენსივობით სუფთავდება
- რომელი სათავსების დასუფთავებისთვის რომელი მეთოდი გამოიყენება (სველი წესით დასუფთავება, მტვრის აღება...)
- რომელ სათავსებში რომელი ზედაპირები სუფთავდება
- რომელ სათავსებში რომელი საწმენდი/სარეცხი საშუალებები გამოიყენება
- როგორ ხდება ნარჩენების მართვა (მოთხოვნები კონტეინერებთან დაკავშირებით)

დალაგებისთვის განკუთვნილი ინვენტარი და საშუალებები:

- იატაკის საწმენდი ჯოხი – სველი დამუშავებისათვის;
- ორგანყოფილებიანი სათლი: სუფთა წყალი/სარეცხი საშუალებიანი სითხე;
- აქანდაზი და ცოცხი;
- ხელთათმანი და სათადარიგო ხელთათმანი;
- მუშამბის წინსაფარი სანიტარიულ კვანძში ოპერირებისათვის;
- ტილოები მ.შ. იატაკის, შუშისა და ავეჯისთვის;
- ტილო საპირფარეშოების დასასუფთავებლად;
- საწმენდი ღრუბელი, ჯაგრისი, სახეხი (რბილი მეტალის სპირალი);
- ჰაერის დეზოდორი;
- ხის ავეჯის დასამუშავებელი (საჭიროების შემთხვევაში);
- ტყავის ზედაპირების დასამუშავებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ტილოების გასარეცხად განკუთვნილი სარეცხი ფხვნილი;
- ზედაპირების სახეხი ფხვნილი ან კრემი;
- სითხე იატაკის წმენდისა და გაპრიალებისათვის, მოპირკეთების ტიპის (ხე, მეტლახი, ლინოლეუმი და სხვ.);
- უნიტაზის დასამუშავებელი სითხე;
- შუშის საწმენდი;
- ნიკელის, თითბრის და ლითონის სხვა ზედაპირების დასამუშავებელი საშუალება;
- ტრაპების და კოლექტორების დასამუშავებელი საშუალება;
- დიდი და პატარა ნაგვის პარკები;
- სადეზინფექციო ხსნარი დასალაგებელი ინვენტარის დასამუშავებლად (დასუფთავების პროცესის დამთავრების შემდეგ).

დამლაგებლის ეკიპირება (ინდივიდუალური დაცვის საშუალებები):

- პირბადე
- სახის ფარი
- ერთჯერადი ხალათი
- ხელთათმანი
- დახურული ფეხსაცმელი

დალაგებისთვის მომზადება:

- ეკიპირების ეტაპები და თანმიმდევრობა:
- ხელების დეზინფექცია
- ერთჯერადი სითხეგაუმტარი ხალათის ჩაცმა უკან შესაკრავით
- ნიღაბის და სახის ფარის გაკეთება
- ხელთათმანების ჩაცმა ისე, რომ ხალათის მანჟეტები დაიფაროს
- დალაგების დასრულების შემდეგ:
- ხელთათმანის გახდა გადმოტრიალების პრინციპით
- ხალათის გახდა
- ნიღბის და სახის ფარის მოხსნა
- ხელების განმეორებითი დეზინფექცია.

დანართი 2. საჩვენებელი სამოქმედო გეგმა

აქტივობა	სემესტრი														პასუხისმგებელი პირი
	კვირა														
ახალი რეგულაციების გაცნობა სასკოლო თემისთვის															**სახელი, გვარი**
საკომპენსაციო საჭიროებების დადგენა მოსწავლეებში															**სახელი, გვარი**
საკომპენსაციო გეგმის შემუშავება, განხილვა და სსგ-ის ცვლილება															**სახელი, გვარი**
საკომპენსაციო გეგმის განხორციელება															**სახელი, გვარი**
...															**სახელი, გვარი**
															სახელი, გვარი
															სახელი, გვარი

დანართი 3: სწავლების ორგანიზება – სხვადასხვა ვარიანტი.

1. ერთცვლიანი სკოლები გადავიდნენ ორ ცვლაზე და სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებმა იარონ ცვლების მიხედვით.

	საფეხური/ ცვლა	დაწყებითი I-IV	დაწყებითი V-VI	საბაზო	საშუალო
ვარიანტი I	**დილის ცვლა**	**X**	**X**		
	შუადღის ცვლა			**X**	**X**
ვარიანტი II	**დილის ცვლა**	**X**			X
	შუადღის ცვლა		X	X	

2. სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებმა იარონ დღეების მონაცვლეობით, საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა კი უფრო მეტი დრო დისტანციური სწავლების ფორმატში გაატარონ.

	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
დაწყებითი	**X**	**X**	**დისტანციური**	X	X
საბაზო	X	დისტანციური	X	**დისტანციური**	**X**
საშუალო	**X**	**დიტანციური**	დისტანციური	X	დისტანციური

3. ქვემოთ წარმოდგენილი მოდელის გამოყენება შეიძლება ერთცვლიანი და ორცვლიანი სკოლებისთვის, როცა პარალელური კლასები სხვადასხვა დღეებში დადიან.

კვირა	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
I	**VIIა**	**VIIა**	**VIIა**	VIIბ	VIIბ
II	VIIბ	VIIბ	VIIბ	**VIIა**	**VIIა**
III	**VIIა**	**VIIა**	VIIა	VIIბ	VIIბ
IV	VIIბ	VIIბ	VIIბ	VIIა	VIIა

4. ეს შეთავაზება შეიძლება გამოიყენონ მხოლოდ ერთცვლიანმა სკოლებმა, როცა ცვლაც დამატებულია და ყველა კლასიც ყოველდღე არ დადის. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეთა რაოდენობა კიდევ უფრო შემცირებულია.

	საფეხური/ ცვლა	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი
I კვირა	პირველი ცვლა	I-IV	IV	IV	V-VI	VI
	მეორე ცვლა	VII-IX	VII-IX	VII-IX	X-XII	X-XII
II კვირა	პირველი ცვლა	V-VI	V-VI	V-VI	I-IV	I-IV
	მეორე ცვლა	X-XII	X-XII	X-XII	VII-IX	VII-IX
III კვირა	პირველი ცვლა	I-IV	IV	IV	V-VI	VI
	მეორე ცვლა	VII-IX	VII-IX	VII-IX	X-XII	X-XII

დანართი 4: მოსამზადებელი ეტაპი დისტანციური სასწავლო პროცესისათვის

აქტივობა	მოსამზადებელი ეტაპი დისტანციური სასწავლო პროცესისთვის															
	1.დღე	2.დღე	3.დღე	4.დღე	5.დღე	1.დღე	2.დღე	3.დღე	4.დღე	5.დღე	1.დღე	2.დღე	3.დღე	4.დღე	5.დღე	პასუხისმგე-ბელი პირი
დისტანციურ სასწავლო მოდელზე გადასვლის რეგულაციების გაცნობა მშობლისთვის																
მშობლების უკუკავშირის გაზიარება: • მოსწავლის პროგრესი • მოსწავლის დამატებითი საჭიროებები დისტანციური სწავლებისას • ოჯახში ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები და რესურსები • მშობლის დატვირთვა; • კომპეტენციები ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაში.																
მშობლების გატრენინგება • ციფრული ტექნოლოგიები • დისტანციური ინტერაქციული ისგ																
• მოსწავლეების საჭიროებების დადგენა • სწავლების ფორმატის განსაზღვრა • სასწავლო განრიგის შემუშავება • სასწავლო გეგმის შემუშავება, განხილვა																
დისტანციურ სასწავლო მოდელზე გადასვლის რეგულაციების გაცნობა მოსწავლისთვის																
მოსწავლის გატრენინგება ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაში																

დანართი 5: რესურსოთახში დეზინფიცირების ყოველდღიური აღრიცხვის ფურცელი

ორშაბათი						
მოსწავლის ინიციალები	**შემოსვ-ლის დრო**	**გასვლის დრო**	**მოსწავლემ ჩაიტარა ჰიგი-ენური პროცე-დურები**	**დამუშავდა**	**პასუხისმგებელი პირი**	**ხელმოწერა**
ა.ბ.	09:00	09:30	V	• პირადი მოხმარების ნივთები • საზიარო მოხმარების ნივთები • სამუშაო ზედაპირები, სახელურები, სკამი • განიავდა ოთახი • სხვა ----------	სსსმ პირის ასისტენტი – ვ.ს.	
გ.დ.	10:00	10:30	V	• პირადი მოხმარების ნივთები • საზიარო მოხმარების ნივთები • სამუშაო ზედაპირები, სახელურები, სკამი • განიავდა ოთახი • სხვა ----------	სპეცმასწავლებე-ლი/ფსიქოლოგი – ლ. კ.	

დანართი 6: კითხვარი – მოსწავლის მზაობა დისტანციური სასწავლო პროცესისადმი

აქ შესაძლებელი სკოლამ გამოიყენოს სავარაუდო პასუხები, მაგალითად: კარგად, საშუალოდ, ცუდად ან გამოყენებული იქნას 5-ქულიანი შკალა.

მოსწავლის მზაობა დისტანციური სასწავლო პროცესისადმი ინფორმაცია გროვდება ხდება მშობლის, მასწავლებლის და სპეცმასწავლებლის/*ფსიქოლოგის* მიერ	
როგორ რეაგირებს მოსწავლე მასწავლებელსა და თანაკლასელებთან დისტანციურად შეხვედრაზე	
რამდენად აღიქვამს და როგორ რეაგირებს მოსწავლე ინსტრუქციების დისტანციურად მიწოდებაზე	
რამდენად აღიქვამს და როგორ რეაგირებს მოსწავლე სასწავლო მასალის ელექტრონულად მიწოდებაზე	
რამდენად შედის მოსწავლე ინტერაქციაში მასწავლებელთან დისტანციურად ერთი ერთზე მეცადინეობისას	
რამდენად შედის მოსწავლე ინტერაქციაში თანაკლასელებთან დისტანციური გაკვეთილის დროს	
რამდენად განსხვავდება მოსწავლის ინტერაქცია მასწავლებელთან მოსწავლეთა ჯგუფში ყოფნისას	
რა დროის გატარება შეუძლია მოსწავლეს ეკრანთან ყურადღების გაფანტვის გარეშე	
რა სტრატეგიები ეხმარება მოსწავლეს დისტანციურად სწავლისას ყურადღების კონცენტრაციის გახანგრძლივებაში	
რამდენად ეხმარება მოსწავლეს დასვენება ყურადღების კონცენტრაციის აღდგენაში	
მოსწავლე დამოუკიდებლად ჩაერთვება და იქნება თანამონაწილე იმ დისტანციური გაკვეთილებისა, რომლებიც კლასისთვის განისაზღვრება	კი არა
დისტანციურ გაკვეთილებზე ჩასართავად მოსწავლეს სჭირდება შემდეგი მხარდაჭერა	მშობლის მხარდაჭერა / გვერდზე ყოფნა სპეცმასწავლებლის/ფსიქოლოგის დასწრება გაკვეთილზე მოსწავლესთან ერთად სპეცმასწავლებლის/ფსიქოლოგის მიერ გაკვეთილის მიყოლა (follow up) და მოსწავლესთან ერთი ერთზე მუშაობა გაკვეთილის თემის და მოსწავლის სასწავლო მიზნის შესაბამისად

სასწავლო მიზნების დაზუსტება სწავლების დისტანციური ფორმატის გათვალისწინებით ინფორმაცია გროვდება მშობლის, მასწავლებლის და სპეცმასწავლებლის/*ფსიქოლოგის* მიერ	
მოსწავლეს შედგენილი ჰქონდა ისგ შემდეგ საგნობრივ პროგრამაში	1. ---------- 2. ---------- 3. ---------- 4. ---------- 5. ---------- 6. ----------
მოსწავლე აგრძელებს დისტანციურ გაკვეთილებზე დასწრებას შემდეგ საგნობრივ პროგრამაში განისაზღვრება მშობლის პრიორიტეტის და მასწავლებელთა ხედვის გათვალისწინებით	1. ---------- 2. ---------- 3. ---------- 4. ---------- 5. ---------- 6. ----------
მოსწავლე საჭიროებს სასწავლო მიზნების დაზუსტებას შემდეგ სასწავლო პროგრამებში სწავლების დისტანციური ფორმის გათვალისწინებით	1. ---------- 2. ---------- 3. ---------- 4. ---------- 5. ---------- 6. ----------
მოსწავლეს ჰქონდა სასწავლო მიზნები, რომლებზეც სპეცმასწავლებელთან/ფსიქოლოგთან ერთი ერთზე მუშაობდა	კი არა
მოსწავლე გააგრძელებს დისტანციურ ერთი ერთზე შეხვედრებს სპეცმასწავლებელთან/ფსიქოლოგთან	კი არა
მოსწავლის ერთი ერთზე სასწავლო მიზნები საჭიროებს მოდიფიცირებას სწავლების დისტანციური ფორმის გათვალისწინებით	კი არა
მშობლის როლი და ოჯახის რესურსები მოსწავლის დისტანციური სწავლებისას	
მშობლისთვის ნაცნობია მოსწავლის სასწავლო მიზნები	კი არა
მშობელი რეგულარულად იღებს ინფორმაციას მოსწავლის მიმდინარე სასწავლო მიზნებსა და მიღწევებზე	კი არა
მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდება ხდება შემდეგი ფორმატის საშუალებით	ვერბალურად მასწავლებლის, სპეცმასწავლებლის/ ფსიქოლოგის მიერ წერილობით
მშობელი მონაწილეობს მოსწავლის სინქრონულ სასწავლო პროცესში	კი არა
მშობელი მონაწილეობს მოსწავლის ასინქრონულ სასწავლო პროცესში	კი არა
ოჯახში არსებობს სასწავლო რესურსი, რაც მოსწავლის სასწავლო მიზნებზე მუშაობის შესაძლებლობას იძლევა	კი არა

გამოყენებული ლიტერატურა

1. Bergmann, J. and Sams, A., Flip Your Classroom: Reach Every Student in Every Class Every Day. 2012

2. Center for Global Development. Planning for School Reopening and Recovery After COVID-19. 2020

3. Centers for Disease Control and Prevention. Operating schools during COVID-19: CDC's Considerations. 2020

4. Education Endowment Foundation. COVID-19 Support Guide for Schools. 2020

5. International Task Force on Teachers for Education 2030. Supporting Teachers in Back-to-school Efforts: Guidance for Policy-makers. 2020

6. International Task Force on Teachers for Education 2030. Supporting Teachers in Back-to-school Efforts: A Toolkit for School Leaders. 2020

7. OECD. Supporting the continuation of teaching and learning during the COVID-19 Pandemic: Annotated resources for online learning. 2020

8. UK Department for Education. Guidance for full opening: schools. 2020

9. UNESCO. Framework for Reopening Schools. 2020

10. University of Washington. COVID-19 Literature Report Team. Summary of School Re-Opening Models and Implementation Approaches During the COVID 19 Pandemic. July, 6, 2020

11. Washington Office of Superintendent of Public Instruction. Reopening Washington Schools 2020: District Planning Guide. 2020

12. Washington Office of Superintendent of Public Instruction. Reopening Washington Schools 2020: Special Education Guidance. 2020

13. განათლების კოალიცია, დიფერენცირებული მიდგომის პოლიტიკა განათლებაში, 2015.

14. განათლების კოალიცია, რა უნდა გავითვალისწინოთ 2020-2021 აკადემიური წლისათვის: რეკომენდაციები განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, 2020.

15. ჩიქობავა მარიამ, საქართველოს განათლების სისტემა და პანდემიის გამოწვევები, ჟურნალი „სკოლის მართვა", N2, 2020

16. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის დირექტორებისთვის, 2010

WORLD VISION საქართველო

+995 32 215 75 15

დ. უზნაძის N78, 0102, თბილისი

www.wvi.org/Georgia

www.bavshvebistvis.org.ge

info_georgia@wvi.org

/WorldVisionGeorgia